ივერია

1882

№ I, იანვარი.

თბილისი.
ეკვთიმე ხელაძის სტამბა.
1882

შინაარსი:

I ივერიის რედაქციისაგან. 3

II ძონა, (მოთხრობა) ეკ. გაბაშვილისა. 5

III «მომილოცნია ახალი წელი!» (ლექსი) ი. ბაქრაძისა. 32

IV ხალხური ლეგენდა (ლექსი) თ. რ. ერისთვისა. 34

V დავით ზურამიშვილი და იმისი დროა (წერილი მესამე) თ. ყორდანიასი 35

VI «რაზე მიწყრები ყვენო?» (ლექსი) თ. რ. ერისთვისა 56

VII რა უნდა იყოს სეტყვის მიზეზი? ნ. ნათიძისა. 57

VIII შესლარი და იმისი თხზულება: «უძველესნი თქმულებანი კავკასიაზე» (წერილი პირველი) . . . 69

IX ოლბოლი (ლექსი) ვ. ო-სა. 99

X საპოლიტიკო მიმოხილვა 105

XI თეატრი («ანსენა» დრამა ა. მაჩხუბარიძისა.— «სამშობლო» დრამა ფრანცუზულიდან გადმოგვეთარგმნული თ. დ. ერისთვისაგან). 111

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი.

6004

წელიწადი მეექვსე.

№ I

Академия наук СССР
Библиотека-Музей имени акад. И. Гришашвили
Тбилисский гос. университет имени И. Джавахишвили

თბილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.
1882



Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Декабря 1881 г.

„ივერიის“ რედაქციისაგან.

ამ 1882 წელს ჟურნალი «ივერია» გამოვა იმავე სახით და სივრცით, როგორც 1881 წელს გამოდიოდა.

ჟურნალში იქნება სამი განყოფილება: 1) ბელეტრისტიული—რომანები, მოთხრობები, პოემები, წვრილი ლექსები, როგორც ორიგინალური, ისე საუკეთესო თხზულებათა თარგმანნი. 2) წერილები ისტორიული, კრიტიკული, ეტნოგრაფიული, მოგზაურობა და სხვ. 3) ქრონიკა: ამ განყოფილებაში განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული «შინაურს მიმოხილვას». რედაქცია ყოველის ღონის-ძიებით ეცდება, რომ არავითარი საინტერესო მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში უყურადღებოდ არ დასტოვოს და შეძლებისა-მებრ ჩვენის ქვეყნის ყოველს კუთხეში იყოლიოს სანდო პირნი ცხოვრებისათვის თვალყურის სადევნელად. გარდა შინაურის მიმოხილვისა, ჟურნალში იქნება აგრეთვე რუსეთისა და უცხო ქვეყნების მიმოხილვა—რედაქცია ეცდება თვისა-და-თვის თავზედ წარუდგინოს მკითხველს ყოველივე, რაც კი გარეშე ქვეყნებში შესანიშნავი მოხდება. სამეცნიერო ქრონიკა—წერილები სხვა-და-სხვა სამეცნიერო და ჩვენის ქვეყნელებისათვის საინტერესო საგნებზედ. თეატრი—გარჩეული იქნება კრიტიკულად ჩვენს სცენაზედ ნათამაში პიესები და აგრეთვე აქტიორ-აქტრისების ხელოვნება. ახალი წიგნები— ვრცელი კრიტიკა და შენიშვნები ახალს ქართულს წიგნებზედ და აგრეთვე უცხო ენით

დაბეჭდილებზედაც, რომელნიც ჩვენს ქვეყანასა და სალხს შეეხებიან. სხვა-და-სხვა ამბები—მეცნიერებისა და ლიტერატურისა.

წიგნები «ივერიისა» გამოვა ყოველს თვისა-და-თვის დამდეგს.

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი

«ივერიისა» 1882 წლისა (ოთხმეტი წიგნი) 7 (შვიდი) მანათი. ვისაც ერთად შემოტანა არა სურს, შეუძლიან ოთხი მანათი პირველს იანვარამდე შემოიტანოს და სამი მანათი პირველს მაისამდე.

ჟურნალზედ ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთა-წმინდაში, ხეკის ქუჩაზედ, ფარესაშვილის სახლებში, № 9, და აგრეთვე შავერდოვის საგენტოში, ალექსანდროვის ბაღთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ფული და წერილები შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ
Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ.»

ᲙᲝᲜᲐ

(მოთხრობა)

I

— დედა, ᲭᲣᲠᲘ, დედა, ᲭᲣᲠᲘ!

მისუსტებულის ხმით შესტირიდა ოთხი შვილი ერთს მაისის მშვენიერს დილას მართა ახალგაცის ტოლს.

— ვაი დედა-თქვენს, რომ ვერაფერით გაგაძღობთ, თავისთვის წაიტუტუნა მართამ და შვილებს კი ნუგეში მისცა:— სუთ, სუთ! ახლავ მსალს მოგიხარშამთ. ხვალ მამა-თქვენი მოვა და თქვილს მოგვიტანს.

— თქვილს მოგვიტანს? მართლა? თქვილს მოგვიტანს? სიხარულის ღიმილმა გაუარა სახეზედ ოთხს. უსუსურს ბავშვსა, რომელთაც ერთის კვირის განმავლობაში მარილ-წყალში მოხარშულ მხლის მეტი არა ეჭამათ-რა.

დედამ კი გულით ამოიოხრა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მამა ამათ ბევრს არას მოუტანდა, და ვინ იცის ისიც დამშეული სად დაეხეტებოდა საგლახაოდ, ლუკმა-ᲭᲣᲠᲘᲡ საოხოვნელად.

სამის წლის განმავლობაში ზედი-ზედ ქიზიყში მოსავალი არ მოვიდა. გაწყდა ყოველი ნაყოფი მთელს მსარეში. კარგი გაკეთებული ოჯახები წმინდა გლახებად გადაიქცნენ და

გუდა-წამოკიდებულები ასობით, დიდი და პატარა, მთელი სასლობით, დაწანწალებდენ ასლო-მასლო სოფლებში და ქალაქებში.

მინდვრები მოდებული იყო ქალით და კაცით ბალახის ძირის სათსრელად, რომელსაც მარილ-წყალში სარშავდენ და იმითი საზდოობდენ, ვიდრე საიდგანმე მოწყალება გამოუჩნდებოდათ და ერთი-ორი დღით ლუკმა-პურს იშოვიდენ. მაგრამ მოწყალებით მთელის მსრის გამოკვება შეუძლებელია და ქიზიყის მცსოვრებნიც აქა-იქ გაიფანტნენ ლუკმა-პურის მოსაძებნად.

რადგან მშიერის ცოლ-შვილის შინ დაყრა შეუძლებელი იყო, მთელი სასლობებით ანებებდენ თავს მშვენიერ ქვით-კირის შენობებს, შეჩვეულ მიწა-წყალს, თავის ღვიძლ სამშობლო ალაგს და მიდიოდენ იქით, საცა იმედი ჰქონდათ საზდოს შეძენისა.

პეტრე ასალკაციც კარგი გაკეთებული ოჯახის-შვილი იყო: კარგი ქვით-კირის ოთასი, ქვით-კირისაგე გომური, ფართო ეზო და ბსრიალა წყარო ამშვენებდენ ამის სადგომს. მშვენიერი მთის ჭალრი და კარგი ადგილიარეობა უკნებლად ინახავდა პეტრეს სასლობას. სამნი ძმანი, მდეკებივით ვაჟ-კაცნი, დედა-ღამ განუწყვეტელად შრომობდენ ოჯახისთვის, და, მართლაც, რომ ამათს ოჯახში ღვთის თვალი ტრიალებდა. გუთნეული გამართული ჰქონდა პეტრეს და ისე წვრილ-ფესი საქონელი, გასასყიდლად, მთელი ჯოგი დაუდიოდა მინდორში. საზოგადო მამულში ამათზე ბევრს ვერავინ მოსნავდა. ისეთს ენას დასდგამდენ სოლმე ახალკაცები, რომ მთელ სოფელს შურდა. მაგრამ აი ბუნებამ ჯიბრი გაუწია კაცს და სამს წელიწადში აყვავებული ოჯახი სრულიად ძირს დასცა. სადღაა

გუთნეული, სადღაა ჯოგი და მოწყობილი სახლ-კარი! ამათ სახლს მტკერი აედინა; უკანასკნელი მართას მზითვის დანჯღეული სკივრიც კი ლუკმა-ბურისთვის წაიღო შეუბრალებელმა სოფეხმა. ბეტრეს უმცროსმა ძმებმა, როგორც უცოლ-შვილო კაცებმა, თავს უშველეს, სხვა მხარეს წავიდნენ სამუშაოდ და ბეტრე კი უკანასკნელ ღონისძიებამდის ვერ ანებებდა თავს იმ ადგილს, სადაც აღზდილიყო და სადაც ამის მამა-ბაბის ძვლები იყო დათლული.

მაგრამ სიმშილ-წყურვილმა დასძლია ზნეობითს ძალას. იმან დაავიწყა ადამიანს უკელაფერი, გარდა თავის მუცლისა. ტირილით გამოესალმა მართა ყოველს კუნჭულს თავის ტკბილის ოჯახისას და გაუდგა ქმარ-შვილით დიდ შარა-გზას.

ტიტვლიკანა, დაგლეჯილ-დაფხრეწილი, ეს ოჯახი ემგზავსებოდა მაწანწალა ბოშის სახლობას. დღითი-დღე, აქაიქა ლუკმა-ბურის თხოვნით დაქანცულები, ძალა-მიხდილნი, ერთ საშინელ ცხელ ზაფხულის საღამოს შემოვიდნენ ბეტრე და მართა სამის შვილით (ერთი გზაზედ დამარხეს) ავლაბარში.

საშინელი სანახავები იყვნენ სიმშილისაგან მიხრწნილი ბავშვები. ფეხებიდამ მეტის სიარულით სისხლი სდიოდათ და ხელ-ბირი ბოლში გამოუკანილსავითა ჰქონდათ მზისაგან დახრაკული.

ქალაქმა შეიბრალა დამშეულნი და მალე მოიძეს კუჭები. ერთს დერეფანში შეაფარა ღამით ბეტრემ სახლობა. დღისით სათხოვნელად დადიოდნენ და საღამოთი წელებ-დაწუკეტილნი მიეურებოდნენ ცალიერ ბიწაზედ დასაძინებლად.

კუჭები დაიძეს თუ არა, ოჯახის-შვილობის სიამაყემ გაიღვიძა ამათში: თხოვნა და ხელის გაშვერა სასირცხვილოდ

მიახლდათ. უშრომოდ ლუკმის შოვნას ჩვეულნი არ იყვნენ და სხვის ნაბოძები ლუკმა ბევრჯელ ყელზედ ადგებოდათ. აქეთ-იქით მეზობლებმა ურჩიეს პეტრეს ზემო-ქართლში წასვლა.

— იქ მოსავალი ბევრი მოდის, პურს იშოვნი, გლეხური საქმე ბევრი გამოგიჩნდება და ნელა-ნელა წამოთოფოლდები. ღმერთი ხელს მოგიმართავს და ერთხელ ისევ ოჯახის-კაცი შეიქნები.

პეტრემაც დაიჯერა და წავიდა ქართლში. სოფელ არაშენდას გაქანებული მკა იყო, როდესაც პეტრემ თავის ცოლ-შვილი იქ მოასხა. გლეხის გული უძირო კეთილის ზღვაა: პეტრე მაშინვე მიიკედლეს და ერთმა გლეხმა თავის გომურში დააყენა. მეზობლებმა სიჩქარეზედ მოურბეინეს პური, რძე, მაწონი დამშეულს ბავშვებს.

ბევრი ილაპარაკეს პეტრესთან არაშენდელებმა, შესჩივლეს ერთმანერთს თავიანთი ბედ-იღბალი და კარგა შუადამისას თავ-თავის სახლში წავიდნენ. გემრიელად დაიძინეს ახალ მოთი-ბულ თივაზე ახალგაცებმა და იმედი მოეცათ, რომ ამათ მა-წანწალობას ბოლო მოელებოდა.

II

სოფელი არაშენდა ქართლის შუაგულში მდებიარებს. ეს შემკულია დიდის კაკლის ხეებით და დიდროვან წყაროებით. უკანიდამ ამეუდრებს ახოვანი ტყე, წინ მტკვრის ღელეები აქვს გაშლილი და მრავალ სოფლებს გაჭეურებს. მაგრამ თითქო ამ მშვენიერ ბუნებას, აუკაკების მაგივრად, დაუჩაგ-რავს აქ მცხოვრები ხალხი. მებატონის, თუ გლეხის სადგო-

მი რაღაცა ნაოსარს წარმოადგენს. გლეხის მიწურის სახლებიდ-
გან მარტო დიდ ერდოებს ამოუყვიათ თავები და კარებზე
ნეხვის გროვებს. მწვანე ბალახი, გაფოთლილი ხე არც ერთ
მოსახლეს კარებზე არ მოიპოვება. კალო, საბძელი, ბოსელი,
ბაკი და საქათმე სულ ერთმანერთშია არეული. ზოგ სახლს
სამხრეთისკენა აქვს პირი, ზოგს ჩრდილოეთისკენ, ზოგს აღ-
თას, ზოგს ბალთას. სასოფლო გზა ისე მიხლაკ-მოხლაკნუ-
ლი და ოღრო-ჩოღროიანია, რომ თუ ოთხი კაცი არ შემოე-
ჭიდა ურემს, უხიფათოდ არ გადურჩება.

სოფლის თავში გამოჭიმული სდგას მებატონის ორ-ეტა-
ჟიანი სასლი, ძაგრამ ახლო კი რომ მიხვალ, ვაი იმ გამო-
ჭიმას, რომ ის არის გამოჭიმული! ერთი უზარმაზარი შენო-
ბაა, როგორც ყველა შენობები ჩვენში ბატონ-ყმობის დროს
დაწყობილი და რაღაც უშნოდ არის აყუდებული. წინა-პირზე
მარტო სამი ოთახია გაღესილი და მეორე გვერდი კი, ყამ-
თა-ვითარებისა გამო, ნახევარზე ჩამონგრეულა. ირგვლივ ბალ-
კონი აქა-იქა გვერდზე წაწოლილა და განსვენებისათვის მიუ-
ცია თავი. უავარი ხომ ქარისაგან ისეა გაწეწ-გამოწეწილი, რომ
სტრათილები ძაღლებისგან გამოხრულ მკვდარის ცხენის გვერ-
დებს მიაგვანან. მრავალს ფრინველს გაუკეთებია ამ კედლებში
ბუდე და თავისებურ არხიტექტურით შეუმკიათ როდისაც
ვითლად შეღებილი სასლის კედლები. სახლის წინ გაფანტუ-
ლა უკრუხო წიწილებივით, საოინე, სამზარეულო, საქათმე და
სხვა სამოსასლკარო შენობები. აქვე ეზოში გადმომჩქეფარებს
მშვენიერი წყარო და მშვენივრადვე ამსებს ტალახით არე-მა-
რეს, უგზო-უკვლობის გამო. ამ ტალახში განისვენებენ დამ-
ტვრეული ურემი, გვერდზე გადახრილი და ტუკვ-გამძვრალი
ტარანტასი, ძარი, ჯინი და გუოანი; ქათმები, ბატები, ღორი,

და მწევრები, ეს აუტილებელი სამკაული ჩვენის მებატონის ოჯახისა, აქვე ტალახში დასეირნობენ. ბალკონზე ზის კნეინა ბარბარე და გადმოჭყურებს თავის გაწყობილ ოჯახს. კნეინა ბარბარე თავბრუაძისა ჯერ ასალ-გაზდა დედა-კაცია. ეს არის ერთი თბილისელ ყასბის ქალი და ყასბურადვე იქცევა კნეინურ კაბში. სქელი, მუცელ-გადმოვარდნილი, მთელის თვეობით უძრავადა ზის ზემო ეტაჟაში. ქვემოდ ჩამოსულს იშვიათად ნახავს ვინმე. რას აკეთებს? რით ატარებს დროს? ეს იმის მოსამსახურეებს უნდა ჰკითხოთ. მთელი დღე ხან ერთს ლანძღავს და ხან მეორეს; ბიჭისა და გოგოს ლანძღვის შუა ძილი და შემდეგ ისევ ლანძღვა. თუ კნიაზი სეირიდან თავბრუაძე შინა ბძანდება, ვაი იმის ბრალი! ასლა იმაზე გადავა ბარბარეს შეუწყეტლივი ლოცვა-კეთრსვა. სეირიდანაც ამას იმიზეზებს და მთელის კვირაობით, ზოგჯერ თვეობითაც, ხახლი-კაცებში, გორში და თბილისში ქეიფობს; და თუ ვინიცობაა მოისურვა და ეს ქეიფი თავის ოჯახში გადმოიტანა სეირიდანმა, მაშინ დატრიალდება ხოლმე ჯარა. ქათმების კაკანი, ცხვრის ბღავილი, ბიჭების და დედა-კაცების შერბენ-გარბენა სულ ერთს შეუცვლის ხოლმე თითქმის ყოველთვის მიძინებულს თავბრუაძიანთ ოჯახს. კნეინა ამ დღეებში უფრო ხმა-მაღლივ ილანძღება, უფრო ხშირად გადის და შედის ბალკონზე; ამოალაგებს ხოლმე მზითვის ქეჩა-ხალიჩას, ვერცხლეულს, სუფრა-სალფეთქს და მოჭყვება სასტუმრო ლაგებას. გასაოცარია იმათი სასტუმრო: კედლები ყვითლად შეღებილი, ნიალვრის სხვა-და-სხვა გვარ ხაზებით არის დახაზული. ჭერის ბათქაში აქა-იქ დიდ ბელტებსავით ჩამოტვინულა; რვა თუ ცხრა ოვანჯარას მარტო აქა-იქა უსხედს მინები; დასარჩენი თვლები ქალალდებით არის გაკრული და ამისათვის ოთახში

ოგველთგის, ბრწყინვალე დღეშიაც კი, ჩამობნელებულია. ერთი გძელი ტასტი და ექვსიოდ დამახინჯებული სკამი შეადგენს სამკაულს ამ რუისისაგით გაგძელებულ ზალისას.

ამ კურთხეულ მეუღლეების ნაყოფს შეადგენენ თორმეტის წლის კაკი, ლევან, სეირდონის პირველ ცოლთან ნაყოლი და სამი ერთი-ერთმანერთზე მომეოლი ქალები ბარბარესი.

ი ამ სახლობასთან მოიყვანა მართა ახალგაცის ცოლმა თავის უფროსი ეოგო კონა.

კნეინა ბარბარემ და მართამ სიტყვიერად ერთმანერთს პირობა ჩამოართვეს: კონა უნდა ჭყოლოდა ბარბარეს ათის წლის განმავლობაში მოსამსახურედ; ესწავლებინა მისთვის ხელსაქმე, წიგნი, სვინიდისანად შეენახნა და ათის წლის შემდეგ, კარგის მზითვით მიეთხოვებინა იმისთვის, ვისაც იმას ბედი საქმროდ გამოუჩენდა.

მართა გულ-მოწყვეტილი დაეკონა თავის კონას და ბევრი მდუღარება დააყარა თავის პატარა ეოგუტუნას.

— რა გაეწყობა, შვილო, სიღარიბეს, ჩასტუტუნებდა მართა კონას,— თორემ მე გასა ასე ულმერთო ვარ, რომ შენ სხვის ხელში ჩაგაგდო! მაგრამ, შვილო, შინ მშიერი ეოფნას, იქ მუცელი მაინც გაგიძღება. მამა-შენი დღიურის მუშაობით ჩვენც ვერ გვარჩენს; ახლა ზამთარიც მოვა, და მაშინ სამუშაოც ალარა ექნება-რა.

საბუთები ძლიერ საბუთიანი იყო, მაგრამ კონას არ ესმოდა იმათი მნიშვნელობა, მაგრა ეკრიდა დედას ძუძუებში და გულ-ამოჯდარი ტიროდა. უცხო სახლი, დედის ტკბილის ალერსის მოშორება, საშინელება იყო იმისთვის. მაგრამ მოსასდესი უნდა მოსდეს— და ათის წლის კონაც უპატრონოდ დარჩა თავბრუაძიანთ სახლში.

III

დღეიდგან კონა გახდა ძორჩილი მონა და ეძა ეოველ თავბრუაძიანთ ოჯახის წევრისა. ეურის-გდება და გაწერთნა კონასი ბარბარემ ჩაბარა ეფრო იისახარს, სეირიდონის პირველ ცოლის მოახლეს, ოჯახის ბურჯს, მთელის სახლობის ტანტიკინს და მოსამსახურეების ფეხს. ერთი საშინელი ხმასი, კარგა მოზდილის ულვაშებით, რიხიანის ხმით, იისახარ ეფრო მიაგავდა ბებერ ქოსა კაცს, სანამ დედა-კაცსა. ეს თავის დღეში არ ეოფილა გათხოვილი, არ ჰყოლია შვილი და ამისათვის არ უგვრძნია სიყვარული. ამის შეუბრალებლობა განთქმულია მთელს არაშენდაში. სოფლის გოგო-ბიჭები შიშით გაქცევიან სოლმე ღობეს, როდესაც ეს შესვედრაზე გადაჭეიტამს სოლმე იმათ არწივივით დაბრიალებულ ოკვლებს. ამას მთელის სახლის გასაღებები სარტეელზე აქვს გამობმული და მთელი დღე ზემო და ქვემო ეტაყას ალიდუიას ეკლის: რომ მეტი ბური არავინ შესწამოს, გვერდზე არავინ წამოწვეს ან განსვენებას თავი არავინ მისცეს. ეს რომ არა ჰყოლოდა სეირიდონს, იქნება ნასეკარ მამულიც არ შერჩენოდა და ცოლ-შვილი სიმშილით გასწყვეტოდა.

ამისთანა იეო იისახარ, რომლის მსხვერპლად გახდა დღეიდგან კონა. პირველსავე დღეს, გულ-ჩათხრობილი, მწუხარებისგან მობღუნძული კონა იისახარმა მოუსვა აკვანს. მთელი საათობით განუწყვეტლივ კონა მოკვლილი იწვა და არწევდა აკვანს; და თუ აბ თავის გამაბრუებელ რწევაში ჩაეძინებოდა, ვაი იმას!— დაიძინე, შე გულ-მკვდარო?! წაუმუწლუგუნებდა იისახარ. კონა გულ-გახეთქილი გაჩუეტდა თვალებს და ისევ

მიჭეოდა აკვნის რწევას სელსა, განთიადისას, როდესაც ძილი ტკბილია ყველასთვის და მეტადრე ათის წლის ბავშვისთვის კონას წამოაგდებდნენ ფეხზედ. ფეხ-შიშველას, დაფხრეწილის კაბით, უნდა ამოეტანა წყაროდამ წყალი, სელ-პირი დაებანინებინა ყველასთვის, დაეგავა ოთახები, მოეგლო ყმაწვილისთვის. ყველა ამ საქმეში იისახარ უკან მისდევდა კონას ლ ყოველსაკე შეფერხებაზედ უბრიალებდა თვალებს. კონას ყოველს ბავშურს გათამაშებისათვის, ეშმაკობისათვის კინწებში მსოლის გაკვრითა სჯიდენ. ბარბარეს შვილები აქვე, ამის გვერდით, თამაშობდენ, დარბოდენ, ყვიროდენ და არა ვითარი მონაწილეობა არ შეეძლო მიეღო ამ თამაშობაში პატარა გოგოს. ბეკრჯელ ბავშვების თამაშზე კონა გულით გაიცარცარებდა სოლმე თავის აკვნის ძირიდგან.

— ქა, რას ხარხარებ, შე წუწო, ეტყოდა სოლმე იისახარ, —განა შენც მაგათი ტოლი ხარ, შე აშარო!

თუ ბავშვები კონას აწვალებდენ, სჩქმეტდენ, ქოჩორს აგლეჯდენ, იმისგან ტირილი შეუძლებელი იყო. ბარბარე და იისახარ დიდად გაიკვირვებდენ..

— ქა, დამისედეთ ნებიერს, ყმაწვილებმა სელი ვეღარ უნდა გახლონ, არც კი გისარიან, შე გულ-მკვდარო, რომ ეს ბავშვები შენ გეთამაშებიან?!

— კონავ, აბა მოდი გამაჯესე, ეტყოდა რვა წლის ანეიჟნა გოგოს და საჩქაროდ შეასტებოდა ზურგზე.

კონაც აჯესებდა ოთხზე, აჯენებდა იქნობამდის, მანამ ძალა-მისდილი პირ-ქვე არ დაეცემოდა.

— გაჰკარ მაგას, მაშინვე ეტყოდა ბარბარე სიცილით თავის მამაც შვილს, და შეუდგებოდა წკაპუნი პატარა გოგოს ბვერდებს.

ხიდის ჯამაზე ხომ, როგორც ბავშვები, ისე უფროსები თვალებს აბრეტინებდენ კონას.

— კონავ, ჩურჩხელა მოუტანე უუთიდგან ყმაწვილებს, კონავ, მურაბა ჩამოუღე თახჩიდგან ბავშვებს, უბძანებდა ბარბარე და ერთხელ არ მოაგონდებოდა, რომ იმისთვისაც მიეწოდებინა რამე. კონას ბირი ეკსებოდა ნერწყვით, მაგრამ თხოვნა როგორ შეეძლო, და თუ ვინიცობაა ხელი წასძღეოდა და რომელსამე ყმაწვილს ხელიდამ წაგლეჯდა რასმე, იისახარ მაშინვე გაიხარებდა ამ შემთხვევით და მოელი დღე უჯმელს დაავდებდა.

კონას ამ განწირულებაში მარტო ერთი ამხანაგი ჰყავდა ბატარა ლევანი, თუმცა ისე უბედური არ იყო, როგორც კონა, მაგრამ ოჯალთვის დებში გამორჩეული და ობლობისგან გულ-ჩათხრობილი, თითქო ბუნებრივადვე თანაუგრძნობდა უბატრონო ბატარა კონას. ეს ოჯალთვის განუზიარებდა ხოლმე იმას იმ მცირე ნაწილიდგანაც, რასაც კი დედი-ნაცვალი შეახვედრებდა. ბეკრჯელ უსამართლოდ დასჯილი ბარბარესგან და უსასიათო მამისგან. მიუჯდებოდა კონას და შესჩივოდა თავის უბედურებას. სადილს შემდეგ, როდესაც ბარბარე და იისახარ ძილს მიეცემოდენ, კონა, ლევან და ბავშვები გავიდოდნენ კარზე, რომ ძილი არ გაეფთხოთ უფროსებისათვის და ამ სადილ-შემდეგებში ორი ობოლი, თუმცა კი გარჩეულნი საზოგადო მდგომარეობით, შეერთდებოდნენ ხოლმე მწუხარებით. რამდენიც ლევანი და კონა იზრდებოდენ, იმდენად ამათი მეგობრობა უფრო მტკიცდებოდა და ერთმანერთის უბედურება უფრო გულს უტეხავდა საცოდავს ბავშვებს.

ოჯალ-მხრივ შეკიწროებულმა კონამ მალე დაჰკარგა თავისი ბავშური ხასიათი. ეს ოჯალთვის თავ-ჩაღუნული, და-

ლონებულის სახით დასტქეროდა დედა-მიწას, თითქო იქ უნ-
დოდა ამოეკითხა თავის უბედურების მიზეზი. მოიგონებდა
თავის თავისუფალ ცხოვრებას, ტკბილს დედის ალერსს და
გულით ამოიოხრებდა. ბევრჯელ აკვანთან თავ-ჩაღუნული, თვა-
ლებზე ხელ-მიფარებული, ჩუმად ქვითქვითებდა. დიდი და ვა-
ტარა, გოგო თუ ბიჭი, ყველა კონას უბრახუნებდა თავში.
«კონა წყალი, კონა ტეტსლი, აქ წადი, იქ წადი!» გაისმოდა მთელ
სახლში სამზარეულოდგან დაწყობილი ბატონების ოთახამდის.
საღამოზე დაღალულ-დაქანცულ კონას მიეძინებოდა სადმე ოთა-
ხის კუნჭულში და იქვე მიაგდებდენ ზედ ძველის საბნის ნაფა-
ხრეწს.

მართა კარგად ჭხედავდა თავის შვილის უბედურებას, მაგ-
რამ რა ექმნა! არჩევანი შეუძლებელი იყო. ვეტრე გაზაფხულ-
ზე აგად გახდა; ციებ-ცხელებამ წააქცია და მთელი ექვსი თვე
თვეზზე კელარ წამოდგა. მართა დღე და ღამ მუშაობდა, რომ
სასლობისთვის ლუკმა მიეწოდებინა. მეორე გოგოც მოახლედ
მისცა და ერთის ბიჭით და ავად-მყოფის ქმრით დაბრუნდა
თავის ქვეყანაში, საიდგანაც ანბავი მოსდიოდა, რომ ხალხს სა-
ხელმწიფოდ თესლი დაურიგდათ, და წელს მშვენიერი მოსა-
ვალი მოვიდა ქიზიყშიო. ვირკელმავე კეთილმა ამბავმა აუღელ-
ვა გული ახალგაცებს და სახქაროდ გაემგზავრენ თავიანთ ქვე-
ყანაში, თავიანთ ოჯახის აღსადგენად. თუმცა მართასთვის ორ-
ორის შვილის დატოვება, უცხო, უგულო სახლში სიკვდილ-
ზე უარესი იყო, მაგრამ იმედი, ეოველთვის კარგად წარ-
მოიდგენი მომავლისა, გულს უმაგრებდა. «ერთხელ - ორჯერ
კარგი მოსავალი მოვიდეს, და შემდეგ, ღმერთი მოწყალეა, წა-
მოვალ და ჩემს ცოდვის-შვილებს ისევ ჩემს ქოხში წავიყ-
ვან» — ამბობდა მართა.

IV

მშკენიერი შემოდგომის დღეა. ვენახები მწიფე ყურძნით სრის სავსე. ბალახს და ხის ფოთლს ყვითელი ფერი დაედო. ჭალაში რაღაც ტკბილი სუნნელოვანი სითბოა. არაშენდაში დიდი და პატარა გაქანებულ მუშაობაშია. კაცები სიმინდს ზიდვენ, დედა კაცები ბოსტნეულს იღებენ, ხილს ინახვენ. ყოველ სულდგმულს სახლში შეაქს რამე ზამთრისთვის. მარტო თავბრუაძიანთ კარებზე სრული სიჩუმეა. ბატონიანთ სძინავთ. სახლის ახლო რუს პირზე სხედან ხუთიოდ პატარა ბავშვები და ბორბალს ატრიალებენ; ცოტა მოშორებით თხუთმეტის წლის გოგო და თორმეტის წლის უმაწვილი-კაცი ჩუმად რაღასაც ელაპარაკებიან ერთმანერთს. ესენი არიან კონა და ლევან. ხუთმა გძელმა, მტანჯველმა წელმა გაიარა ამ ორის უბედურისათვის ლ კი ვერათვრით შესცვალა მათი უფერული მდგომარეობა: ისევ ისე მონანი არიან თავიანთ ბედის-წერისა. ბარბარეს რამდენიმე შვილი მოეძატა და კონას ამითი, რასაკვირველია, ჯავა ეს წელში გაუშლელად მუშაობს, და მადლობის მაგივრად ყოველ დღე ისაყრება. ლევან მიმის უთაურობით და დედა-ნაცვლის მოწყალებით თითქმის უსწავლელი დარჩა.

არაშენდას ზეფსულობით მოდიოდა ერთის იქაურ აზნაურის შვილი ალექსანდრე გოგრაშვილი თავის რამდენიმე შეგირდით. სეფრიდონი სარგებლობდა იმ შემთხვევით და მარტო ზეფსულობით მიაბარებდა ხოლმე თავის უფროსს შვილს ლევანს რასაკვირველია, ამ გვარ დრო - გამოშვებით სწავლით ბევრს ცოდნას ვერას შეიძენდა ლევან, მაგრამ მისდა საბედნიეროდ ალექს ნდრე გოგრაშვილი ერთი იმ სათელ პირ-

თავანი იყო, რომელმაც არ შეიძლება დიდი შთაბეჭდილება არ მოიქმედოს ყველაზედ, ვინც კი იმას მიუახლოვდება. ეს ერთი იმ კაცთაგანი იყო, რომლის დანიშნულებაც არის აღზრდა ახალ-გაზდობისა და რომელსაც ეს სამაგალითოდ ასრულებდა. ამან ლევანს თუმცა სწავლით სამ-ოთხ ზაფხულის განმავლობაში ბევრი ვერა გადასცა-რა, მაგრამ ზნეობით ისეთს პატიოსნებით სავსე მიმართულებაზედ დააყენა ლევანის ჩვილი და უბედურებისგან გატეხილი ხასიათი, რომლის შეცვლაც არაგითარ კარგმოებას ალარ შეეძლო. ამ ორი-სამი წლის ნაგლეჯ-ნაგლეჯის სწავლით გათავდა ლევანის განათლება. უმაწვილი, ძალით და ღონით სავსე, მთელი დღეობით უსაქმურად დაეხეტებოდა სოფელში, ხან ვის კალოზე ჩამოჯდებოდა, ხან ვის ბოსელში შევიდოდა ზამთრობით სბაასოდ. მოუმზადებელი იყო ყოველ-გვარ საქმისთვის და მეტის-მეტად იტანჯებოდა ცუდობით. უბედურების დროს, რაშიაც დედინაცვალის წყალობით ხშირად იყო ჩაკარდნილი, ლევან ყოველთვის მიმართავდა ხოლმე კონას. კონას თანაგრძნობის ცრემლები ამშვიდებდა, ამსუბუქებდა იმის აღელვებულს გულს.

აი, დღესაც, გალანძღული და თავ-ლაფ-დასხმული სასოფლოდ იმისთვის, რომ უცაბედად აზიზის ბარბარეს ერთად-ერთი ძე წააქცია, შესჩივის კონას:

— ოჰ, კონავ, ზოგჯერ ჩემის დედი-ნაცვლის უსამართლო ლანძღვაზე რაები მოდის თავში! მინდა, მივვარდე, ეელში წავუგლიჯო და კატასავით მივაღრჩო, მაგრამ მერე რადა ვქნა! ხომ დავიღუპე. იმას ხომ აღარავინ მკითხავს, თუ რამ მაქნევინა ეს საქმე. არა, მაშინვე ციმბირში მიგვრეან თავსა. თუმცა კი, სწორედ რომ სთქვას კაცმა, ციმბირში კიდეც ემჯობინება ჩემთვის. იქ მიწას მაინც მათხრევინებენ, იქ მეც ისე მი-

ყურებენ მაინც, როგორც სხვა მუშებს და შურით ხომ გულს არ მოიბეგვლენ, როგორც აქვს ერთის მამის შვილებს, ერთისა და იგივე ცხოვრების ბატრონებს, რაგორ გვარჩევენ ერთმანერთში, ხედავ? რა კი ჩემს დებსა და ძმას დედა ჰყავთ, კარგადაც აცვიათ, კარგადაც აჭმევენ, ასწავლიან კიდეც და მე კი, რადგან უბედურება მეწვია და მშობელი ბღარა მყავს, კიდევ უარესად მიმწარებენ წუთი-სოფელს ამ გამორჩევით, რატომ მე კი არ მასწავლეს? რა კარ ახლა? — უგუნური. არ ვიცი რა გავაკეთო, რა საქმეს დავადგე. რასაც ხელს მოვკიდებ, ყველაში სიბრიყვე მეტყობა. რადა? რა დამიშავებია? არა, მე ესე ცხოვრება აღარ შემიძლიან. მე წავალ, გადავვარდები სადმე ქვეყანა დიდია, საცხოვრებელს რაგორ ვერ ვიშოვნი. მოკამგირობა მირჩევნიან ამ გარ თავის დამცირებას და შერცხვენას.

— ნუ, ბატონიშვილო, ნუ! ნუ იფიქრებ მაგ ებსა. სად უნდა წახვიდე? სხვაგან იქნება უარესს. დღეში ჩავარდე. სხვა არა იოსარა მე მაინც არ გებრალები! შენს მეტი ნუგეში ვილა მყავს, რომ შენც თავი მიმანებო. ხანდისხან შენთან არ დაკიჩიგლო ჩემი გულის დარდები, არ შემოგტირო ჩემი უბედური ბედი. რადა მეშველება. მოვითმინოთ, ლევანჯან, იქნება ღმერთმა გვიშველოს საიდანმე, ტირილით ეუბნებოდა კონა.

— კონა, ნუ ტირი. შენი ცრემლები გულს უფრო მიკვლენ. ჩემს უბედურებას შენიც ეშატება და მაშინ უფრო მოუთმენლად მინდა, რომ დავიკარგო სადმე. მოდი, კოგო, ერთად გავიქცეთ. წავიდეთ სადმე, შორს, შორს, რომ ქვეყანაზედ ვერავინ ფაიგოს, თუ შენ კოგო ხარ და მე ბატონიშვილი. ერთად მოკამგირედ დავდგეთ, ვიმუშაოთ, ფულები მოვაგროვოთ და მერე...

— მერე?

— მერე? სახლი გავიმართოთ და და-ძმურად ერთად ვიცხოვროთ.

— ბოგო, ბოგო! ძოისძა წიგალიიისახარისა. — სადა ხარ, შე გაგლეკილო, დაგავიწყდა, რომ სახლში შემოსვლა გინდა. აქ მოეთერ, აქა, შე უნამუსოვ.

კონა ნელა წამოდგა ფეხზე. ეს იყო ყარყარა. მაგრამ მეტად სუსტის ბებულობისა. იმის ტანს რალაცა ბუნებრივი ლაზათი ჰქონდა და წუნარი მისვრა-მოხვრა. იყო ფერ-მკრთალი და იმის ლამაზი შავი თვალები მუდამ დაღონებულნი გაიყურებოდენ უფსკრულში, სადაც უიმედოდ იკარგებოდა იმის მოძავალი. ბელეშად შეკერილი თეთრი ჩითის კაბა, წითელი გასუნებული თავსახვევი, ქალ-ბატონის გამოხანცვალი დაწიწკნილი ბაშმაკები, შეადგენდენ იმის მორთულობას. ამან გულით ამოიოხრა, ლევანს გადახედა, შეაგრეგა ბავშვები და შეკიდა სახლში.

V

ლევანი მწვანეზე გაიშოტა, დაებჯინა თავით ორთავ ხელებს და დაუწყო ყურება წყლის შეუყენებელ მდინარეობას. ათას-ნაირი ფიქრები ტრიალებდა ამ ობლის თავში. რა მოგელის მე? რა მქვიან მამი-ჩემის ოჯახში, ან ქვეყანაში? ბავლიკა ბიჭს უფრო მეტი ალაგი უჭირავს ცხოვრებაში, მახამ მე. ორი სმა რომ მაღლა ამოვიღო, ჩემი დედი-ნატვალი მაშინვე გადმამბღვირებს; ოკეან-წამს სცდილობს სიცოცხლე მოგიშხამოს. აბა რა იყო დილას მიზეზი? ჯერ თითონ მლანძღა-

მერე მამას მიუტანა ენა, გამლანძღაო და კინალამ ჯოხით მა-
ცემინა. ოჰ, ნეტა კი ეცემა! მიზეზი მაინც შექნებოდა, ჩემი
გულის შხამები გიზედმე გადამესხა. მამა-ჩემი! უხასიათო, უსირ-
ცხვილო! ოღონც თითონ აიციოს ბარბარეს ლანძღვა ან თუნ-
და იმისთვის თვრამეტი წლის ვაჟ-კაცი გალახოს, რა უშავს.
რა უშავს? ხელი ესლო და მაშინ ნახავდა, რაც უშავდა. მაგ-
რამ რისთვის ვიტან ამდენ ტანჯვას? რითი მაქვს იმედი, თვრი
შეეუცვალო ჩემს უბედურ ყოფა-ცხოვრებას? ნუ თუ კონას
დატოვება მაბრკოლებს? რა ვიცი, ყოველთვის წასვლას რომ
დავაპირებ და იმის დაღონებულ სახეს წარმოვიდგენ, მრცხვე-
ნიან, ვულალატო და ხუთი წლის ამხანაგობა დავარღვიო. საწ-
ყალი! მთელი იმის სიცოცხლე ცემა-ტყეპაში მიდის. რასაც
ბარბარე აკლებს, იმას იისახარი უსრულებს. ცემა ცემაა და გა-
უპატიურება ყოველ-წამს ხომ უარესია. გუშინ კონას ქურდობა
დაბრალეს. კონამ მოიპარა! განა კონას მოპარვა შეუძლიან
რისამე, მაგრამ ვინ არის გამრჩევი. კონა უპატრონო ობო-
ლია, მოსარჩლე არავინა ჰყავს და ყოველთვის მტუანი უნდა
გამოდიოდეს. «ვიღას შევტირო ჩემი უბედურებაო,» საწყალი
ვიღას უნდა შესტირის, მართლა? მთელი სახლობა მგლები-
ვით შეჰყურებს და მეც ოავი დავანებო? არა. იმასაც უნდა
ვუშველო და ჩემს თავსაც. ჩემს მეგობარს ალექსანდრეს მივ-
წერ, დარიგებას ვკითხავ. ის უთუოდ გზას მიჩვენებს. იმის
გულში იმდენი სიყვარულია, რომ გაჭირვებულს უთუოდ ხელს
მოამაშველებს.

VI

«ძმაო და მეგობარო ალექსანდრე!» სწერდა ლეკანი იმავ დღესვე, გოგრაძეს, «თქვენ კარგად მოგეხსენებათ ჩემი მდგომარეობა. მე თქვენ ყოველთვის ისე გიყურებდით, როგორც ძმას ან ძმურადაც გიამბობდით ჩემის ოჯახის ამბავს. თქვენ მირჩევდით, მოთმინა, იქნება მამი-ჩემის გულს როდისმე გაელვიძნა და ჩემთვის გზა მოეცა რამე. მაგრამ იმის გულის გალვიძება შეუძლებელი ყოფილა. ჩემი მოთმინება გათავდა, მეტი ალარ შეიძლიან. დღეს მე კაცი კარ, თვრამეტის წლის კაცი. მე თქვენის მოწყალებით ვიცი რა არის კაცი. მე თქვენის მოწყალებით ვიცი, თუ რა დამოკიდებულება უნდა იყოს კაცებ შუა და მოთმინება ალარ შეიძლიან. ჩემი ვინაობა აუწერელია. მე ყოველ დღე განდეგნილი კარ, ყოველ დღე თავ-ლათ-დასხმული მამი-ჩემის სახლში. მინდა თავი განვითავისუფლო ამ სიბნელიდგან და იმედი მაქვს ხელს მოიმართავთ, დარიგებას მოიცემთ და გზას მიჩვენებთ. ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ მეორე ტუვე, რომელიც ჩემთან უნდა განთავისუფლდეს ბევრით უარესს დღეშია და იმის იქ დატოვება ჩემგან უსინდისობა იქნება. გეხვეწებით, მალე შემატყობინეთ პასუხი. მე იქამდე ალელვებული კარ, რომ მეშინიან, ფათერაკი არა შემემთხვეს-რა. ერთი რომ უსაფუძვლოდ გამლანძღონ, ერთი რომ კონას ჯოხი მოუღერონ,— ვინ იცის, იქნება თავი ვეღარ შევიმაგრო და უბედურება მოვახდინო რამე. მირჩიეთ, რა ვქნა! მირჩიეთ!»

ერთ კვირაზე ლეკანს შემდეგი პასუხი მოუვიდა გოგრაძისაგან: «ლეკან, მე დიდად ვწუხვარ, რომ შენში ადამია-

ნური ასრები ალკასრ. მე მინდოდა კაცად მექცია და ის კი ველარ მოვიაზრე, რომ მაგ ასრებით სადა გტოვებდი! როგორ შეგეძლო აგეტანა ის უზნეობა და ბარბაროსობა, რომელიც შენს სახლში ტრიალებს. მე მინდოდა კაცი ყოფილიყავ და ის კი ველარ მოვიფიქრე, რომ ბოლომდის შენი გზაზედ გაყვანა ჩემს ხელთ არ იყო. მე მაშინვე ვერ მოვიფიქრე რომ უნდა მგელი ყოფილიყავ, რომ მგლებში მგლურად გელ-ბუილა, რომ ბატკანს უთუოდ გადაგყლაპავდენ. მაგრამ შენ ისეთი ძასალა იყავ შენის უმანკოებით, შენის ბუნებრივის ნიჭით და უბედურებით, რომ შეუძლებელი იყო მე მაგ ძასალისთვის ხელი არ მომეკიდნა, არ შემეძუშავებინა. თუმცა კი შენი სრულიად დახსნა მაგ ყოფილამ არ შ ეძლო. მე ვგრძნობ შენს მდგომარეობას. მე მესმის შენი გმირული სურვილი, რომ გონაც გინდა განთავისუფლო, მაგრამ როგორ უნდა მოგაწვდინო ხელი! იქნება არც კი იცი, რომ შენ მტირე-წლოვანი ხარ და არ შეგიძლიან მამის სახლი მიატოვო და თანაც ტებილ ლუკმა, მუქთი მოსამსახურე გამოჭვლიეკო. განონით მამას შეუძლიან შინ დაგაბრუნოს, სასტიკად დაგსაჯოს, შემდეგში უარესს დღეში ჩაგაგდოს. და თუ მოახერხებ და წამოხვალ, ჩემი სასლი შენთვის ყოველთვის მზად არის. თუ ბრძოლა იქნება საჭირო შენის განთავისუფლებისთვის, რამდენადაც შესაძლო იქნება, კიდეც ვიბრძვი. მაგრამ რაღა ვქნათ მაშინ, რომ უფალმა ამაოდ ჩაგვიარონს და მამა-შენმა შინვე დაგაბრუნოს?!»

VII

ლევანმა კონას გადასცა ალექსანდრეს პასუხი. ის შეძრწუნდა, როგორ თუ უნდა გავიბარეთო. მერე ქალ-ბატონი რას

იტუვის? ამას ვერ წარმოედგინა, რომ ქალბატონის წინაალმდეგ ნებიჯის გადადგმა შესაძლებელი ოთოვლიყო. ეს ისე შეეჩვია მონებას, რომ თავისუფლება ვერც კი წარმოედგინა. — მერე რომ დაგვეწივნენ და დაგვაბრუნონ!

— დაგვაბრუნონ?.. ჩვენ ჩვენსას ვუცადნეთ და თუ დაგვაბრუნებენ, მაშინ სხვათრივ ვიფიქროთ. მაშინ ბრძოლა გაიმართება და გამარჯვება იმას დარჩება, ვინც უფრო ღონეს გამოიჩენს. შენ შენი ბარგი შეკრული გქონდეს. მე მთაში წავალ, იქნება შალბაშის ფულები მოვაგროვო რამე. მე მამა ხანდისთან გამგზავნის ხოლმე ფულის ასაკრეფად და მთიულები ფულს არ დამიჭერენ. ფული რა კი გვექნება, ფიქრი აღარ არის. რ ის გზამდის როგორც იქნება ჩავალთ და შემდეგ ალექსანდრე მოგვეშველება.

ერთის კვირის განმავლობაში დიდს აღშფოთებაში იყვნენ კონა და ლეკან. დამკვირვებელი რომ ჭყოლოდათ ვინმე, ადვილად შეატყობდა ამათ მღელვარებას. ლეკან უფრო გულმაგრად და გადაწყვეტილებით მოქოდა გამგზავრებას და კონა კი თრთოდა. ამას წამ და უწუმ ავიწუდებოდა დაწყობილი საქმე. ბევრჯელ შუა ოთახში გაჩერდებოდა და თავისთვის რაღასაც ტუტუნებდა; ბავშვები ღრიალებდენ და კონას არაფერი ესმოდა. იისახარმა წიკვინი მოუხშირა, უფრო-და-უფრო ხშირად დაუწყო კონას კანჭებს შხოლის ლაწუნი, მაგრამ მდუმარებიდგან კი ვერ გამოიყვანა.

— დაგლახვრეს ჩემმა წმინდა-გიორგი ლანსხვისისამ! რა დაგემართა, შე გულ-მკვდარო, რაზედ გამოყრუვდი. ვირის ქეჩი ხომ არ გაკრავს, რომ ცემასაც კი ვედარა ჭვრეტნობ.

კვირა საღამოს ლეკანი მთიდგან დაბრუნდა და კონა გაიხმო:

— გოგო, ფულიკიშოვნე, ჩვენი საქმე კარგად არის. ამა-ლამ ფხიზლად იყავ, რამწამს სახლში ხმა მიწყდება, გაიპარ-ნეთ.

— ლეკვან, ლეკვან, არ შემიძლიან. მუხლები მიკანკალებს. გულ-ი როგორლაც მეუბნება, რომ დაგიჭერენ და მერე კაი ჩვენი ბრალი! ცოცხლად მიწაში ჩამსმენ. არ შემიძლიან, არა. მარ-ტო შენ წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

— აი, შე ლაჩარო, შენა. მერე მე სადღა კარ, კერ გიშ-ველი. ამაშ მე ბიჭი

ბუქრებთ. სოფელმაც გაიღვიძა. შეიქნა ერთი საშინელი აყალმაყალი. ზოგს უსარდა ეს შემთხვევა, ზოგს უკვირდა. გარებზე მოგრგვინე ხალხში სხვა-და-სხვა აზრი მოისმოდა.

— გაცხონე იმის მამა, ამბობდენ უმაწვილი ბიჭები,— რაც იმას ესენი სცემდენ, რატომ აქამდისაც არ გაიქცა. კ ოხერი ბატონ-ყმობა დიდი ხანია გადავარდა და ეგ საცოდავი კი უმაზე უარესს დღეში იყო.

— აი გაუწყდა სახელი იმ ურცხვს! ვინ იცის ვის გადა-ემიელს მიჭყვა და თავი გაიფუჭა,—უმატებდენ ბედა-კაცები.

ამ არეულ-დარეულობაში შეუნიშნავად სახლს მოუახლოვდა ტარანტასი. იქიდგან გადმოხტა სეირიდონ და ამაუად უბძანა ბიჭებს: გადმოიღეთ ეს უნამუსო და ახლა მე ვიცი რა-გორს თავისუფლებასაც ვუჩვენებ მაგას. ბარბარემ შეჭკივლა, იისაბარმა გულშემოიყარა, დიდი და ბატარა ტარანტასს შე-მოეხვია. გადმოიღეს კონა გაუვითლებული, მუხლ-მოკვეთილი და წინ დაუდეს თავის ქალ-ბატონს. ბარბარეში გაიღვიძა ეკ-ვლმა იმისმა ბირუტუულმა გრძნობამ; ის წამოვარდა ფეხზე და თავის ზორბა გვამით შეადგა კონას. ამას სრულიად და-ავიწყდა, ბოლო რა იქნებოდა ამის ბირუტუვობისა. ეს მხო-ლოდ ჭსედავდა თავის მსხვერპლს და ბირუტუვსავითვე შეუბ-რალებლივ სჯიდა მას. არც ერთი ხმა, არც ერთი კრინტი არ დაუძრავს უბედურს კოკოს, და თუ არ შეუნიშნათ იქ მდგომ ბიჭებს კონას გულ-წასვლა, იქნება ფეხ-ქვეშაც, ხმა-ამოუღებ-ლივ ამოსვლოდა სული. უძრავი კონა შეიტანეს სახლში.

— სად იპოვნე ეგ ძაღლის ლეკვი? დამშვიდებით ეთხრა ბარბარემ სეირიდონს, თითქო აქ არაფერი ამბავია.

— სად ვიპოვნე, ქალო და სტანციაში. წარმოიდგინე, გად-მოვხტი ვაგონიდგან თუ არა და ვნახოთ ხელი-ხელ ჩაკიდებუ-

ლი ლეკვნ და ეგ დარბაისელი შემოდიან იმავე ვაგონში. მა-
გათაც შემნიშნეს და გაქცევა დაუპირეს. გაქცევა რომ არ დაე-
პირებინეთ, მე აბა რას მიგსვდებოდი! მაშინ კი მიგხვდი, ვწვდი
და დავიჭირე გოგო, ლეკვანი კი თავ-დალმა დაეშვა და სად
წავიდა და სად არ, ვეღარა ვაგიგე-რა. დეე, წავიდეს, მორი
გზა არ ექნება და როცა ჩავიგდებ ხელში, მაშინ მე კიცი,
როგორც მწყრებს გამოვურეკ. ისე დავბუბნი, ისე, რომ სი-
ბერემდის ვეღარ დაიგიწყოს. ვაუ, ეს რაღაცა თავისუფლე-
ბაა, სულ გადაგვირია ბავშვები, რა ეშმაკად მიდგე იმ მჯადი-
ჯამია გოგრაშვილს, მაგრამ ტუილად კი არ არის ნათქვამი:
«ჩვენი საქმე მაშინ წახდაო, როცა დათვი საძაღლედ გა-
ხდაო.»

ორსა დიდ ხანს იწვა ლოგინში უგრძნობლად. არც მომ-
ვლელი, არც ხმის გამცემი იმის ბედობაზედ არავინ იყო.
მთელი დღეობით მწყურვალი, სიცხისაგან ყელ-ამომხმარი შეს-
ტვერდა ზეცას და ნატრობდა სიკვდილს. იისაბარმა ორჯელ
სამჯერ წამოაგდო თვალზედ, ეგონა რომ კონა ტუილად იწვა
ლოგინში, მაგრამ ორი ნაბიჯის გადადგმაზე კონა უძლურად
დაეცა თვალქანზე და მხოლოდ მაშინ მიანებეს თავი.

ამ ხანებში არაშენდას შემთხვევით მოგიდა ექიმი. მეზობ-
ლებმა ურჩიეს ბარბარეს, გოგო უჩვენეო და იმანაც სვინიდი-
სის გასაწმენდად მოიწვია. ექიმმა გადაათვალიერა კონას დაბ-
რანძული ლოგინი, ნოტიო კედელი იმის საწოლთან და ენეი-
ნას შენიშნა: «ამ მდგომარეობაში ეს გოგო ერთს კვირასაც
ვერ გაალწევსო.»

ენეინამ «მდგომარეობა» კონას ავადმყოფობას დაბრალა
და როგორც უნუგეშოს, ძვა მიაგდო. ხანდისხან, მეტადრე კვი-
რაობით, როდესაც დედა-კაცები მოცლით იყვნენ, შემოხედავ

დენ ხოლმე კონას. ზოგი დიდგულას ასმევდა, ზოგი ძირ-ტკბილასა, ზოგი დოს ბერანგში აწვენდა და შემდეგ ისე მი-ეგიწყებდენ ხოლმე. ყველას თავისი საქმე ბევრი ჰქონდა და კვირაობითაც საკმაოდ სთვლიდნენ იმის მოკლას.

ექიმის სიტყვამ არ გასწრა, თუმცა კონა მთელი ზამ-თარი ლოგინად იყო, მაგრამ რამდენიც გაზაფხულის სიცხემ გაალვიძა ქვეყანა, იმდენი კონამ თან-და-თან მოიკრიბა და კრთ მარტის თბილ დღეს ფეხზედ წამოდგა, მაგრამ კვი იმ წამო-დგომას. მკვდრის ფერით სახეზედ, წელში ორად მოკაკული, მძიმე და გასუფრელის ხვეღით საშინელი სანახავი იყო. მა-გრამ ბატონ-ყმობის დროს გაქვავებული გული იისახარისა და სისხლის მოყვარე ყასბის ქალი ბარბარე ვერ ამჩნევდენ თავი-ანთგანვე შემზადებულს სურათს. იმათთვის სულიერი თანა-გრძნობა შეუძლებელი იყო: სხვის ტირილი სიცილად ეიაჩნ-დათ და სხვის ტანჯვა ქეიფად. ისინი სკვებივით მიარდნენ თავიანთ მსხვერპლს და თითქო გაიხარეს, რომ ისე ადვილად არ გამოეცალათ ხელიდამ.

— ენეინას კახლავარ! საშინელის გველურის სიცილით მიე-გება ბარბარე გამოსვლის უმალვე კონას.— როგორ მოიხვე-ნეთ, ჩემო ბატონო?...

კონა გაოცებული შეჩერდა. მერე საშინლად თვალები დააჭყიტა და წაბარბაცდა.

— რა ენეინა იქნებოდი, დაუმატა იისახარმა, — გემოვნება კი გქონია! აი თუ ჩაიხუტებდი ენიაზს ჭუჭყიანს უბეში.

— რა კარგად მოუხდებოდა ენეინობა ახალგაცის გომბიო-სა! იქნება დედა-შენმა დაგარიგა, რომ აგრე მარდად მოქცეულ-იყავ? და სიკეთის მაგივრად, რომ მშიერი გაგაძღეთ, წინიდამ ათხრელი თვალები, უკანიდამ დაგეთხარა.

— საშინლად დამშვენდებოდა ტახტზე ჯდომა ლანჩა-შეხეულს და გამურეულ კონას. რა რძალი დაგიმშვენებდა, ბნეინა, ბგერდს, თითით საჩვენებელი კი იქნებოდა! მეხი კი დაგაყარე შენ თავზე, მეხი! შე წუწკო, კაცმა რომ შემოგხედოს მზეზე ნახშირს ვერ გამოარჩევ და მაგდენი კუდიანობა კი შეიძული.

— აი გახმეს ეგ ბოგრა, რომ შენიხთანა გომბიოები ვერ გაქალბატონდენ! — და ორთავ ხელებით თავში ჩაჭერა ბარბარემ კონას.

— ქალბატონო, ქალბატონო, დამეხსენით! ხელების მტვრევით ეუბნებოდა კონა. — დამეხსენით. ტუილად ნუ მწვავთ, ტუილად ნუ მაბრალებთ. განა არ იცით, რომ მე ეგენი თაგის დღეში თავში არ მომსვლია. შარს რად მიგონებთ, რადა? შემიბრალეთ.

— ხმა გაიწყვიტე, შე ძაღლის ლეკვო! შენ გინდოდა გაგიჩრქიანებინა ჩვენი ოჯახი, შენ გინდოდა პატიოსანი თავაზიშვილი დაგეღუპა და ხმაც ვეღარ უნდა გაგცეთ.

— ქალბატონო, გეუბნებით, დამეხსენით. მეტა მოთმინება აღარ შემიძლიან! მეც ადამიანი ვარ, ჩემს გვამშიც ადამიანის სისხლი ტრიალებს, შემიძლიან მოთმინება დავკარგო და მაშინ... კონა წელში გაიმართა, სახე გაუწითლდა და ეს სიტყვები ისეთის სიმამაცით სთქვა, რომ ცოტა არ იყო შეაშინა თავისი მტრები; მაგრამ ერთის წამის შემდეგ ისინი უარესის გატოფვით მივარდნენ:

— ეა, ვერა ხედავთ, როგორ ენა აბოიდგა. იქნება შენ შენი თავი მართალი ბნეინა გგონია! მოდი, ბარემ დამკარ კიდეც, რადა. თორემ რა, თორემ რა? ხმა ჩაიწყვიტე, ხმა, თო-

რემ ისე გაგტლი ბუწუწებიდგან, რომ დედა-შენმა მართუამაც ვეღარ გიცნოს.

— ოხ, ღმერთო, ღმერთო, მომათმენინე! იტყოდა ხოლმე კონა და ბარბატით, კბილების კრაჭუნით გავიდოდა გარედ.

ამ გვარმა უსამართლო ტილის-წამებამ კონას ჩუმი და უფერული ხასიათი სრულიად შესცვალა. ეხლა ეს ჩუმად აღარ ემორჩილებოდა თავის ბედის წერას, ჩაისახა გულში შურისძიება და დღე ღამ ამის საფიქრებელი ის იყო, თუ როგორ გადეხადნა თავის მტრებისთვის სამაგიერო. გმელსა და გაუთავებელს ღამეებს ატარებდა უძილოდ ხვეულების გამო და სულ იმ ფიქრში იყო, თუ როგორ აესრულებინა თავის განზრახვა. «ლევანი ყოველთვის მზად იყო შურის საძიებლად, მაგრამ დასჯისა ეშინოდა.» ეუბნებოდა თავის-თავს კონა «და მე რიღასი მეშინიან? მე ხომ დიდი ხანი აღარ დამრჩენია სასიცოცხლოდ და ისე მაინც მოვკვდე, რომ მაგათი ჯავრი არ წამოვეს. ერთ მუჭა სისხლს მაინც დავლევ ჩემის სიცოცხლის თვისად, ოხ, ლევან, ლევან, რა მიყავი, თავისუფლების მაგივრად სიცოცხლე უფრო რად მომიწამლე?»

ახალ-ახალი ზნეობის დამამცირებელი მოქმედება და დაცინვა ბარბარესი და იმის ერთგულის მოახლისა უფრო და უფრო უმტკიცებდა ამ აზრს კონას თავში. ბოლოს იქამდის მიაღწია, რომ თითქმის ჭკუაზე შესცდა ამ აზრზე. «რითი მოვკლა? ან რაშელი მოვკლა?» ხშირად ჰკითხავდა თავისთავს.

ერთხელ თავის უთოს აღაგებდა და კუნჭულში იპოვნა პატარა ლამაზი კალმის დანა. ეს ლევანის პირველი საჩუქარი იყო და შიშით ვერ აჩენდა კონა, რადგანაც ყოველი ამის საკუთრება უთუოდ გადავიდოდა ხოლმე იისახარის ხელში. ერთ-

ხელ სტუმრებმა კონას თეთრი თეული ასუქეს და ისეთის სისწრაფით გამოჭგლიჯა ხელიდამ, რომ კინალამ თითებიც თან გაატანა. კონამ დანა ფაფრად გასინჯა, გადატრიალ-გადმოტრიალა და ჯიბეში ჩაიდო. ამ დროიდგან კონას შესანდობლობა სრულიად შეიცვალა, ტანში გასწორდა, ფიფქი სიმაღლეც მოემატა, თვალებს ეფეთო, გაუვითლებული ლოყები გაუწითლდა, მოძრაობაში სისწრაფეც დაემჩნია. ამან შეიერიფა რაც დარჩენილი ძალი და ღონე ჭქონდა შურის-ძიების ასასრულებლად, და ლოდინიც დიდ ხანს არ მოუნდა. ერთხელ კონამ ბარბარეს ძვირ-ფასი შალი დასწვა უთოში. ბარბარე გაათბრდა. მოჭგლიჯა კონას თავშალი და ქოჩრის წიწკნა დაუწყო. «აი, შე წუწკო, შენა. ანა ესლა გიშველოს, ანა ახლა მოგიტანოს შენმა კნიაზმა, ანა გაგანთავისუფლოს!» და თან ლუკმა-ლუკმა აგლეჯდა ყორცებს. აისახარიც შემოვარდა და ქალბატონს კვერი დაუკრა. კონა ათრთოლდა, უკანასკნელი ღონისძიება მოიხმარა და ბარბარეს ხელიდამ გაუსხლტა, ცოფიანივით დორბლი გასდიოდა ბირიდგან, თვალები წინ წამოუცვივდა, ულში ხრიალი დაიწყო და თვალის დახამხამებამდის თავისი დანა ბარბარეს გულში ჩაარჭო. მაგრამ კმაყოფილების მაგივრად დატორტმანდა, გვერდზედ ხელი წაიკლო და უსულოდ დაეცა ბარბარეს ფეხთით. ბირიდგან სისხლი გადმოსდა და შეერთდა ქალ-ბატონის სისხლსა. ამავ დროს მეორე კრებიდამ შემოვარდა მართა ჩურჯინით დატვირთული. ამან ძღვენი მოუტანა ქალს მოსაკითხად. ძღვენს ელირსა თავის გულითადის ზრის ასრულება. მოვიდა ქალის გასანთავისუფლებლად და დაინახა, რომ განთავისუფლებამ დასწრო, განთავისუფლებამ საზარელმა, ძაგრამ ნამდვილმა და საუკუნომ...

VIII

ბარბარეს დაჭრილობა ძლიერ მტირე გამოდგა. არც ია-
რადი და არც ძალა საკმარო არ იყო, რომ იმის გასუქებულ
მკერდში ჩაეტანებინა. ლეკანი იმავე დღესვე, როდესაც მამას
სტანციიდგან გაექცა, ტივით ქალაქში ჩამოვიდა. გოგრაშვილის
შემწეობით და ნათესაების მაშუალობით სთვირიდონი შეუ-
რიგდა თავის შვილსა და თვეში სამი თუმანი საზდოდ დაუ-
ნიშნა. ლეკანი გიმნაზიაში სწავლობს და იმედი აქვს უმაღლე-
სი სწავლაც მიიღოს. ამის შრომით საკუთე სიტოვხლეს ძლიერ
ხშირად ამღვრევს ის აზრი, რომ ამხანაგს უმტუუნა და სათ-
ნო კონა უმეცრების მსხვერპლად გაჭხადა.

ეკ. ზაბაშვილისა.

«მომილოცნია ახალი წელი!»

I

ყამთა მდინარე მირბის და მირბის,
მაგრამ ქვეყანა უცვლელად რჩება;
ვინც დღემდის სტირდა, ის ისევ სტირის,
ისევ იტანჯვის და ეწვალება,
მაინც ახალის წლისგან ელიან
შვებასა, ლხენა, ბრძენი, სულელი
და აღტაცებით გაიძახიან:
«მომილოცნია ახალი წელი!...

II

მეც არ დავკარგავ მამა-პაპურ წესს,
არ გადვიწყვეტავ შვების იმედსა;
ამ წელიწადსაც კიდევ გამოვცდი
ჩემს დაუნდობელს ბ მუხთალ ბედსა.
და ახლაც, როგორც წარსულ წელშია,
ვიმხიარულებ გულითა წრფელი,
და ვეტყვი ყველას, თასით ხელშია:
«მომილოცნია ახალი წელი! ...»

III—IV—V—VI.

. . . . . .

VII

ვინც ძველის წლისგან გულ-ნაკლულად ხართ
და ახლისაგან მოელით შვებას;
ვინც წარსულშია წაგებულნი ხართ
და მომავალში ელით მოგებას,—
გამოდით ყველა რკინის კეტებით,
ძველს წელიწადსა მოგწუვიტოთ წელი
და ყველას გუთხრათ საკსე თასებით:
«მოგვილოცნია ახალი წელი!...»

ი. ბაქრაძე.

(ხალხური ლეგენდა).

ქორწილი სასძლო-განთქმული მოდის და მოიშლერისა;
შეუპოვარსა, ძლიერსა არ ეშინიან მტერისა...
წინ შეეხეჩა ვიღაცა, თოთი ჭკიდია მხარზედა,
არ მოერიდა ქორწილის ფეხი არ გადგა განზედა...
ეწეინა ძლიერ ქორწილის, თამამი ქცევა მგზავრისა,
ვენთო, გულში გაივლო, ამოერა მისის ჯავრისა...
მაგრამ ჯერ ჭკითხა უცნობსა: «რაზედ თავხედობს იგია?...»
ან რა რკინაა, რომ იმას ზედ მხარზედ გადუკიდია?...»
მგზავრმა არ გასცა პასუხი, მოიგდო თოთი ხელშია,
ჭერა ეორანს, სული გაუფთხო, გაჭეღილა შუა წელშია...
თავს-ზარი ეცა ქორწილის, პირველად, რაც კი შობილა.
გაიგო, თოთი, რისთვისაც, რა მოსახმარიც ეოფილა...
მაშინ წარმოსთქვა ვაჟ-კაცმა სიტყვა სწორი და მწარეა:
«ავი და კარგი გასწორდა, გასწორდა მთა და ბარია!...»

თ. რაფ. ერისთავი.

დავით გურამიშვილი და მისი დრო.

წერილი მესამე *).

დამარხეს რა ასტრახანს მეოცე ვახტანგი, მისი ამალა დაბრუნდა მოსკოვს, სადაც მას ჰქონდა სახლ-სადგომი და სარჩო-საცხოვრებელი. მათთან წავიდა მეფის-შვილი ბაქარიც. ამ ქართველობას მიჰყვა მოსკოვს ჩვენი პოეტიც დავით გურამიშვილი, რომლის ბედი და უბედობა ამიერიდგან შეერთდება ამ ერთი-მუჯა ქართველობის თავ-გადასავალთან.

მეფის სიკვდილმა სრულიად შესცვალა ქართველთა მდგომარეობა. ამ დროიდის ისინი პატივში იყვნენ, კარგი ჯამაგირები ჰქონდათ და მაშინ კი მოაკლდენ მეფის წყალობას. ამასთან აუსის მთავრობამ მოუკვეთა მათ სრულიად ის ჯამაგირი და სარჩო (ოიკა, ძერი, პური, შეშა) (Пол. Собр. Зак. Р. Имп. т. VII № 4818), რომელიც ეძლეოდა იმ დროიდის მეფის მხლებლებს (Пол. Собр. Зак. Росс. Имп. т. X. № 7545 и 7952; იხილე აგრეთვე შესანიშნავი თხოვნა მეფის-შვილის ვახუშტისა დედოფლის ელისაბედ პეტრეს ასულის სახელზე. საიდგანაც სჩანს, რომ მასაც მოუჭრეს სარ-

*) პირველი და მეორე წერილი დაბეჭდილი იყო 1880 წელს, «ივერიის» პირველსა და მეორე წიგნში; მაგრამ ამ წერილს ცალკეც თავისი ისტორიული მნიშვნელობა არ აკლია. რედ.

ჩო, რომელიც იმ დრომდის ეძლოდა. Переп. Груз. Царей съ Русск. Государями стр. 220—221). თვით ბაქარსაც სარჩო მეტად შეუმცირეს და დიდის ამალის რჩენა მას აღარ შეეძლო.

ამ ნაირად ქართველობის მდგომარეობა განურკვეველი, განუსაზღვრელი იქმნა. რა უნდა ექმნათ მათ? დაბრუნებულიუვნენ სამშობლოში, როგორც უბრძანა მათ განსვენებულმა მეფემ სიკვდილის წინ, თუ განეგრძოთ ცხოვრება რუსეთშივე? თბილისის ოცი წელიწადი გავიდა, რაც მათ სამშობლო დაეტოვათ და რა მოელოდა მათ საქართველოში. რომ დაბრუნებულიუვნენ? ბევრს დახვდებოდა სახლ-კარი ოხრებული, ოჯახობა აკლებული, გლეხ-ყმობა დატაცებული, ქონება დაბნეული. რუსთ-მთავრობას სურდა მიეზიდნა ისინი თავის სამსახურში— ჯარში, და ამ პირობით უქადდა მათ კარგს სასყიდელს და ბევრს იმედებს. ამის გამო ქართველობას დიდი ყოყმანობა დაეტყო, რადესაც საქართველოში დაბრუნებაზე ბჭობა—ცილობა ასტყდა.

ნამდვილად არ შეგვიძლიან ვსთქვათ, თუ რა აზრისა იყო ამ შემთხვევაში თვით ბატონიშვილი ბაქარი; მაგრამ გურამიშვილის სიტყვებიდამვე სჩანს *), რომ რუსის სამსახურში შესვლა წინაალმდეგი იყო იმის აზრისა, მით უმეტეს, რომ რუსები პირობას ართმევდენ ქართველობას— უთუოდ მიეღოთ ფიცის ქვეშ სრული ქვეშევრდომობა რუსეთისა და სამუდამოდ რუსეთში დარჩენილიუვნენ (Пол. Собр. Зак. Р. И. т. X № 7545). ბატონიშვილს აღბად ჭსურდა, რომ იმის მამის

*) «ქართველნი სცდენ და გაუტეხეს მეფის ვახტანგის მცნებაო,
«წინ წაუარეს ბაქარსა, საქმე ქნეს თავის ნებაო.»

ჯარს ან ემსახურნა მისთვის და არა რუსის ხელმწიფისათვის, ან მიქცეულიყვნენ საქართველოშიგე. ბევრი ქართველობა ალ-ბად ეოუმახობდა და ვერ ბედავდა თავის ბატონის დატოვებას. აი როგორ მოგვითხრობს ამაზე თვით პოეტი:

«მას დროს რუსთა სთქვეს: ქართველნო, ეს თქვენცა გა-
გეგონება,
თვით ქრისტე ბძანებს, ძნელია ორთა უფალთა მონება;
იწამეთ ერთი უფალი, თუმცა გენებოსი ცხოვნება,
ან წადით, ანუ დადექით, თავს ნუ მიეცით ღონება.
«ჩვენ ოცს წელს იქით სტუმარსა ვერ უზამთ თავაზასაო,
შემოგვეწევის თუ არას, მუდამ ვერ ვაჯმეკთ მზასაო.
თუ რომ დასდგებით ჩვენ თქვენთვის მოვმზადებთ კარგს
მაზასაო,
ღ თუ არ დასდგებით, დრო არის მიბძანდებოდეთ გზასაო.»

წინაადმდეგ განსვენებულის მეფის ბძანებისა და ბაქარის ნებისა ქართველობამ გარდასწყვიტა რუსეთში დარჩენა და არ-ზის მირთმევა ხელმწიფის ანნა იოანის ასულისადმი 1738 წლის დამდეგს. არზაში მოიხსენიეს, რომ მათ, ქართველებს, განსაკუთრებითი ჯავრი სჭირთ რუსთა მტრებისა და უნდათ თავი გამოიჩინონ მათთან ბრძოლაში, სთხოვდენ მიეღოთ ისინი სამხედრო სამსახურში და დაებრუნებინათ სარჩო-ჯამაგირი. რომელიც იმ დრომდის ეძლეოდათ ხაზინიდგან. ამ მთხოვნელთა რიცხვში იყო აგრეთვე ჩვენი პოეტი გურამიშვილი, საზოგადო ლტოლვით გატაცებული. უეჭველია, რომ ბაქარს არა ჭსურდა მისი მოშორება, რადგან ის განსაკუთრებით დაახლოებული იყო იმის მამის ოჯახობასთან და დაუფასებელი კაცი იყო სასახლეში. როგორც მოშაირე, მხიარული მობაასე, ხუმარა და შოცისარე. ჩვენ კიცით, რომ ამ თვი-

სების გამო გურამიშვილმა პირველშივე შეუკვრა განსვენებულს მეფეს თავი და მიიღო მის სასახლეში, მაშინ ჯერედ კიდევ არა სრულ ჭესაკოკანმა, ჯაბადარ-ბაშობა (თოფ-იარაღის გამგეობა). ესლა რამ შეუცვალა გულით პოეტს ნუ თუ ჭეშიკრობდა,—ბატონიშვილი ბაქარი, განათლებული და განათლების მქებნელი ვერ დააკმაყოფილებდა მისს ნიჭს, და ვერ განაუმჯობესობდა მისს ბედსა? არა, პოეტი იქმნა გატაცებული საზოგადო სურვილით, მას ჭსურდა საკუთარის შრომით, ბრძოლის ველში მოესვენა სახელდ. შემდეგში მწარის სინანულით აღიარებდა პოეტი ამ თვისს შეცდომას, ბატონიშვილის ბაქარის დატოვებას.

«შევსცდი ჯ მწყემსსა წაუვალ, გაუდეგ ძრუდად ძოვნასა,
აწ დავკარგულვარ თავთათვის, აღარ მოველი პოვნასა.
უძღებებამან რა ქ�, ხედავთ ამ ჩემსა შოვნასა;
ჯ სიმსუქნისათვის დავბეგლი, ძაღლნი შესჭამენ ქონასა.»

რუსთ მთავრობას ძალიან იამა ქართველობის თხოვნა სამსახურში შესვლის თაობაზე, რადგან იმ დროს რუსეთი გაჭირვებულს მდგომარეობაში იყო. პოლიტიკური ცის-კამარა რუსეთისა თან-და-თან იმოსებოდა შავის ნისლებითა და ბნელი მომავალი ჭარჭს ჯრას ჭეშირდებოდა. კიდევ ამას წიხად, როგორც კიცით, ნადირ-შაჭმა ერთს-ორს-თვეს გაუქმა ყოფილი ნამოქმედარი რუსთ-მთავრობისა კავკასიაში, შეუერთა რა უკანვე სპარსეთს რუსებისაგან მოჭრილი კასპიის ზღვის ნაპირები და ემუქრებოდა კიდევ უარესს. ოსმალოს ჯარიც აიშალა წინააღმდეგ რუსეთისა და განაძღიერა შავის და აზოვის ზღვის ნაპირები, აღელვა ჩერქეზები, რომელთაც დაიწყეს რბევა რუსეთისა დონის და ყალმის (ვოლგის) პირამდის, ცარიცინსა და სამარამდის. შვედის მთავრობამაც თავისთვის

ჯამოიყენა ეს შინაური სისუსტე რუსეთისა (ბირონის დროს) და მოინდომა პეტრე დიდის დროს წართმეული ადგილების დაბრუნება. დასასრულ, რუსეთი შეზიდულ იქმნა ევროპიულ ომში აუსტრიის ტახტის დასაცველად და ბოლოს შვიდ-წლოვანს ომშიაც (семилѣтняя война), რომელიც ასტუდა ახლად დაბადებულ სახელმწიფოს პრუსიასა ლ ევროპიულთ სახელმწიფოთა შორის. ეგრეთს გაჭირვებულს მდგომარეობაში რუსის მთავრობას მართებდა ესმარა ჭკვანასვნელი ძალა, რომ ძლევა-მოსილი გაძოსულიყო ამ საძნელო გარემოებათაგან.

რასაკვირველია, რომ ქართველობის თხოვნა სამხედრო სამსახურში შესვლაზე შეწუხარებულ იქმნა რუსეთის მეფისაგან, რომელმაც გამოსცა საკუთარი ბძანება (უქაზი) ამის შესახებ 25 მარტს 1738 წ. (Пол. С. З. № 7545). ბრძანება, სანატისადმი მიწერილი, განაწესებდა შემდეგს: 1) უნდა დაარსდეს ქართველთა გუსარის პოლკი, პირველად მხოლოდ მთხოვნელებისაგან; 2) პოლკს არ ეძლიოს ჯამაგირი მშვიდობიანობის დროს და არც მაშინ, როდესაც პოლკი რომში არ არის; 3) ჯამაგირის მაგიერ მიეცეს საძოსახლო ადგილები მთელს პოლკს ერთად მცირე-რუსეთში, სამზღვარს ახლოს, ნაკვეთ-მიწა-წყლით და გლეხ-კაცობით საუკუნო, საშვილიშვილო საძოვლობელად. გლეხები მიეცემათ თავადებს, რომელნიც ეხლავ შეკლულ სამსახურში, ოც-და-ათ-ათი კომლი და მათ მცირე-წლოვან შვილებს ადასაზრდელად ხუთ-ხუთი მოსახლე; აზნაურშვილებს ექვსს ათ-ათი მოსახლე... 4) თავად-აზნაურთ, საძსახურში შესვლამდის ფიცი უნდა მისცენ, რომ დარჩებიან საუკუნოდ რუსეთში, როგორც რუსეთის ქვეშევრდომნი ლ უპასპორტოთ არსად წავლენ; 5) როგორც ომიანობის, ეგრეთვე მშვიდობიანობის დროს თავად-აზნაურთ უნდა ჰუაკდეთ ცხენ-,

ჰქონდეთ საკუთარი თოფ-იარაღი და ყოველი მოწყობილება. 6) ვინც ისურვებს რეგულიარულ ჯარში შესვლას, ისინი მიიღებიან ლირსებისამებრ.

გუსარის როტაში ითვლებოდა 89 კაცი (Пол. С. З. № 7545), იმათში უფროსად (კაპიტნად) დაინიშნა თაკადი მაგულა *) დავიდოვი, პორუჩიკად ქაიხოსრო გურიელი და ელისეა ამილახვარი **); პრაპორშჩიკად დიმიტრი ორბელიანი (ორბელიანი) და დავით ერისთავი; ვახმისტრებად— იესე ციციშვილი, ამირი ჩოლოქაევი (ჩოლაყაშვილი), გერასიმე ანდრონიკოვი, ათანასე ქობულოვი, ანდრია და ვახტანგი არბელოვი (ორბელიანი). სხვა თავად-აზნაურობა უბრალო რაზმში ჩაითვალა. ჯარში უნდა ყოფილიყო ერთი მწერალი, ერთი დალაქი, ორი მებარაბანე და ერთი მღვდელი ქართველთაგანნიკე.

მოხსენებულთ პირთ გარდა ჩამოთვლილნი არიან კიდევ შემდეგნი თავადნი, რომელთაც ერგოთ ოტ-ოტ-და-ათი მოსახლე კაცი: მერაბ ანდრონიკოვი, სვიმონ ჩოლოქაევი, ოთარ ერისთავი, ვახორ გურიელი, იორდანე ბარათოვი, დიმიტრი შალიქოვი, გერასიმე და შიო ჯაგასაშვილები ***), ნიკოლოზ ძანგელოვი და უკანასკნელ მოხსენებულია ჩვენი პოეტი დავით გურამოვი. მოხსენებულია აგრეთვე ოთარ ჩოლაყაშვილი. ბუტკოვის წიგნში ხსენებულნი არიან მელქისედეკ ბარათაევი, ვახტანგ თურქისტანოვი, თავადნი საღალოვნი, ხერხეულიძენი, იაგორ და ეგეგანი ამილახვარნი.

---

*) ანუ მამუკა (Бутк. I, 65).

**) ღენერლობა მიიღო და მოკვდა 1767 წ.

***) ეს ის დავარიშვილი უნდა იყოს, რომელსაც ჩვენი პოეტი პირველადვე შეეჯახა მეფის ვახტანგის სასახლეში შაირობაში.

ასნაურებში ჩამოთვლილია: მერაბ ზედგინოვი, დავით რატიევი, სიმონ ბურდიევი, გოდარრი სტეფანოვი, რ. ამმაზოვი, შ. კარკალევი, გ. ჩიკონტი, ბ. რუბაკოვი, ი. კახოვი, ტ. კონჩელოვი, ე. მიქილოვი, რ. გოდერზოვი, და კ. იბზირიტოვი. ამათ მიეცათ ათ-ათი მოსახლე გლეხობა (Пол. С. З. იქვე).

ბძანების მოსმენამ დიდი უკმაყოფილება დაბადა ქართველთ თავად-ასნაურობას შორის. ბევრი გამოჩენილი და ნამსახური თავადობა დარჩა უბრალო რიგში, უჩინოდ; გარდა ამისა, მათ არ მოსწონდათ, რომ უველა თავადებს ერთნაირად დაურიგეს გლეხები, როდესაც მათში იყვნენ განთქმულნი გვარნი და დამსახურებულნი გვამნი, რომელთაც ვახტანგის სასახლეში საჩინო ადგილი ეჭირათ. ესლა კი უკეთესი ადგილები გუსარის პოლკში ერგო უბრალო კაცებს. უველაზე უფრო უკმაყოფილო დარჩა დიმიტრი ორბელიანი, ვახტანგისა და იმერეთის მეფის ახლო ნათესავი და გავლენიანი კაცი უაბარდოში და მთიულეთში, სადაც მას ჰქონდა კავშირი უწარჩინებულეს პირებთან (П. С. З. т. X, № 7614). უკმაყოფილობა გამოაცხადეს აგრეთვე ნოდარ ბარათაშვილმა, გერასიმე და შიო ჯაგასიშვილებმა, დიმიტრი შალიკაშვილმა და არ ისურვეს გუსარის პოლკის უბრალო რიგში ჩადგომა. დიმიტრი ორბელიანმა მთავრობას სთხოვა გადაეყვანათ უცხო-ხალხთა კოლეგიაში (иностранная коллегія), სხვებთა კი ზემოხსენებულთა ითხოვეს გარდასვლა ან გარდავიდნენ კიდეც მინიხის ირრეგულიარულს ჯარში (П. С. З. т. X, № 7545). თუმცა დიმიტრი ორბელიანის გარდასვლას დიდა წინააღმდეგობა გაუწია ქართველთ გუსარის პოლკის უფროსმა მამუკა დავითიშვილმა, მაგრამ, მგონი, ვერა გაწყობრა (П. С. З. т. X, № 7614 п. 3).

ამათ გარდა ბევრი გარდავიდა ეგზალტირში; რამდენიმე შეეერთდა კიდევ მინიხის ქვეითა �და ზოგთა აირჩიეს სხვა გვარი სამსახური. თვით ჩვენი პოეტიც, ფასაკვირველია, უმაყოფილოთა რიგში ჩადგებოდა; მას ერგო პოლკში უბრალო ადგილი მეორარისა. მაშინ როდესაც ვახტანგი სასახლეში შესამჩნევი ადგილი ეჭირა; თუმცა კი მაინც მოთმინებით აიტანა ეს უსამართლობა. ამ რიგად ქართველთ პოლკის ბედი კინაღამ თავიდამვე არ დაირღვა. ჩვენ არ ვიცით ნამდვილად მოსდევდა თუ არა ამ უკმაყოფილებას რაიმე უწესობა, ნამდვილი ჩხუბი, ცემა-ტყეპა, თუ მარტო უკმაყოფილების განცხადებით გათავდა საქმე. თუ მიგიღებთ გურამიშვილის ნაამბობს, ვგონებ პირველი აზრი უფრო ნამდვილი გამოდგეს. ეთვითონ როგორ მოგვითხრობს მოხსენებულს ამბავს.

«იეტეს კახთა, ქართველთა: ჩვენში არ იყოს შურია,
ჩვენ სულ დიდთა და პატარათ ცხოვრება გვაქვნდეს ძმურია,
დავსდგეთ, თუ სადმე წავიდეთ, ერთად ვიძებნოთ შურია,
& მეც გავგრიგე, მეკეთა, რა გ. მას მოვკარ ყურია.

«რა იგი თვიცი გარდასწყვეტ, გულში არ ქონა შურისა,
ხელწმიფეს არზა მიართვეს: ჩვენ თქვენი ყმობა გვსურისა;
ლაშქარში წასვლა გვებძანოს, დრო არის სამსასურისა!
& ხელმწიფეს ესმა, იამა, ბრძანა მოგდება ყურისა.

«თავის ვეზირებს უბრძანა, საყმო გარიგდეს მათიო;
თავადთა ოცდა-ათი და აზნაურთა ათიო;
თუ არ აღსრულდენ, კიდევე ათ-ათი მაზე სართიო,
& მიეცით თანასწორადა, არა იყოს-რა ხლათიო.

«შურსა რა ესმა სისწორე, ერთობა მან იწყინაო;
რკინა რბილი და თოლადი თქვა, განასწორა ვისაო?

მართებელთანა დაგვჩხუბა, ავ-რიგად შეგვასმინაო,
ჯ ათ-ათი ისევ მოგვიკრეს, სხვა კი მოგვიგდეს წინაო.
«შური უარეო, ვისაც რომ ჭკვა ქონდა ნატამალია,
შეკვდა და გარდაეხვეწა, იხმარა ცხენი მალია.
მე მეკანდა ტუდი ჯაგლაგი, მიო ვერსად დაკვემალია,
ჯ გაჯავრებული მომიხდა, გარდმომიკრა ხმალია.
«შურმა დაჩაგრა და მოკვდა უათვლანისშვილი ტეტია,
შურმან ციცი შვილს ადამას დაარტყა თავში კეტია;
დაშაგებული მეც შურით დავიარები ხეტია
ჯ დამბნელებია გონება, თავზე მეხვევის რეტია.»

ამ ნაირად პირველადვე ბევრი ქართველობა მოსცილდა გუსარის პოლკსა და სხვა სამსახურში გადავიდა. მაგრამ სამაგიეროდ ამ პოლკს თან-და-თან ემატებოდა ახალი მწვრნი ქართველმა აზნაურობამ, რომელიც დაფანტული იყო რუსეთში, მოიყარა თავი გუსარის პოლკში. ასტარხანიდამ და ეიზლიარიდამაც ბევრი გარდმოვიდა და შეკიდა ახლად შედგენილს კაზაკში, ისე რომ პოლკის რიცხვი გარდაემატებოდა ასსა კაცს იმავ 1738 წელს (П. С. З. X, №№ 7952, 7628; 7545).

პირველად პოლკმა დასახლებრებას მოჰკიდა ხელი. რაც მოსკოვში ქონება (უძრავი და მოძრავი) მოეძებოდათ ქართველთა, დაწვიდეს (П. С. З. № 7534, т. X) და მცირე-რუსეთში გარდავიდნენ, სადაც მიიღეს სასახლო მიწა და დასასახლებელი სოფლები პირობისამებრ.

ძნელია ვუჩვენოთ ნამდვილი ადგილი, სადაც დაებინავა ქართველობა მცირე-რუსეთში, რადგან მოსსენებული არ არის ეს ადგილი არც ერთს დოკუმენტში. ნათქვამია მხოლოდ, რომ ისინი დასახლდენ სამზღვარზე, ერთად. მაშინდელი სამზღვა-

რი რუსეთისა დასავლეთით იყო დნეპრი, ანუ ნეპრი, როგორც ქართველები უწოდებდნენ ამ მდინარეს. ერთი ადგილი რუსის მიტროპოლიტის იონას მიმოსვლისა დაახლოებით გვიჩვენებს ჩვენ იმ ადგილს, სადაც ჩვენმა პოეტმა ხანგრძლივთ დრო გაატარა. კიევში მისულმა მიტროპოლიტმა იონამ მოსკოვში წასვლა დაუპირა, მაგრამ გზაზე ნათესავების ნახვა მოუნდა და გაუარა მათ, ნახა დედის-და მანოვილოვისა (მანველოვი ითვლებოდა გუსარის პოლკში) სოფ. ბილიკში; მეორე ნათესავი ნახა ს. ალექსიპოლს; აქედან მივიდა სოფ. მონასტრიჩას, სადაც სტუმოვრობდა დედის და მისი ჯავახიშვილისა. აქ დაჰყო მან მთელი კვირა. აქედამ წასული მიტროპოლიტი შეგიდა დიდს რუსეთში და ყველაზე წინ ქალაქს სევსკში (ორლოვის გუბერნიაში). (მიმოსლვა იონა რუსის მიტროპოლიტისა, გვ. 145—146).

ვინ მისცა ქართველ მიტროპოლიტს ნათესავები მცირე-რუსეთში და მერე კიდევ სოფლებში? უეჭველია მიტროპოლიტმა გაიარა ის ადგილი, სადაც დასახლა ქართველთ გუსარის პოლკი ან რა გასაკვირველია, რომ პოლკში მას ეყოლებოდა არა ერთი ნათესავი და ნაცნობი; მაშასადამე მოხსენებული სოფლები: ბილიკი, ალექსიპოლი, მონასტრიჩა და პოეტისაგან მოხსენებული «ამობოლი» (იხ. გვ. 102) არის ის სოფლები, სადაც დაებინავა ჩვენი ქართველობა მცირე-რუსეთში. ამ სოფლებში უნდა ეოფილიყო ახტუბის ღვთის-მშობლის ხატი, რომელსაც იხსენიებს ჩვენი პოეტი, სად, რომელს გუბერნიაში უნდა ეოფილიყო მოხსენებული და აწ გამქრალი სოფლები? უეჭველია, ეს სოფლები მდებარეობდენ კიევსა და სევსკის შუა, მაშასადამე ჩერნიგოვის გუბერნიაში,

დესნის მდინარის ღელეში. ეს ადგილები იმ დროს მართლაც სამზღვარზე იდო რუსეთის და პოლშის შუა.

ქართველთ გუსარის პოლკი დიდ ხანს არა მჯდარა უსაქმოდ. რუსთ და ოსმალოთ შუა ამ დროს (1736—1740 წ.) ფიცხელი ომიანობა იყო ატეხილი. ლაშქრის თავად (სპასალარად) რუსის მხედრობისა იყო დანიშნული იმ დროს სახელგანთქმული სარდალი მინიხი. ამ სარდალმა პირველმა გამოიყენა ქართველთ გუსარის პოლკი. 1738 წლის დამლევიდამ 1739 გათავებამდე ეს პოლკი ბრძოლის ველს არ მოშორებია. იგი მონაწილეობას იღებდა ყირიმის დარბევაში და აღებაში, ოჩაკოვის ციხის აღებაში და თავი გამოიჩინა ოსმალოს ჯარის დამარცხებაში სტაუჩანზე და განსაკუთრებით ისახელა ხოთინის ციხის აღებაში, რომელიც იყო უმაგრესი ციხე ოსმალოთა ჩრდილოეთის მხრით. ხოთინის აღებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთშიაც და სამზღვარს-გარედაც. მაშინდელმა მწერალმა ლომონოსოვმა ხოთინის აღებაზე ოდა დასწერა კიდეც. ამ ომში სრულიად დამარცხდა და განიბნა ოსმალოს ჯარი.

სარდალმა მინიხმა ქება შეასხა ქართველთ გუსარის პოლკს ხელმწიფესთან, აქო მათი მხნეობა, ვაჟკაცობა და სოხოვა მას, რომ ქართველთა პოლკები განემრავლებინა რუსის ჯარში. ხელმწიფემ ნება მისცა სარდალს ბრძანებით 14 აპრილს 1740 წ. (Бутк. III, 68, I, 66), რომ ქართველთ გუსარის პოლკის რიცხვი შეესრულებინა, თუ შეიძლებოდა, ათამდის, ისე რომ თითო პოლკში ას-ასი კაცი ყოფილიყო მეომარი. მაშინ მინიხმა გაგზავნა აზნაური ბორის იაგოროვი ასტრახანში და უიზლიარში, შესაგროვებელად ქართველთა პოლკებისათვის. მაგრამ იაგოროვმა მოიყვანა მხოლოდ ას ორმოცდა-ათი ქარ-

თველი. ამათგან შეადგინეს კიდევ ორი პოლკი, ისე რომ ეს ლა სულ გახდა სამი პოლკი. თითო პოლკში ითვლებოდა სა-მოცდაათი მეომარი, სულ ორას ათი კაცი; დარჩა კიდევ მეტი ოცდა-თოთხმეტი კაცი, რომელნიც გაანაწილეს ყველა პოლკებში. ყველა მეომარ ქართველებთა რიცხვი სამივე პოლკში იყო ორას ორმოცდა-რვა კაცი. უფროსად პოლკებისა ისევ ის მამუკა დავითიშვილი დარჩა. გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომ პოლკში ას-ესი კაცი დაენიშნათ და პოლკის რიცხვი მოემატებინათ. მაგრამ ეს ბრძანება, უეჭველია, აღსრულებული ვერ იქმნა.

მაგრე (1742 წ.) ოსმალოს ომის შემდეგ, ეროსეთს აუტეხა ომი შვეციამ, და მოინდომა დაბრუნება იმ მიწებისა, რომელნიც წაართვა მას პეტრე დიდმა. ამ ომში, სადაც სარდლად იყო დანიშნული ლასსი, მონაწილეობას იღებდენ ქართველთ გუსარის პოლკებიც. რუსის კარმა თითო თითოდ თითქმის ყველა სიმაგრეები ჩამოაცალა შვედის (ანუ შვეტის, როგორც უწოდებს მათ დავით გურამიშვილი) კარს მეორე შემოერტყა კარსა და იარაღი დაადებინა.—ამ ომში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ბატონიშვილი გიორგი (მეფის კასტანგის *) შვილი), რომელიც, ვგონებ, გემზე იყო (ფლოტში). (Бутк. I, 539, III, 74 и 453): შემდეგს წელში მან მიიღო გენერალ-მაიორობა (Бутк. III, 77, I, 59).

ამ ომის გათავების შემდეგ გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომელსაც უნდა გამოეცვალა ქართველთ პოლკების ბედი. ამ ბრძანების აზრით მეტირე-რუსეთიდგან ქართველობა უნდა გარდაეყვანათ ორენბურგის გუბერნიის ციხეებში (17 სექ-

*) თუ ირაკლის შვილი Бутк. III, 71.

1742 წ. II. C. З. № 8616, т. XI); მაგრამ არც ეს ბრძანება ასრულდა, არ ვიცი კი რა მიზეზის გამო, და ქართველობა ისევ მცირე-რუსეთში დარჩა. რუსეთში მშვიდობიანობა ჩამოვარდა. ვარვა ხანს (1756 წლამდე) ჯ ქართველთ შეეძლოთ მოსვენებისადგის მიეცათ თავი თავიანთ ახალ მამულებში, და ოჯახობი თვის მიეყო ხელი. მხ ლოდ 1747—1748 ეს მშვიდობიანობა ცოტათი შეწყდა. რუსის ჯარი ავსტრიის ტახტის დასაცველად (მარიამ ტერეზიის) შეიარაღდა და რეინის წინამძღოლობით რეინზე გავიდა და გამარჯვებული მალე (1748 წ.) დაბრუნდა უკანვე. ჩვენ არ ვიცით ნამდვილად, ერია თუ არა ამ ომშორბაში ბოლეი, მაგრამ ეს თითქმის შეჭველი უნდა იყოს, თუმცა გურამიშვილი ამ ომიანობაზე არას მოიხსენიებს, ალბად მისთვის, რომ ეს გალაშქრება არაფრით იყო შესანიშნავი.

ათმა წელიწადმა გაიარა ამის შემდეგ და ევროპაში აცდა ესრედ-წოდებული შვიდ-წლოვანი ომი (1756—1763 წლ.). რუსეთის სამზღვარზე დაიბადა და მოკლე დროს გაძლიერდა ახალი სასელმწიფო ბრუსია, ეს ბრუსის სამეფო და დაუწყო ბრძოლა ავსტრიის სასელმწიფოს. რუსეთმა ავსტრიის დასაცველად ჯარი გაგზავნა ბრუსის კორროლის ფრიდრიხ დიდთან საომრად. ამ ჯარს გაჰყვა ქართველთ გუსარის ბოლეი, სადაც ერია გურამიშვილიც. 1757 წელს რუსის ჯარმა ფელდმარშალ აპრაქსინის წინამძღოლობით, დაამარცხა ფრიდრიხის ჯარი რამოდენჯერმე. თუმცა იმ დროს ბრუსიის ჯარს ტოლი არა ჰყავდა ევროპაში გაწრთვნილობით და წყობილობით. შემდეგს წელში რუსის ჯარმა ფერმორის წინამძღოლობით თითქმის მთელი აღმოსავლეთის ნახევარი ბრუსიისა დაიპყრა და საბინლად შეავიწროვა ფრიდრიხი. ყველაზე უფრო შესა-

ნიშნავი იყო კიუსტრინის ომი, (ოდერზე, ფრანკფურტის ახლოს, ჩრდილოეთით), რომელიც მოხდა 1759 წ., თუმცა გურამიშვილი, შეცდომით, გვიჩვენებს, 1758 წ. ამ ომში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი რუსის ცხენოსანმა ჯარმა, რომელმაც გააკვირა მტერი, განთქმულის ჯარის მეოლი. ამ ფიცხელს ომში ქართველთ პოლკმაც ისახელა თავი, მაგრამ გურამიშვილისთვის ომი უბედურად გათავდა. ის თავის ცხენითურთ ლიაში ჩაეფლა და ტყვედ იქმნა წაყვანილი მტერთაგან. თურამ ქონება მოეძარცა, სულ დაჭკარგა და მაგდებურგის ციხეში იქმნა დამწყვდეული. თუმცა ცხადად არა სჩანს, მაგრამ საფიქრებელია, რომ გურამიშვილი დაიჭრა, თუ არ ამ ომში, წინა ომებში მაინც; ესა სჩანს შემდეგის პოეტის სიტყვებიდგან.

«ვამე, ვამე სულო ცოდვილო,
«სორცით დაჭრილ ლ დაკოდილო...» *)

კიუსტრინის ომმა, როგორც ეტყობა, დიდად დააზიანა მთელი ქართველთ გუსარის პოლკი. ქართველთ წყობა შეთხელდა; ბევრი ომშივე მოკვდა ვაჟ-კაცურად, ზოგი დაიჭრა ლ რამოდენიმე ტყვეობაში ჩავარდა. შემდეგ კიუსტრინის ომისა ქართველები დაბრუნდენ რუსეთში და საშუალებას აგრეთ-ლენ მოძმეთ გამოსახსნელად (П. С. З. т. XV № 11,570). როდესაც ადგილობრივმა მთავრობამ აღუკრძალა მათ თუნდის მოგრეკვა, ქართველთ მიჭმართეს ნების დასართავად სენატს. მთხოვნელებში მოხსენებულია დავით დათუნოვი **), იოსებ

*) იხილე ეგრეთვე 109 გვერდი.

**) დათუნოვის გვარი, გარდაკეთებული მედვედიევად, ახლაც იმყოფება რუსეთში. განსვენებული, ყოველთაგან პატივცემული სერგიის ლავრის მმართველი ანტონი იყო, ზოგიერთის სიტყვით, ამ გვარისაგან, ქართველი ნათესაობით და შეხედულობითაც.

შუბითიძე, ელისეი ღალაძე ⁄ კობახიძე, მაგრამ სენატმაც ფუ-ლის მოგრეზების ნება არ დართო ქართველობას. (П. С. З. № 11,570. 1762 წ. 14 ივნისი).

არ ვიცით, რამდენს ხანს დარჩა გურამიშვილი ტუვედ-გერმანიაში; მაგრამ უეჭველია, რომ 1762 წელში ის უნ-და თავისუფალი ეოფილიეო, რადგან ამ დროს რუსეთი და ბრუსია დამეგობრდენ. გურამიშვილი გამოიხსნეს მის მოძმე ამხანაგებმა ტუვეობიდან; ის დაბრუნდა მცირე-რუსეთში არა გვიან 1762 წლისა, მაგრამ დაბრუნდა გაცარცვული და სრუ-ლიად გაღარიბებული: მტერმა წაართვა მას, თუ რამ მოეძეო-და. ამაზედ ბოეტს ლექსიც დაუწერია ეგრეთის სათაურით: «ოდეს დავით გურამიშვილი ბრუსიაში დატუვეგდა და თუ რამ აქვნდა თავისი საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა, იმისთვის ტი-რილი.» თუმცა ამ ლექსში ბოეტს მატერიალური სიღარიბე ჩვეულებრივ სულიერს სიღარიბეზე გარდააქვს და თითქო სუ-ლიერს სიღარიბესა სტირის, მაგრამ საფუძველი ლექსისა არის მაინც მატერიალური გაღარიბება მწერლისა, მისი გაცარცვა მტერთაგან. აქაც, როგორც წინად მოვიხსენეთ, ბოეტი მწა-რის სინანულით აღიარებს თავის შეცდომას, რომ ბატო-ნიშვილის ბაქარის რჩევას წინ აღუდგა და თავის ნებას გაჰყვა. ურიგო არ იქნება ამ ლექსიდამ რამდენიმე ნაწუვეტი ამოვწე-როთ:

«ვითა ცხოვარი, გზა შეცთომილი,
მგელთ წარსატაცად თვარეხთა გარე,
ეგრე შენ, თავო, ხარ გახდომილი,
ასეთი საქმე მე მოგიგვარე!

«გავსდი გლახაკი და დავრდომილი,
თუმცა საწუთროს მოვიანგარე.

ვარ სარეცელზედ მე დაჯდომილი,
საუნჯისაგან კარს გარეთ მდგარე.
«დავჭკარგე იგი ოქროს ბეჭედი,
რომლითა ნიშნულ არს ჩემი შვებადი...

. . . . . .

მტერმან განმძარცვა მე შესამკელი,
ტანთ საქორწინე შესამოსელი.

. . . . . .

ტუვეობიდგან გამოსყიდული და დაბრუნებული გურამიშვილი დაბინავდა ისევ მცირე-რუსეთში და ოჯახობას მიჰყოხელი. მაგრამ პოეტი დიდ-ხანს არ დამტკბარა, როგორც სჩანს, შინაურის წუნარის ცხოვრებით. რაღაცა ცვლილება მოსდა მის ცხოვრებაში, რომელზედაც სჩივის, იუკვდრის. გავუგონოთ, როგორ მოგვითხრობს თვით პოეტი თვისს თავგარდასავალს:

«ჩვენი გითხრა სამსახური, სხვა რა გვექმნა ამის მეტი:
ათას შვიდას ოცდაცხრამეტს სოთინის კარს ვთხლიშეთ კეტი,
ორმოც-ღ-ორს თვინდრიდავანს ცეცხლით გამოგბუგეთ შეტი,
ღ ორმოც ჩვიდმეტს ბრუსის კოროლს შევურეიგეთ ტახტის სვეტი.

«ორმოც თვრამეტს ბრუსმან დაგვკრა, თავსა დაგვახვია რეტი,
მე ჩემს ძმებსა დამაშორა, ლუწისაგან დავრჩი კენტი.
მაღდებურხის ციხეშიგან დამსვა კარებ დანაკლეტი,
ღ მუნით ვიხსენ, შინ წამოველ, ქერი ვხან და ყანა, თეტი.

«თეტვი ბევრი მოვიყვანე, მაგრამ ვერა ვსწამე მწადი,
მე მოშითხრეს, მახდედამე ახლა ადექ, სხვაგან წადი.
ძალ-ენებრივ წამიყვანეს, სადაც არა ვიყავ მწადი,
ღ ვამე ტკბილო სიცოცხლეო, რომ შენ ასე გამიმწარდი!»

ძნელი გასაგებია, რას შესჩივის პოეტი ამ უკანასკნელ ტაეპში. ვინ მოსწყვიტა იგი თავის სახლ-კარსა და ძალა-უნებურად წაიყვანა? სად წაიყვანეს და რისთვის? არსაიდამ სჩანს, რომ პრუსიასთან ომის გათავების შემდეგ (1759 წ.) გამოტკლიდიოს ძირეულად ცხოვრებითი გარემოება ქართველთ გუსარის პოლკისა? ნუ თუ რუსთ-მთავრობას ესლა მოაგონდა ის გარდაწყვეტილება, რომელიც შესდგა 1742 წელს ქართველთ პოლკის აურაზე მცირე-რუსეთიდგან და ორენბურგში გარდაყვანაზე (Пол. Соб. Зак. т. XI № 8616)? ან ვინ იცის, იქნება რაიმე განკარგულება მოხდა ნახევარ წლის მეფობის განმავლობაში პეტრე III-ისა, რომელიც ადარ აღსრულდა იმის სიკვდილის შემდეგ (1762 წ.)? ჩვენ უფრო გვჯერა ის აზრი, რომ პეტრე III მეფის დროს მთავრობამ სრულიად შეიმუშავა ის პროექტი ქართველთ ორენბურგში გარდასახლებაზე, რომელიც გამოვიდა პირველად, როგორც გაუთავებელი წინადადება 1742 წელს, და კიდევაც აღასრულა; მაგრამ ეკატერინე დიდის ტახტზე ასვლის შემდეგ ქართველობა ისევ თავის ადგილას დარჩა. უსაფუძვლო იქნება ვიფიქროთ, რომ პოეტი ვითომ აქ შესჩივოდეს ხელახლა ომში გაგზავნას და მოუსვენარს ცხოვრებას, რადგან მეომარისთვის სირცხვილად სჩანს დაზარება ომში წასვლისა და იმ დროს ეს უფრო სასირცხვოდ მიაჩნდათ. ეს აზრი ირღვევა აგრეთვე შემდეგის ლექსით, რომელიც პირველზე გვიან დაწერილია და სადაც უფრო ცხადად გამოხატულია ის აზრი, რომ პოეტი გარდაჰყავდათ მცირე-რუსეთიდგან სადღაც «ამობოლში»:

«ვით თავს მივსცე მოსვენება, ვით მიკაგო ამო მრბოლსა?..
ახალ-დაბას ნუღარ ხარო, მეძახიან ამობოლსა
ჯ აწ რომ მე იქ წამიყვანონ, ვინ გამოზრდის ამ ობოლსა?»

მოხსენებული «ამობოლი» უნდა იყვეს ორენბურგი, ან იმ გუბერნიაში მეოთი რომელიმე ქალაქი, ან სოფელი. «ამობოლსა» შეიძლება წაიკითხებოდეს ეგრეც: ამო (ე. ი. ამოდი, წამოდი) ბოლსა, რომელიც უნდა იყოს სოფლის, ან ადგილის სახელი. «ახალ-დაბა», როგორცა ხჩანს, ის სოფელია მტირე-რუსეთისა, სადაც თვით პოეტი სცხოვრობდა.

როგორც უნდა იყოს, მაინც გურამიშვილი მტირე-რუსეთში დარჩა. მაგრამ ამ დროიდამ გურამიშვილის ცხოვრება უფრო და უფრო გვეფარება, ბნელი ეკვრება და ამ ბნელში აქა-იქ, ხანდისხან ახრდილივით მოგველანდება პოეტის სახე. ჩვენ არ ვიცით კარგად, რა დაემართა იმ ქართველთ პოლკს, რომელშიც ერია პოეტი; დიდ ხანს იყო ის კიდევ, თუ მალე დაიშალა; რას აკეთებდა პოლკი, ან როდის გამოვიდა იქიდამ გურამიშვილი?

პრუსიის ომიდგან პოლკი, როგორცა გსთქვით, ძალიან დამარცხებული დაბრუნდა; მის წყობაში ბევრი თავად-აზნაურობა აღარ იდგა ესლა; ზოგი ომში დაიხოცა, ზოგი დატუვეულ, ზოგმა უძლურობისა და სიბერის გამო პოლკი დასტოვა. ეს ბოლ იმის მიზეზი, რომ გამოკიდა ბძანება ქართველთ ესკადრონის დაშლისა (1762—1764 წლებში, ნახე Пол. Соб. Зак. т. XVI, № 12,152). მაგრამ ეს ბძანებაც, ვგონებ, შესრულებული არ იქმნა; ამიტომ რომ მალე ამის შემდეგ, 1767 წელს, ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველთ გუსარის პოლკი, რიცხვით სამი, სდგას ქ. სიმბირსკში (Бутк. I, 290, III, 110). როდესაც რუსეთს აუტეხა ომი ოსმალოსთან (1768—1774 წელ.), ეს პოლკები ისევ ომში იქმნენ გამოყვანილნი და დიდი სამსახური გაუწიეს რუსთ მთავრობას. 1768 წელს ისინი ეიზლიარის არე-მარეს დაეუფეს და შემ-

დეგ წელში ყუბანში გაგზავნეს სხვა ჯარებთან ერთად გენერალ მედემის წინამძღოლობით, დასამშვიდებლად ოსმალოს შთაგონებით აჯანყებულ ჩერქეზებისა (Бутк. I, 290; 294). ქართველთ გუსარის პოლკის უფროსად ამ დროს იყო თავადი რატიშვილი. ყაბარდელთან ჩერქეზებთან ომიანობაში ამ პოლკთა დიდი სახელი მოიპოვეს. ერთს ომში სამასი ყაბარდელი ტყვე აიყვანეს, ორმოც-და-ათი მოჭეულეს და ოც-და-ხუთი ათასი ცხვარი მოსტაცეს მტერს, დიდი და მტირე ყაბარდა ამიერ დამშვიდდა და რუსეთის მფარველობა მიიღო (Бутк. I, 294—300). შემდეგ რატიშვილი თავის ჯარით ყუბანზე გავიდა და სხვა ჯარების თანდასწრებით სასტიკად დაამარცხა ყარაჩოელები, რომელთაც აგრეთვე ფიცით მიიღეს ქვეშევრდომობა რუსეთისა (Бутк. იქვე). შემდეგ ქართველთა პოლკი რუმიანცევის უმთავრესს ჯარს შეერია და ოსმალოსთან იბრძოდა.

იღებდა თუ არა მონაწილეობას ამ მოლაშქრებაში გურამიშვილი, ამაზე ჩვენ არავერი შეგვიძლია ბეჯითად ვსთქვათ, ამ ომის დაწყების დროს პოეტი უკვე მოხუცებაში იყო შესული (60 წელს გადასული) და ძნელი დასაჯერებელია, რომ მას ლაშქრობის სიმძიმის ატანა შესძლებოდა. თვითონაც არსად ეხსენიებს გაკვრითაც კი ამ ომიანობას, მაგრამ მეორეს მხრით, პოეტი ისეთის მთელის აგებულების და მხიარულ ხასიათის პატრონი იყო, რომ არ მიჭუკებოდა მალე სიბერის დამჩაგვრელ ძალას; ამას გარდა, 1764—1774 წლებში ჩვენ ვერა გხედავთ ვერც ერთს ამ დროს დაწერილ მის ლექსს ან ესეც გვაფიქრებინებს, რომ პოეტი გართული იყო ომიანობაში *).

*) როგორც გამოჩნდება კერძო გარკვევისაგან, ისტორიული ნაწილი გურამიშვილის თხზულებისა არის დაწერილი არა გვიან 1762

არც რუსის მთავრობა დაუყენებდა მას შინ უმიზეზოდ, რო-
დესაც კარზე სასტიკი მტერი ადგა. შესაძლოა, რომ პოეტს
დაეტოვებინოს ომის ველი 1769 წ. მაშინ, როდესაც უუბა-
ნის მოლაშქრება გათავდა. რაც უნდა გსთქვათ, პოეტს ომის
გათავების შემდეგ 1774 წელს 29 ნოემბერს ჩვენ ვხედავთ
თავის სახლში, სადაც ლექსთ წერაშია გართული.— ომიანობის
დროს პოეტმა მიიღო ბრანდორშჩიკის ჩინი (ეგრე აწერს ის
ხელს თავის წისქვილების პროექტის ქაღალდ ქვეშ).

ომიანობიდამ გურამიშვილი გამოვიდა დიდად უკმაყოფი-
ლო, როგორც ცხადად აჩნია მისს ნაწერებს. ეტყობა, ბევრი
უსამართლობა აიტანა სამსახურში. განურჩეველი პოეტის
დრტვინვა, ჩივილი, ბნელი საუკუდური მიმართულია ვილაც «მე-
შურნეზედ», რომელსაც მიანდო პოეტმა თავისი თავი. ჩვენ
გვგონია, რომ ეს არის ჩიგილი გუსარის პოლკის უფროსზე,
მამუკა დავითიშვილზე. ეტყობა ეს უკანასკნელი ავად ექცე-
და თავის ხელ-ქვეითს კარს და პირველულს, ეგოისტურს
სარგებლობას მისდევდა, რაიც ხშირია საზოგადოდ ჩინოვნი-
კობაში, განსაკუთრებით იმ დროს ჩინოვნიკობაში. შესაძლო
არის, რომ მოხსენებული პირი ომიანობის დროს არ აძლევ-
და კარს დადებულს კამაგირს, ან საზრდოს უკლებდა. ა-
თვით პოეტის ჩიგილი

წ., სხვა ორი დიდი ლექსი «კაცის და სიკვდილის ბრძობა», «საწუთ-
როს და კაცის ბაასი» დაწერილია რამდენიმე სხვა წვრილის ლექსე-
ბითურთ 1774 წელს; ამავე წელს და ან (უფრო ნამდვილად) შემდეგ
წლებში (1774—1786 წ.) არის დაწერილი გრძელი მოთხრობა «ქაცვრა
მწყემსი». წვრილი ლექსები სხვა-და-სხვა დროს არის დაწერილი; უმე-
ტესი ნაწილი 1762 წლამდის. მაშასადამე 1762—1774 წლამდე გუ-
რამიშვილის ნაწერი თითქმის არა სჩანს.

«მას მეშურნესა პირველად არა აქვნდა რა ძალები,
გამოიჩინა ბოლოს დროს, თავრული, დანაკრძალები;
გვიმტკუნა, ხორცი თვით ჯამა, ჩვენ მოგვიყარა ძვალები,
ღ ხე ვარჯოვანი დაგვახმო, აყოვა ნაკუნძალები!

«განაბორკოტა კეთილი, შურმან აუბა თავლები;
წინა აღუძღვა ბრმა ბრმათა, არიკა გზა და კვალები.
დაბენძლა, დაარიოშა, ოქროს მორიკა რვალები,
ღ გარდახდეკინოს უფალმან, რაც ჩემი ედვას ვალები!

«ვით თხასა ცხვარი მიკენდეკ უპიროს, მოდალატესა.
წამიძღვა, სამჯერ მიჩვენა, თავს წამ[illegible] ოდალატესა.
მითხრა, თუ აგერ სათოთი, კარგია, ვინც იქ გახტესა,
ღ თვით გახტა, მე შიგ ჩამაგდო, ჭკვავს ეშმაკობით ირტესა.»

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, პოეტი მწარედ ნანობდა ბოლოს დროს, რომ ბაქარის ნებას არ გაჰყვა და ცრუ აზრებით გატაცებულ იქმნა, სამშობლოდგანაც, როგორცა სჩანს, ცუდი ამბები მოუკიდა პოეტს: დედ-მამის, დის, ძმის სიკვდილი, რომელზედაც სშირად სჩივის.

«ავად მომიხდა უმსროდა, გათერეა, ქნა ნავარდისა!
სად ამოსული სნარტვითა, კიდევ მეორედ ჭვარდისა;
ვაიმე, მამა-დედისა, ძმის, დამკარგავი გარ დისა,
ღ ველარ მნახავი მოუკრისა, ტან ლელწამ, პირად ვარდისა.»

Თ. Ფორდანია.

(დასასრული შემდეგს ნომერში).

რაზე მიწერები უფენო?

რაზე მიწერები უფენო?—ციბრძოდი ქართველის ჯარშია,
დღეს შენი ტუვე ვარ, ხელთ დაგრჩი, რაკი დავიჭერ მხარშია...
მამულისთვის ციბრძოდი, რაში შეშწამე ღალატი?...
შენი რა მმართებს უფენო, თავს რომ მადგია ჯალათი?..
მე რჯულისთვის ციბრძოდი, სხვა რა შეშწამე ავია?...
—რჯულს არ შევიცვლი უფენო, არ მოკვდეს ჩემი თავია!...
ამისთვის—თუ კი გგონია—მენა ვარ მოსაკლავია,
«თვალი მომთხარე კისრიდგან», მომჭერ ფეხი და მკლავია,
მაგრამ—ფელს გიწევ, უფენო,—შენი შვილების ლხენასა,
ისმინე ჩემი ვედრება: დღეს მე ნუ მომჭრი ენასა...
—მინდა მოკითხვა შეგთვალო, ვილაპარაკო ქართული,
ვადიდო იესო ქრისტე,—რჯული ენასთან მართული!...

თ. რაფ. ერისთავი.

რა უნდა იყოს სეტყვის მიზეზი?

სეტყვა არის იმისთანა ბუნების მოვლენა, რომლის გაჩენის მიზეზი ნამდვილად არავინ იცის და რომელსაც საშინელი ზარალი მოაქვს ქვეყნიერებისათვის.

როგორც სხვა ბუნების მოვლენანი არა ჩნდებიან უმიზეზოდ, რასაკვირველია, უმიზეზოდ არც სეტყვა გაჩნდება და ეს მიზეზი რომ ნამდვილად ცნობილი ყოფილიყო, იქნება აქამდის სეტყვის ამცილებელი საშუალებაც მოენახა.

ეხლანდელს დროში მიღებული აზრი სეტყვის გაჩენის მიზეზზე შემდეგია: როცა ფრიად მაღლა ასულ ღრუბლებიდამ მოდის წვიმა, მაშინ იმის წვეთებს გზაზედ ცივი ქარი უხვდება, იყინება და ძირს სეტყვად ცვივა.

ეს აზრი, მე მგონი, ძალიან ძნელია ასახსნელადაც და მისაღებადაც.

ჩიმსხო სეტყვისა სიმინდის მარცვლიდამ (ხორხოშელა) მოკიდებული კიდრე დიდ კაკლამდის არის; ზოგჯერ დიდ კაკლასაც გადააჭარბებს ხოლმე. ვთქვათ, მაღლიდამ ძირს წვიმის წვეთები წამოვიდა, გზაზედ ცივი ქარი დაუხვდა და გაყინა. რაღა ამსხვილებს? განა იმოდენა წვიმის წვეთები მოდის მაღლიდამ, რომ გაყინვის დროს კაკლის სიმსხო სეტყვად გარდაიქცეს? არც ის არის დასაჯერებელი, რომ ეს წვეთები გაიყინოს და მერე გზაზედ დამსხვილდეს. რა ისეთს სიმაღლეზედ ავა სეტყვის ღრუბელი, რომ სანამ იქიდამ წვრილი გა-

ეინული წვიმა ძირს ჩამოვიდეს, იმის წვეთები, კაკლის სიმსხო და ზოგჯერ კაკალზედაც უფრო მსხვილ ეინულებად გარდაიქცეს?

მეტეოროლოგები (ჭაერის მცოდნენი) ამტკიცებენ, რომ წვიმის ღრუბლები დედა-მიწიდამ ათის ვერსის სიმაღლეზედაც არ არიან. აბა ახლა ვნახოთ, რამდენი ხანი უნდა მოუნდეს, რომ წვიმის წვეთი ამ სიმაღლიდამ დედა-მიწაზედ დაეცეს?

შემდეგი კანონი ფიზიკაში ჯეშმარიტებად ცნობილია:

როდესაც მაღლიდამ სხეული ძირს მოდის, პირველს წამს გაიკლის 16 ფუტს და ერთის მეათედს, მეორე წამს ოთხჯერ ამაზედ მეტს, მესამე წამს ცხრაჯერ მეტს და სხვ.. 60 წამს ანუ ერთს წუთს 60×60=3,600 ჯერ მეტს ძანძილს გაიკლის, ე. ი. სულ 3,600×16,1=57960 ფუტს. ათი ვერსი კი მხოლოდ: 10×500×7 ფუტია=35,000 ფ. მაშასადამე, სჩანს, რომ ათის ვერსის სიმაღლიდამ წამოსული გაეინული წვიმის წვეთები ერთ წუთსაც ვერ დარჩება გზაზედ—ტოტა ნასვარ-წუთზედ მეტს მოუნდება. მაგრამ, რადგანაც ხსენებული კანონი სხეულების უჭაერო სივრცეში მოძრაობას შეეხება, ამისთვის მივიღოთ თუნდა რომ ეს წვეთები ათის ვერსის სიმაღლიდამ ჩამოვარდნას არამც თუ ერთს წუთს, ორს წუთს მოანდომებენ. მაინც არც ორი წუთია საკმარისი, რომ წვიმის გაეინული წვრილ-წვრილი წვეთები კაკლის ოდენა და ხანდისხან კაკალზედაც უფრო მსხვილ ეინულად გარდაიქცეს.

სეტყვა მარტო მაშინ კი არ მოდის, როცა ღრუბლები ძალიან მაღლა არის; ხანდისხან ღრუბლები დაბლა ირევა, მაგრამ მსხვილი სეტყვა კი მოდის. გარდა ამისა, პირველში სეტყვის ღრუბელი მოშორებულია დედა-მიწას და როცა დაიწყობს სეტყვა ძირს ცვივნას, მაშინ ჯანღით შეუერთდება სოლმე;

მაგრამ წინად უფრო მსხვილ-მსხვილი სეტყვა ცვივა, თუმცა გზაზედ არ უხვდება ჯანღის ბუშტები, რომ შეაყინდეს სეტყვას და გაამსხვილოს; მერე და მერე მოუწვრილებს ხოლმე, თუმცა მაშინ უფრო ჯანღში მოდის გაყინული წვეთები და უფრო უნდა დამსხვილდეს, თუ ზემოხსენებული მოსაზრება სეტყვის გაჩენის მიზეზზედ მართალი იყოს.

თვითონ სეტყვის მარცვალიც რომ გავსინჯოთ, ისიც ამ მოსაზრების წინააღმდეგს დაგვიმტკიცებს. სეტყვის მარცვალი ორის ნაწილისაგან შესდგება: გულისა და ტილისა, ანუ კანისაგან. გული აქვს თეთრი, თითქოს განგებ თოვლი ხელით იყოს შეკუმშული; ტილა კი ამ გულს ნამდვილი ყინულისა აქვს—გარშემო ყინულით არის შემოკირწყლული: როგორ შესდგა ზემოხსენებულ მოსაზრებით ან გული და ან ტილა სეტყვის მარცვლისა? წვრილ-წვრილ გაყინულ წვიმის წვეთებს ისეთი სიმძიმე არა აქვთ, რომ ამ სიმძიმის ძალით მაღლიდამ მომდინარეობის დროს მიეკრან ერთმანერთს და სეტყვა დაჭბადონ. მერე არც არის ქვემოთ გზაზედ ისეთი სიცივე, რომ წვიმის წვეთების გაყინვა შეეძლოს.

თუ სეტყვა იმ სახით ჩნდება, როგორც არის მიღებული, ე. ი. სიცივისაგან გზაზედ წვიმის წვეთები იყინება და ძირს სეტყვათა ცვივა, უნდა ვიფიქროთ, რომ ცივი ჰაერი იქნება მთელს იმ ადგილას, სადამდისაც სეტყვის ღრუბელი გადაფარებული: მაშასადამე უნდა მოვიდეს სეტყვა ოთველგან, სადამდისაც ეს ღრუბელი გასწვდება. ჩვენ კი ამის წინააღმდეგსა ვხედავთ: ძალიან იშვიათად მოხდება, რომ სეტყვა მოვიდეს ოთველ იმ ადგილებში, რომელთაც სეტყვის ღრუბელი გადაჭფარებიათ: ზოგან სეტყვა მოდის იმ ღრუბლებიდამ და ზოგან, ერთსა და იმავე დროს, წვიმა. სეტყვა ამოირჩევს ერთ

გზას რამოდენსამე სიგანეზედ და მისდევს იმ გზას ხან ზირ-დაზირ, ხან მიუხვ-მოუხვევს. ამ გზას აქეთ-იქით კი იმავე დროს წვიმს. ხანდისხან სეტყვა შეჩერდება ერთს ადგილას, მერე კიდევ სხვა მხარეს გასწევს.

სეტყვა უფრო ძალლობ ადგილებს ეტანება: ამისათვის ისეტყვება ხშირად ის სოფლები, რომელნიც მთების ძირში ან მთებზედ არიან აშენებულნი და ბარის სოფლებს ჯი ძალიან ძვირად ხვდებათ სეტყვა. აი ამის დამამტკიცებელი მაგალითი: სოფელი მანავი არის აშენებული ტივის მთების კალთაზედ, კარგა მაღლობ ადგილზედ—და ძალიან იშვიათად მოჭხდება, რომ ის დაუსეტყვავი გადარჩეს. სოფელი ვალის-ციხე დაბლობ ადგილზედ არის გაშენებული, ტივის მთების მოშორებით და იმისი მცხოვრებნი გვარწმუნებენ, რომ წლეკანდელის მეტად ის სოფელი არ დასეტყვილა. რა არის ამის მიზეზი? რატომ დაბლობ ადგილებში კი არ მოდის ხშირად სეტყვა? (თუ მოვა დაბლობ ადგილებში, უთუოდ იქ ან ხეები უნდა იყოს ბლომად, ან ტყე, ან მთები ახლო უნდა ჭქონდეს). ან რატომ ერთ ხაირად არ მოდის სეტყვა და ერთს ადგილას რადა სწვიმს, როდესაც იმის გვერდით ხეტყვა მოდის? ან ცაში ჭაერი ერთ ადგილას რად არის ძალიან ტივი, ძალიან ჭეინამს წვეთებს და იმ ადგილის აქეთ-იქით კი ტივი არ არის? გარდა ამისა, სეტყვა მალე გადიღებს ხოლმე და მერე, რამდენსამე ხანს, იმ ღრუბლებიდამ რომლებიდამაც სეტყვა მოდიოდა, სწვიმს. რატომ სეტყვა იმ დროამდე არ მოდის, ვიდრე ღრუბლები დაიღვევა? განა ტივი ჭაერი ღრუბლების დალეკამდე ჭჭრება?

სეტყვის მოსვლის დროს არის ზაფხული ან შემოდგომა; მაშინაც მოდის სეტყვა მხოლოდ შუადღის შემდეგ შუადღემდის. შუადღის შემდეგ შუადღემდის არ მოდის. თუ სეტ-

ყვის გაჩენის მიზეზი მარტო სიცივე იყოს, სეტყვა უნდა მოდიოდეს ხშირად ზამთარშიაც და შუადამიდამ შუადღემდისაც, როდესაც ძალიანა ცივა, მაგრამ ამ გვარი მოვლენა, დარწმუნებული ვარ, არავის არ უნახავს*). სჩანს სეტყვის გაჩენის მიზეზი სხვა რამ ყოფილა.

სეტყვის გაჩენის მიზეზი ჩემის აზრით არის ღრუბლების ელექტრონობა**).

საზოგადოდ ცნობილია, რომ ღრუბლებში ორ-ნაირი ელექტრონობაა—მინისა და ფისისა. თუ არ ელექტრონობით, სხვაგვარივ არ აიხსნება ელვისა და ქუხილის გაჩენა. ღრუბლების მთელი ელექტრონობა ორს უმთავრესს ადგილას გროვდება, სადაც უფრო სქელი ღრუბლებია. ერთ მხარეს იკერს მინის ელექტრონობა და მეორეს ფისისა, ამას ის ამტკიცებს, რომ ქუხილი და ელვა მხოლოდ ერთს ადგილას არის ხოლმე ღრუბლებში და სხვა მხარეს კი არც ქუხილია, არც ელვა.

როდესაც ბევრი ელექტრონობაა ღრუბლებში, მაშინ მოდის სეტყვაც.

მინისა და ფისის ელექტრონობანი რა კი აიტკიცებიან (напрягаются), მათთან მდებარე ჰაერის ნაწილებიც ივსებიან ელექტრონობით. მინის ელექტრონობა ისეთის განზედ მინი-

---

*) არაგოს თხზულებაში არის რამდენიმე მაგალითი დასახელებული, რომ სეტყვა შუაღამის შემდეგ მოსულიყოს და განთიადისასაც, მაგრამ ეს ისეთი ძვირი შემთხვევაა, რომ ავტორის აზრს სრულებით არ არღვევს. რედ.

**) ავტორის აზრი სეტყვის გაჩენის მიზეზზედ სრულებით ახალია და ბევრში ეთანხმება არაგოსაგან წარმოთქმულს აზრს. არის მხოლოდ ზოგიერთი განსხვავება, რომელიც ჩვენ ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია. რედ.

სვე ელექტრონობით სავსე ჭაერის ნაწილებს, და რადგანაც თვისის ელექტრონობა იზიდამს ამ ნაწილებს ჭაერისას თავისკენ, ეს ნაწილები იქით მიდიან. იქ ქრება მინის ელექტრონობა ჭაერის ნაწილებისა თვისის ელექტრონობასთან შეერთებით და ეს ნაწილები იავსებიან თვისის ელექტრონობით; ეს უკანასკნელი ისევრის იმათ განზედ და ისინიც მიდიან ისევ მინის ელექტრონობისკენ, რადგანაც ეს უკანასკნელი თავისკენ იზიდავს მათ. აქ ჭაერის ნაწილებს მოსდით ისევ ის, რაც თვისის ელექტრონობასთან მოუვიდათ: ე. ი. ჭაერგამენ თვისის ელექტრონობას იავსებიან ისევ მინის ელექტრონობით, და ბრუნდებიან თვისის ელექტრონობისკენ... ამ რიგად მოხდება ჭაერის მოძრაობა ამ ორ გვარ ელექტრონობას შუა და იმათ ატკეცის კვალობაზედ ძლიერდება ჭაერის მოძრაობაც მათ შორის. აქედამ წარმოსდგება ის ქარი, რომლის ხმაც მოისმის სეტყვის ღრუბლებიდამ, როდესაც ჯერ არც კი დაწყობილა სეტყვა და არც დედა-მიწაზედ არის სადმე ქარი. ეს ქარი, რასაკვირველია, მაშინ უბერავს, როდესაც ძალიან ბევრი ელექტრონობა არის ღრუბლებში და სეტყვაც იმ დროს ამ რიგად ჩნდება:

ქარი თოკლად აქცევს, რაც გზაზედ წვიმის წვეთები უხვდება და მიაქვს იმ ელექტრონობისკენ, საითაც მიდის, ავსებს ჭაერის ნაწილებიანით იმ ელექტრონობით და ბრუნდება მეორე ელექტრონობისკენ; საითაც ქარი მიდის, წვიმის გაუინული წვეთებიც იქით მიდის. ამ მიმდინარეობაში გზაზედ გაუინულ წვეთებს სხვა გაუინული, ან გაუუინავი წვეთები სვდება, იმათაც, ზედ იუინამს და თანდათან მსხვილდება. გაუინულ წვეთებზედ სამს ძალასა აქვს მოქმედება: ელექტრონობის მიმზიდველობას, ელექტრონობის გამტუორცვნელობას

და დედა-მიწის მიმზიდველობას, ანუ სიმძიმეს. მანამ სიმძიმეს პირველნი ძალანი სძლევენ, მიმდინარეობა გაყინულის წვეთებისა ელექტრონობათ შუა შეუწყვეტელია და როდესაც სიმძიმე დასძლევს პირველ ძალათ, მაშინ გაყინული წვეთები დედა-მიწისკენ წამოვა.

გაყინულ წვეთების მიმდინარეობა ელექტრონობათ შუა პირველში სუსტია, რადგანაც შესანიშნავი სიმძიმე არა აქვთ: სიმსუბუქის გამო მიმზიდველი და გამტეორცნველი ძალანი ელექტრონობისა ძლიერად ვერა მოქმედობენ მათზედ. როდესაც კი ეს წვეთები დიდდება და სიმძიმე ემატება, მაშინ ემატება სიჩქარეც. ამითი აიხსნება სეტყვის მარცვლის შედგენილობა. როდესაც გაყინულ წვიმის წვეთებს სიმსუბუქის გამო ნელი მსვლელობა აქვს, მტკიცედ ვერ შეუერთდება გზაზედ მყოფ წვეთებს, მარტო ოდნავ ეკუმშება მათ. ამ ნაირად შესდგება სეტყვის მარცვლის გული; როდესაც ეს გული ისე გადიდდება, რომ საკმარისი სიმძიმე ჰქონდეს და მიმოსვლაც უფრო სწრაფად შეეძლოს, მაშინ გზაზედ მყოფ წვეთებს სეტყვის მარცვლები ღონიერად მოხვდება და ეს წვეთები თუ გაყინულია, დნება, იშლება და სიცივისაგან ზედ ეყინება. თუ გზაზედ მყოფი წვეთები გაყინული არ არის, მაშინ სომ უფრო კარგად გადეშლება ზედ შეკუმშულ გაყინულ წვეთებს და გაჭეირწყალებს მათ.

რაც უფრო ბევრი ელექტრონობაა ღრუბლებში, იმდენი უფრო მსხვილი სეტყვა მოდის. პირველში ყოველთვის მსხვილი სეტყვა ცვივა, მერე კი მოუწვრილებს ხოლმე. ეს იმას ამტკიცებს, რომ, როდესაც ელექტრონობანი ძალიან ატკეცილნი არიან, ბევრჯერ მიაბრუნ-მოაბრუნებენ თავიანთ შორის სეტყვის მარცვლებს და ისინიც ამ დროს თან-და-თან დიდ-

დებიან. როდესაც კი ზოგიერთა მასლობელი ნაწილები ამ ორგვარ ელექტრონობათა ერთმანერთთან შეერთდება, მაშინ იმათ ატკეცა აკლდებათ, აკლდებათ მიმზიდველი და გამტეორცვნელი ძალა, სეტყვას დიდ ხანს ველარ ატრიალებენ თავიანთ შორის და ესეც თან-და-თან წვრილდება. რაკი ნაწილ-ნაწილად შეერთებით ელექტრონობა გამოილევა ღრუბლებში, ან ძლიერ შეტოტავდება, მაშინ სეტყვაც გაჭრება.

ელექტრონობა, როგორცა ვთქვით, მხოლოდ ორ ადგილას არის შეკრეფილი და მარტო იმათ შუა მოდის სეტყვა. ამას გვიმტკიცებს ის გარემოებაც, რომ უველგან არ მოდის სეტყვა, სადამდისაც სეტყვის ღრუბელი სწვდება,—სეტყვა მოდის მხოლოდ შუაში, აქეთ-იქით კი იმავე დროს სწვიმს. სიგანე დასეტყვილის ადგილისა დამოკიდებულია ელექტრონობების ერთი-ერთმანერთთან სიშორეზედ ღრუბლებში, სიგრძე—ელექტრონობების გამოლევაზედ.

რაც უფრო განიერი ადგილი ისეტყვება, უფრო ტოტა ხანს გასტანს ხოლმე სეტყვა; და თუ ვიწრო ადგილი ისეტყვება, სეტყვა უფრო ხანგრძლივია. ეს იმისაგან არის რომ, როდესაც განი-განს არიან ელექტრონობანი, მაშინ იმათი მიმზიდველი და გამტეორცვნელი ძალა მალე ჭკარგავს თავის მოქმედებას სეტყვის სიმძიმეზედ, რადგან ოითონ ელექტრონობა მცირდება ნაწილ-ნაწილად ერთმანერთთან შეერთებით; როდესაც კი ასლო-ასლო არიან, მაშინ დიდ ხანს მოქმედობს იმათი მიმზიდველ-გამტეორცვნელი ძალა სეტყვის სიმძიმეზედ.

სეტყვა ოკველთვის მთა-ადგილებში ჩნდება და ისეტყვება ის სოფლები, რომელნიც მთის კალთებზედ არიან გაშენებულნი; დაბლობ ადგილებში სეტყვა იშვიათად მოდის და თუ მოვა, ისიც იმისთანა ადგილებში, სადაც ტუეა ან მალალი და

ბევრი ხეხილი. ეს გარემოება, ჩემის აზრით, ძალიან ადვილი ასახსნელია: ღრუბლები ყოველთვის წინდაწინ მთების წვერებზედ შეიკრიბებენ ხოლმე, მერე კი აქეთ-იქით მიდის. როდესაც ღრუბლების ელექტრონობა ძალიან აიტკიცება, მაშინ თავის ზედ-მოქმედებით მიწაშიაც გამოიწვევს ელექტრონობას. ეს უკახასკნელი უასლოვდება ღრუბლების ელექტრონობას მთის წვერებზედ, მაგრამ არ კი უერთდება მას; მხოლოდ იზიდამს ღრუბლების ელექტრონობას და თითქო დაბმულივითა ჭეავს. რა კი ღრუბლების ელექტრონობებს შუა გაჩნდება ქარი ისე, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი და შეირყევა ჭარის მეუდრობა, მაშინ დაიძვრება ღრუბლები თავის ადგილიდამ და სიჩქარით მოდის სამხრეთ-დასავლეთიდამ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ. მაგრამ მათის ზედ-მოქმედებით დედა-მიწაში გაღვიძებული ელექტრონობა არ ანებებს თავს, მოჭსდევს იმათ მიწა-მიწა და თავისკენ იზიდავს. თავის მიმზიდველობის ძალას დედა-მიწის ელექტრონობა იქ უფრო იჩენს, სადაც მაღლობი ადგილებია,—გორები და ტეე, რადგანაც აქ უფრო უახლოვდება ღრუბლების ელექტრონობას. აქ თითქო ებმება ღრუბლების ელექტრონობა, ჩერდება სეტყვის ღრუბელი და მოდის კარგა ხანს სეტყვა; ტრიალს მინდორზედ კი ღრუბლები არ შეჩერდება, ვიდრე ან მაღლობ ან ტყიან ადგილს არ მიატანს.

ხშირად მოხდება რომ სეტყვა დიდ ხანს მოდის თვითონ მაღლობ ადგილებზედ კი არა, იმათ ახლოსვე, დაბლობ ადგილებში. ამის მიზეზი ის არის, რომ მთა-ადგილებს ღრუბლები ალმატერადა ჭეავს თითქო დაბმული, რადგან თავის გზაზე მიმავალი ღრუბლები უეცრად შეუჩერებია. როცა ღრუბლების ელექტრონობა დაბლობ ადგილებშიაც გამოიწვევს

ელექტრონობას, ეს ახლად გამოწვეული ელექტრონობა მიიზიდავს ღრუბლების ელექტრონობას. პირველადი ელექტრონობა დედა-მიწისა უღონოვდება, მიმზიდველი ძალა ეკარგება და ბოლოს სულ ჭრება იმის გამო, რომ დედა-მიწაში ახლად გამოწვეულმა ელექტრონობამ გამოჭვლიეკა ღრუბლების ელექტრონობა და თავის ნებაზედ წაიყვანა. აი მაშინ ანებებს სეტყვა თავს იმ ალაგებს, სადაც იყო შეჩერებული.

თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ეს აზრი ნამდვილია და იქნება სხვებიც დამეთანხმნენ, მაგრამ მაინც გამოუცდელად თვიზიკურ მოვლინებათა მიზეზნი არ დამტკიცდება. გამოსაცდელი საშუალება სეტყვის გაჩენის მიზეზის დასამტკიცებლად, ამ რიგად მაქვს წარმოდგენილი (ნახე დამატ. თურც.).

უნდა გაკეთდეს ერთი დიდი მინის ზარფეში ა. ამ ზარფეშს შიგნით აქეთ-იქით გვერდებზედ უნდა დამაგრდეს ორი რკინის ბრტყელი ნაჭერი ბ ბ, ისე რომ დედა-მიწისაგან გასშორებული იყოს და მას არ გადასცეს თავისი ელექტრონობა, რომელიც იმით გაიკვლება. ერთი ამ ნაჭერთაგანი უნდა ელექტრონობის მაშინის კონდუქტორს გ შეუერთდეს და მეორე მაშინისავე ბალიშებს დ ჯაჭვებით, ანუ მავთულებით ეე-თი. მხოლოდ ეს ჯაჭვებიც დედა-მიწას მოშორებული უნდა იყოს, რომ ელექტრონობა არ დაჭკარგოს. ზარფეშში შემოდის კიდევ მილი ვ ქვაბიდამ ზ. ქვაბში უნდა ჩასხმულ წყალი, დახურულ მაგრა პირს და ადუღონ. ორთქლი მილით ვ ზარფეშში შევა. ზარფეში ძალიან გაცივებული უნდა იყოს, რომ ორთქლი მალე გაცივდეს და ნამად გარდაიქცეს. მაშინ უნდა ამოქმედონ ელექტრონობის მაშინა გ. კონდუქტორიდამ მინის ელექტრონობა გადავა ერთ რკინის ნაჭერზედ ჯაჭვით და ბალიშებიდამ მეორე ჯაჭვით მეორე რკინის ნაჭერზედ.

როცა გაძლიერდება ამ ნაჭრებზედ ორი სხვა-და-სხვა გვარი ელექტრონობა, მაშინ უნდა გაჩნდეს ქარიცა და მიმოსვლაც ნამებლა და გაიყინოს. მაგრამ ისეთი ძნელი რამ არის ამ გამოსაცდელის შესრულება, რომ იქნება გერცერი მიაღწიოს კაცმა თავის წადილს. ძალიან ბევრის პირობების შესრულება დასჭირდება ამ გამოსაცდელს; უნდა ზარბუში ძალიან გაცივდეს, რომ შიგ შესულნი ორთქლი მალე გაიყინოს; უნდა ელექტრონობის მაშინიდამ ბლომად მიდიოდეს ელექტრონობა ნაჭრებზედ; უნდა თვითონ რკინის ნაჭრებ შუა ზომიერი მანძილი იყოს და სხვ.. ამ გამოსაცდელის შესრულება ჩემთვის ძალიან ძნელია უქონლობის გამო და კაცხადებ ამ ჩემს აზრს იმ იმედით, რომ იქნება სხვებიც დაეთანხმნენ და არ დაიშურონ მცირეოდენი ხარჯი ამის გამოსაცდელად. მხოლოდ ამას კი გიტყვი, რომ ჩემგან დახატული მაშინ ყოვლად სრული არ არის და შეიძლება სხვებმა სრულად შექმნან იგი.

თუ დამტკიცდება ჩემი აზრი სეტყვის გაჩენის მიზეზზედ, მაშინ უკვლა დამეთანხმება, რომ მისგან მოტანილ ზარალის ანილებაც შესაძლებელი შეიქმნება:

თუ სეტყვა ღრუბლების ელექტრონობის გამო ჩნდება, იგი აღარ მოვა მაშინ, როდესაც რაიმე საშუალებით ღრუბლებს ელექტრონობა გამოეცლებათ. ელექტრონობის გამმაუქმებელი იარაღი კი დიდი ხანია მოგონილია. ამ იარაღმა ბევრი შენობა და ადამიანი გადაარჩინა უბედურებას და იმედი მაქვს, რომ ელექტრონობის გამმაუქმებელი იარაღი ხალხს სეტყვის ზარალსაც მოაშორებს.

ღრუბლები ან სეტყვაც წინ ან წინ მთებზედ ჩნდება. უნდა გაისინჯოს რომელ მთებზედ ჩნდება უფრო სეტყვა და იმ მთებზედ გაკეთდეს ელექტრონობის გამმაუქმებელი იარაღი. ეს

იარაღები თავიანთ ძწვეტის წვერებით ადვილად შეაერთებენ დედა-მიწას ღრუბლების ელექტრონობას, თვისკენ მიიზიდამენ ღრუბლებს, და სულ თუ ვერა, მოძეტებულ ნაწილს ღრუბლების ელექტრონობისას ისე მოსპობენ, რომ სეტყვა ველარ გაჩნდეს. მაგრამ ჯერ ამ ელექტრონობის გამმაუქმებელ იარაღებზედ ლაპარაკი არც კია საჭირო. თუ გამოცდილებითაც დამტკიცდა ჩემი აზრი სეტყვის გაჩენაზედ, მაშინ შეიძლება დაწვრილებით მოგილაპარაკოთ და აღვწეროთ, როგორ, ან სად უნდა გაკეთდეს ელექტრონობის გამმაუქმებელი იარაღი.

სოფლის მასწავლებელი ნ. ნათიძე.

უსლარი და იმისი თხზულება

«უძველესნი თქმულებანი კავკასიაზე.»

(წერილი პირველი).

ჩვენ წინ სდევს დიდი წიგნი, რომლის სათაური ზუსტად ამოვწერეთ და რომელიც არის ერთი შესანიშნავი თხზულებათაგანი გამოჩენილის მეცნიერის პეტრე უსლარისა. წიგნი ფრიად შესანიშნავია და საინტერესო და ამიტომ გვნებავს ვეცადოთ გავაცნოთ იგი ჩვენს მკითხველებს. წიგნს წინ მიუძღვის კარგად და ცოდნით დაწერილი გრძელი წერილი ბ. ზაგურსკისა, რომელშიაც იგი, გარდა მცირეოდენ ბიოგრაფიულ ცნობათა აწ განსვენებულს უსლარზე, განიხილავს მის მოღვაწეობას და მეცნიერულ შრომათა. ჩვენც მივყვებით ბ-ნს ზაგურსკის და ვეცდებით განვუმარტოთ მკითხველს მნიშვნელობა უსლარისა, ვუჩვენოთ, რა ღვაწლი დასდო მან კავკასიას საზოგადოდ და კერძოდ საქართველოს; რა საძსაზური მიუძღვის ამ შესანიშნავს მეცნიერ მშრომელს თვით მეცნიერების წინაშე; მერე შევუდგებით იმის დიად ღრმა მეცნიერულს გამოკვლევას კერძოდ, და ითქმის დაწერილებით განვიხილავთ მას.

I

1800 წელს, როგორც მკითხველს მოეხსენება, საქართველო შეუერთდა რუსეთს. ამ ბაწაწა ერმა სანგრძლივის და

ადელვებულის დამოუკიდებელ ცხოვრების შემდეგ, რომლის განმავლობაში გამოიჩინა შედარებით დიაღ შესანიშნავი ამტანებლობის ძალა და სოცარი სულისა და ჯანის სიცხოველე, გაუძლო ყოველ-გვარს მასზედ მოვლენილს უბედურებას, შერჩა თავისსავე ძვეყანას—ბოლოს თითქმის ხელი აიღო თავისთავზედ ავადაც ს კარგადაც. თითქოს განუწყვეტელის ბრძოლით მოღალულმა და მოქანცულმა, დაძაბუნებულმა და დაუძლურებულმა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებისათვის, თავის ბედი ოვადასცა ძლიერს თანამორწმუნე რუსეთს, რომელსაც უნდა ეზრუნა მის კეთილ-დღეობისათვის, განეწყო მისი საქმენი, მიეცა შეძლება შესვენებისა და საქართველო ისევ მოლონიერებული, ფეხზე დამდგარი, გამოსულიყო საზოგადო პროგრესის და ბედნიერების გზაზე.

თუმცა საქართველო ოვის ნებით გარდაეცა ძლიერს რუსეთს და ეს საქმე თითქმის მეთხუთმეტე საუკუნეში დაწყებულ იქმნა, მაინც აგრე ადვილი არ იყო ვისგანმე შეუცილებლად მისი სამუდამოდ დასაკუთრება. ერთ-მხრივ სპარსეთი და მეორეს მხრით ოსმალეთი სწყვდა ამ მოცილეობას რუსეთთან. ამათ სჯაულამდა მის დამორჩილების სურვილი და თუმცა საწადელი ვერ აისრულეს, მაგრამ მაინც დიდ ხანს შეაყენეს ეს საქმე. ძძლავრ სახელმწიფოთა ერთმანერთ შორის მოცილეობამ გამოიწვია ათასი წვრილმანი შეტაკება, რომელსაც საქართველოზე ხამწუხარო და დამაუძლურებელი გავლენა ჰქონდა. სპარსეთი და ოსმალეთი რუსებს რომ ვერას დააკლებდენ, საქართველოს მოადგებოდენ ხოლმე და განძვინებულნი მასზედ ჰყრიდნობდენ ჯავრსა; სჯულეტდენ შუაში სრულიად უდანაშაულო ერს, რომელსაც მარტო იმ ბრალსა სდებდენ,—ძლიერს ს თანამორწმუნე სახელმწიფოს რად ეკედლებიო.

1795 წელს 13 ენკენისთვეს უკანასკნელად მოისრა საქართველოს დედა-ქალაქი თბილისი და 80 წლის მოხუცებულის მეფის გულმაც გადასწყვიტა ბედი თავის ქვეყნისა, რომლის აღდგენასაც შესწირა ორმოცდა-თორმეტი წელიწადი თავის მღელვარე მეფობისა.

რუსეთის გამაგრებას საქართველოში ხელს უშლიდა აგრეთვე მამაცი და თავისუფლების მოყვარე სხვა-და-სხვა მთის ხალხი, რომელთა შორის ზოგიერთნი ძლივს იქმნენ დამორჩილებულნი და დამშვიდებულნი ამ ოცის წლის წინად შამილის დამარცხების და დატყვევების შემდეგ.

თვით საქართველოს ხალხი, რაც უნდა საბედნიერო ყოფილიყო მისთვის რუსეთის მფარველობა, ცხადია, გულს ვერ გაუშლიდა იმ თავიდამვე უცხო-ტომის ხალხს, რომელიც ასე თუ ისე, მაინც მეუფრესე ხალხს, თითქო გამარჯვებულს უცხო-ტომს წარმოადგენდა განსხვავებულის ხასიათებით, ჩვეულებით, ზნეობით, გონებით ან მოქალაქობრივ განწყობილებით.

არა ერთჯერ, არა ორჯერ ან არა სამჯერ დაიღვარა სისხლი მამულის შვილთა, რომელთაც რუსების მფარველობა უცხო ტომის მიერ საქართველოს დამორჩილება და ძალ-და-ძალი დამორჩილება ეგონათ. არა ერთი ან ორი მხურვალე პატრიოტი იქმნა ლტოლვილ უცხოეთად, არა ერთი დიდებული და თვით ცხებული გვამი მიიქცა სპარსეთად და ოსმალეთად და იქ უცხოეთში დალია უკანასკნელნი დღენი.

მაგრამ ბოლოს მაინც დამკვიდრდა რუსეთის მფლობელობა საქართველოში, რომელსაც თან-და-თან შეეჩვია ხალხი, მიდრეკილი განათლებისა ან კულტურისადმი, ან არა ისე ველური, როგორც ლეკნი მაგ. ან აბხაზნი და ჩერქეზნი; ასე თუ ისე შეურიგდა ბედს, რადგან თან-და-თან ჭხედავდა, რაგორ

მკვიდრდებოდენ შედარებით უმჯობესნი პირობანი მოქალაქობრივის ცხოვრებისა, შედარებით მეტადრე იმ დროისა, როდესაც გარე შემორტყმულ მტერი მუდამ ურღვევდა საქართველოს მიწის-მომქმედს ხალხს მუუდრეკებას, და ამის გამო დაცულ არ იყო რიგიანად არც პირადი, არც ქონებრივი და არც საზოგადობრივი უვნებელობა. ცხადი წეშმარიტებაა, რომ მომეტებულ მოუვრულის განწყობილობისათვის მოსულთა და ქართველთა შორის, მომეტებულის ნდობის დასამყარებლად, საჭირო იყო შესწავლა ხალხისა მოსულების მხრით, რადგან იგინი მოვიდნენ, როგორც მმართველნი ქვეყნისა, გამგებელნი მის საქმეებისა და ბედ-იღბლისა. ნდობის დამყარება კი ტოტალ არის რიგიანად შეუძლებელი იყო, თუ რუსები მხნედ და ფხიზლად არ შეუდგებოდენ შესწავლას ახლად შეძენილის ქვეყნისას. ჩვენ ერთმანერთისთვის ბარბაროსები ვართო, რომ ამბობდენ ძველი ბერძნები უცხოელებზედ, სწორედ ისე მოუვიდოდა კავკასიის ხალხს და რუსეთს. ერთმანერთისას ვერას გაიგებდენ, უცხოებად დარჩებოდენ და ერთმანერთის გასაცნობად ვერაფერი ვერ გარიგდებოდა; და რომ უნდა გარიგებულიყო რამ, ამას რუსეთისავე სარგებლობა მოითხოვდა.

რუსეთის სახელმწიფო ინტერესი იყო, რომ მას ჯერ საქართველოში მოეკიდნა ფეხი და მერე მის ბძანებლობა გავრცელებულიყო კავკასიის წვრილ მთიურს ხალხებზედაც ქართველების შემწეობით. ჩვენი აზრი რომ უფრო ცხადი შეიქმნეს, აღვნიშნავთ შემდეგს გარემოებას. 1800 წლამდე რუსეთის სამხრეთ – სამზღვარს შეადგენდა ძლიერ გამოურკვეველი ხაზი აზოვის ზღვის აღმოსავლეთის ნაპირიდამ დაწყობილი კასპიის ზღვის ნაპირას მდებარე ქ. ტერკამდე. ამ ხაზზე იდგნენ სამზღვრის მცველი რუსის რაზმები, მაგრამ, რადგან

ეს საზი არ წარმოადგენდა არავითარს ბუნებრივ ზღუდეს ეგ მიჯნას, მთას ან მდინარეს მაგალითად; ამისათვის ფრიად ძნელი იყო მისი შემაგრება. მთის სხვა-და-სხვა ველურნი ხალხნი, მტაცებლობის და ცარცვა-რბევის გულის-თქმით აღტაცებულნი, მოსვენებას არ აძლევდენ რუსეთის სამზღვრის მცველ რაზმებს. ჩაჩანი, ლეკი, ყაბარდო, ჩერქეზი და სხვანი, შეხიზნულნი კავკასიის მთების ჩრდილოეთისკენ და მოფენილნი მათ კალთებზე ვიდრე ვაკე-ადგილებამდე, თითქო შეჯიბრებულნი იმ თავიდამვე ესეოდენ სამხრეთ-რუსეთში დასახლებულს ხალხს, აოხრებდენ მის სოფლებს და ქალაქებს და ნატაცვენ-ნადავლით ბრუნდებოდენ შინ თავიანთ საუკარელ მთებში, სადაც მათი აულები არწივის ბუდესავით იყვნენ ფრიალო კლდეებზედ გამაგრებულნი. დევნა მათი სრულიად ამაო იყო: მარტო ერთის მხრით იერიშით მისვლა მათზე, ე. ი. ჩრდილოეთით, შეუძლებელი და თითქმის თავხედობა იქნებოდა; ამიტომ რომ, რამდენიც მდევარი ახლო მიეტანებოდა, იმდენი ღრმად შეიმალებოდენ ბუნებით გამაგრებულს მთათ-საკანეებში და რაც უფრო მეტად შეჰყვებოდა თან, მით უფრო დიდი და დიდი ზარალი ექმნებოდა მდევარს.

აი ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ საქართველო შეიქმნა რუსეთისთვის დიად ძვირფას საფუძვლად, ბაზისად, საიდამაც შეიძლებოდა მოვლა მთიურთა შეორეს მხრით, შემწუვდეგა მათი, და ჩანგრძლივის თავ-განწირულის, თითქმის ათის წლის ომისა, სიცხლის ღვრისა და სიმდიდრის დაღუპვის შემდეგ მაინც, — მათი დამორჩილებაც; მაშინ გაადვილდებოდა თვალის დაჭერა ამ ზაის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილისკენ და როდისმე მომავალში თვით ინდოეთისკენაც სახელმწიფოს საზღვრების გავრცელე-

ბა და ადებ-მიცემობის ზღორძინება, მაგ. ხალხის საკაკრო ადგილების გამოძებნა რუსეთის ნაწარმოებისათვის. ამბობენ, ეს უკანასკნელნი გარემოებანი ისეთსავე საჭიროებას შეადგენენ სახელმწიფოსათვის, როგორც ფიზიკური ძალა რომელიმე ორგანიზმისათვისაო. თუმცა შეიძლება ეს აზრი მართალი არ იყოს, ან დიპლომატების მოგონილი ან მათგანვე გავრცელებული, მაგრამ მაინც ბევრი ასე თქვრობს და ცოტას რაღა ძალა აქვს, თუნდ სრულიად წინააღმდეგიც ითქვროს!

რუსეთის მეფარველობის დასამყარებლად უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო რიგიანი და კეთილ-სინიდისიერი მოხელენი და მმართველნი, რომელთაც უნდა ჩაებარებოდათ მმართველობა მთლად კავკასიისა. გულ-წრფელი და კეთილი განზრახულება, რომელიც გამოსჭვირს ალექსანდრე I-ისგან გამოცემულს უმაღლეს რესკრიპტის ყოველს სიტყვაში, მოითხოვდა აღმასრულებელთაგან ამ ნაირისავე გრძნობით და განზრახულებით აღვსილს ღვაწლსა, მაგრამ განზრახულება ერთია და მისი აღსრულება სხვაა.

კარგს განზრახულებას შესრულებაც შესაფერი უნდა, კარგს მთქმელს—კარგი გამგონი, კარგს ღვინოს—კარგი ჭურჭელი! ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, ჩვენ შეეუნდობთ ჩვენის მსრით იმ წარმომადგენლებს მოსულ მმართველობისას, რომელთაც უნდა შეასრულებინათ ქვეყნისათვის სასარგებლო განზრახულება ალექსანდრე I-ისა და ვერ კი შეასრულეს იგი, რომელთაც, კარგა ერთის ორისა, ამაღვრიეს ცხოვრება ერისა, არივ-დარიეს უცხო ან ადგილობრივი, კარეული ან შინაური და აწყვ-დაწეწეს რიგიანის ან მართებულ წეს-წყობილების დამყარების საქმე. ჩვენ შეეუნდობთ მათ, თუ შეუნდობს ისტორიაც; და ბარემ მკითხველსაც ალარ შეეაწუხებთ ამათ წაღმართ-

უკუღმართობის აწერით გრაფ ვარანტოვამდე, რომლის მთავარ-მმართებლობის დროსაც შეიქნა ოცა-ფუტი ჩვენს საზოგადობრივს ცხოვრებაში, და ასე თუ ისე, დაგვეტეო ჩვენც ნიშან-წყალი ჩვენის ეროვნობისა. . . .

მხოლოდ ვარანტოვის დროს დაიწყო მეორე ხანა ჩვენს ცხოვრებაში რუსების შემოსვლის შემდეგ. მხოლოდ მის დროს დავაკვირდით ჩვენ რუსებს და რუსები ჩვენ და ტოტად თუ ბევრად გავიცანით ერთმანეთი. სასაკეთო იყო, თუ არა ეს პერიოდი, ეს ხანა, კერძოდ ჩვენთვის, ამაზე თუ არ პირდაპირი, სხვათა შორის მაინც იქნება პასუხი მეორე თავში

სწორედ ამ ვარანტოვის დროს ეკუთვნის ის კაცი, რომლის მოღვაწეობაც დიად შესანიშნავია საქართველოსათვის და რომლის მნიშვნელობაც გვინდა განვუმარტოთ მკითხველს.

II

როგორც წინად მოვიხსენეთ, ვარანტოვის დროს დაიწყეს გაცნობა ჩვენის ქვეყნისა. გამოჩნდა მთელი დასი განათლებულ რუსებისა, რომელიც გულ-მოდგინედ იკვლევდა ჩვენს ქვეყანას და კავკასიას საზოგადოდ. ყოველს მათგანს ჰქონდა თანამდებობითი მოვალეობა, დახმარებოდა მმართებლობას შეძლების გვარად და გაეცნოთ ჩვენი ქვეყანა ყოველ-მხრივ: გეოგრაფიულად, ეტნოგრაფიულად, სტატისტიკურად, სტრატეგიულად, ლინგვისტიურად და სხვ. და სხვ.

ამ გამომკვლეველთა შორის ზოგნი სრულიად ივიწყებდენ მმართებლობის განზრახვას: იგინი მეცნიერებით გატაცე-

ბულნი, იდეალურის ლტოლვილებით ჭეშმარიტებისადმი შემსჭვალულნი, დაუღალავად მუშაობდენ მხოლოდ მეცნიერულის განზრახვით იმ ქვეყნის შესასწავლებლად, რომელსაც განცვიფრება აღუძრავს არა ერთს ჯერს ისტორიულს სალხში, რომლის მთების მწვერვალებს მოჰფენია პირველ—სსიკი კატობრიობის ისტორიამ და ერთს მათგანზედ მიჰსჭვალა პრომეთეოსი ბერძნებისა და ჩვენი ამირანი კატობრიობის გულისათვის თავგანწირულნი და არწივის საწიწკნელად გადადებულნი.

აი ამ ქვეყანამ, რომლის გარშემო დღესაც კიდეკ განურჯებელი ისტორიული ბურუსია შემოხვეული, გაიტაცა უსლარიც. მან იტვირთა იმ ბურუსის გაფანტვა და მოფენა მკრთალის ნათელისა მაინც კავკასიის ისტორიის წინა-დროებისთვის. მან გამოიყენა ის უტუარი ფარანი, რომელიც მხოლოობითია თითქმის ამ ნაირს ძიების დროს და რომელსაც უწოდებდენ ლინგვისტიკას, შედარებით ენათა-გამოკვლევას. ამ ფარნით გაჭეანტა მან ცოტად თუ ბევრად ხშირი ისტორიული ღრუბელი, გაარკვია წუვდიადი ყამთა და ჩაიხედა თვით დროთა უფსკრულში. დიად, უსლარი უმთავრესად ლინგვისტი იყო და ევროპაშიაც ცნობილია მარტო—როგორც ლინგვისტი.

ისტორია უძლურია უარსეოლოგიოდ, ულინგვისტიკოდ. აი მიზეზი, რომ უსლარი, თუმცა მოწადინე იყო კავკასიის ისტორიის შესწავლისა, დაანება თავი ამ განზრახვას და მიჰყო ხელი იმ მეცნიერების შესწავლას, რომელიც შეადგენს საფუძველს ისტორიისას,—ესე იგი კავკასიის ენების შესწავლას. კავკასიის უძველეს ისტორიის შესწავლამ დაასასვა უსლარს ამის აუტილებელი საჭიროება. უსლარი სწერს ა. ბერჟეს წერილში 1859 წ.: «დღითი-დღე უფრო ვრწმუნდები, რომ შესაძლო იქნებოდა დაწერილიყო რიგიანი ისტორია მთელის კავ-

კასიისა, თუ მასალები ეროვნულიეო მომზადებული. ისტორიის საქმე ის არის, რომ გაიგოთ, რად მიიღო ხალხმა ასეთი და არა ისეთი სახე; ეს განსაკუთრებითი სახე მისი არ წარმოსდგება შემთხვევითის გარემოებათაგან, რომელთაგან აქამდის ისტორიას ახუხულავებდენ, არამედ მუდმივ მოქმედ გარემოებათაგან, რომელნიც შეიძლება შეისწავლოს კაცმა. მატიანენი და გარდმოცემანი, რომელთ ნაკლებულებაზედ მუდამ სჩივიან, შეადგენენ ფრიად საეჭვო და ღარიბ მასალას ხალხის უძველეს ისტორიის შესასწავლელად; ხოლო უძველესს ისტორიას დიდ მნიშვნელობას ვაძლევ, რადგან მასში უველაზე ადვილია შეამჩნიო ხალხის ძირითადი ეთნიკური თვისებანი. მატიანენი მოგვითხრობენ ჩვენ ქართლოსსა და ჭაოსზედ, რომელნიც არას დროს არა ყოფილან ქვეყანაზე. გარდმოცემანი შეიძლება სრულიად შემთხვევით შემოტანილ იქმნენ ხალხში. მე ვკითხე ერთს ოსს: გარდმოცემა არა გაქვთ-რა თქვენს ჩამომავლობაზე მეთქი?— როგორ არა, გვაქვსო. ხალხში ლაპარაკობენ, რომ ჩვენ და ნემეცები ერთის ჩამომავლობისანი ვართო. ცნობის-მოუვარეობა უიგრო განმიცხოველდა: მიამბეთ, რას ამბობს ხალხი ამაზედ მეთქი. —ამ რამდენიმე წლის წინად ჩვენში მოვიდა ერთი სწავლული ნემეცი, იმან ასე ვკითხრა და ხალხიც ასე ლაპარაკობსო.

«მაგრამ ვერც ენას და ვერც ადგილ - მამულს ვერ გადასხვაფერებენ. — ესენი არიან უტუარნი, დაუშრობელნი მატიანენი; ყოველს კავკასიის ხალხს, როგორც სხვა ხალხებსაც დედა-მიწის ზურგზედ, აქვს ამ ნაირი მატიანენი. ამ მატიანებიდამ შეიძლება შეიქმნეს ხალხის ნამდვილი ისტორია, მაგრამ, რასაკვირველია, ეს მე არ მხვდება წილად... თუ მე რასაც დავწერ, იმით ტოტათი მაინც გავარკვევ გზას მომავალ ისტორიულ გამოკვლევათათვის კავკასიაზე, იმ ნაირ გამოკ-

ვეკვათათვის საზოგადოდ, როგორც არიან გამოკვლევანი გრიმმისა, ბოპპისა, ლასსენისა, პოტტისა, ჯ სხვ. მაშინ ესეც ვგონებ დიდ სამსახურათა და ღვაწლათ ჩამეთვლება. მოლოდინსაც რომ გადავაჭარბო, მაინც ჩემი ისტორია არამც თუ ნამდვილი ისტორია არ იქნება კავკასიისა, არც ისტორიული მასალა იქნება. იგი იქნება მხოლოდ მომზადება რიგიან და ნამდვილ ისტორიულ მასალების შეკრებისათვის, და ამ გვარი მომზადება მართლაც აუცილებელი საჭიროებაა. წინააღმდეგს შემთხვევაში მთელი ისტორია კავკასიისა დარჩება გამოფიტულ, ძლიავს მფეთქავ ჭლექიან არსებასავით. მის დასნეულებულს ჭაერში დაჭკნებიან ვარდნი მშვენიერის თამარ მეფის ღაწვებზე და გაჭეკითდებიან დაფნის გვირგვინნი კავკასიის გმირებისა. ვიდრე გზა არ გაიკაფვის კავკასიის გონიერულ ისტორიისათვის, მანამდის კავკასიის ისტორიული მოღვაწენი დეკნულ იქნებიან ამ დატინვით.

«რას ფათურობთ ჯ რისთვის ედებით ღობე-ყორეს?»

ზაგურსკი ამბობს, რომ ამ გონიერულს გზას ადგა უსლარი შესახებ კავკასიის გამოკვლევისაო. როცა უსლარი ამბობს, რომ კოლხები უთუოდ მოსული ხალხია კავკასიაში უცხო ალაგებიდამაო, იგი ამტკიცებს, რომ მარტო ლინგვისტიურის გამოკვლევით შეიძლება უჩვენოს კაცმა კვალი ამ ხალხის არსებობისა ამ ქვეყანაშიო: «მატიანის თქმულებანი უძველესს დროზე, როგორც მაგალითად, ქართლოსზე, ჭაოსზე, ეგრისზე და სხვ. სრულიად არ არიან სარწმუნონი. ათასის წლის წინად გამოგონილი ტეუილი და სიცრუე იმ გვარადვე უნაყოფოა მეცნიერებისათვის, როგორც ეხლანდელი. დაუშრობელი წყარო უძველესის დროისა არის ენა... არ არის არავითარი წერილობითი თქმულება მასზედ, რომ მთავარი ევ-

რომის ხალხები და ინდუსები ერთის და იგივე შთამომავლობისანი იყვნენ, მაგრამ შედარებით ენების შესწავლა დაურღვეველად ამტკიცებს ამას. კოლხებს არ დაუტოვებიათ არავითარი წერილობითი ნიშნები და სახსოვარნი, მაგრამ ისე ვერ გაჭრებოდენ, რომ არავითარი კვალი არ დაეტოვებინათ იმ ხალხის ენაში, რომელიც ეხლა იმათ ქვეყანაში და იმათ ადგილს სცხოვრებს. მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა უნდა მიქცეულ იქმნას ყურადღება ენაზე.

«როგორ უნდა შეეტყოთ რა კვალი დასტოვეს კოლხებმა თავის ენისა? შეისწავლეთ მეგრელების ენა და ლაზებისა, ქართველების მოდგმის ხალხთა, გამოჭვრიტეთ იქიდამ, რაც არ ეკუთვნის ამ მოდგმას და იმ ხალხებს, რომელთანაც შემდეგ იყვნენ მეგრელები და ლაზები დამოკიდებულებაში და ამ ნაირად გამორჩეული მასალა შეაძლებინებს კაცს აღადგინოს ენა და შეისწავლოს ყოფა-ცხოვრება შავის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირების გადაშენებულ მცხოვრებლებისა.» პროგრამაც კი აქვს შედგენილი ამ გვარის გამოკვლევისათვის უსლარს. შეგროვილი მასალა მეცნიერთაგან გაისინჯება და შედარებულ იქმნება ყოველ ცნობილ ძველ ენებთანაო.

საზოგადოდ ლინგვისტიკის მნიშვნელობაზე უსლარი ბევრგან ლაპარაკობს თავის დიდს თხზულებაში და ჩვენც ვეცდებით, როცა იქამდის ჩავალთ, არ დავტოვოთ აღუნიშვნელი ყოველი შესანიშნავი მისი საზოგადო მოსაზრება.

ამ რიგად, დიდის ნიჭის პატრონი დიდის თავდარიგით შეუდგა საქმეს. იშოვნა დედა-ძარღვი და იმის შესწავლა დაიწყო ცხადია ზემოდ თქმულიდამ, რა სასაცილო უნდა იყოს ის კაცი, რომელიც აწყვე თიქრობს შექმნას ისტორია კავკასიისა,

ან საქართველოსი და ჭსურს, რომ იგი იყოს უტეუარი და ნამდვილი.

კავკასიის ენების შესწავლა შეიქმნა ბირველი და უკანასკნელი საქმე უსლარისა, მისი წადილი და მოუკვლელი წეურვილი. კავკასია მრავალ ენოკანია. ეკელა ენების შესწავლა საარკოა და მოურეკნელი. საიდგან დაეწეო უსლარს და რომელი ერთი შეესწავლა? სიმნელემ ისე ვერ იმოქმედა, ისე ვერ შეაშინა იმის ნათელი გონება, ღრმა სიეკარული მეცნიერებისა ‌ ‌ თავ-გამომეტებული, მედგარი შრომის-მოყვარეობა, რომ თითქმის ბირველის იერიშითვე დასძლია ერთი უძნელესთაგანი ენა კავკასიის მთიურ ენათა შორის, სასკლდობრ ათეხაზური და შემდეგ მალე ჩაჩნურიცა, რაისათვისაც ღირს-იქმნა სრული დემიდოვის ჯილდოსი. შემდეგ მან დასძალა და შეისწავლა ექვსი თუ შვიდი სხვა მთიური ენა; მაგალ. უაზი-ეუმეუსური, დარღინისა, ეიურინისა და ტაბასარანული. გამოგკლევა ტაბასარანულს ენაზე უსლარისა ითვლება ძვირფას შრომად სხვა მის ლინგვისტიურ შრომათა შორის და კავკასიის განეოფილება გეოგრაფიულ საზოგადოებისა ჭფიქრობს მალე შეუდგეს მის გამოცემას, რადგან იგი დარჩა ავტორის სიკვდილის შემდეგ სელ-ნაწერად. მათ გარდა, რამდენადაც დრო და მოცალეობა ნებას აძლევდა, სწავლობდა იგი სვანურს ენას, ლაზურს, მეგრულს, ქართულს და სხვათა: მაგალითად, უაბარდოელების ენას, რომელიც უნდოდა გამოეკვლია, შემდეგ ადმოსავლეთ-მთიურ ენების შესწავლისა. მეტად საინტერესოდ მიაჩნდა მას ზმნები ქართულის ენისა და მათი აგებულება, რადგან ისეთს სიმნელეს წარმოადგენენ იგინი, რომ თვით შორს გამჭვრეტელმა ლინგვისტმა შლეიხერმა ხელი აიღო მის ანალიზისაგან. ქართულს ენას სწავლობდა უსლარი ბეტრე უმი-

კაშკილის შემწეობით, რომელმაც, როგორც ამბობს ბატ. ზაგურსკი, მიჰმართა ქართულის ენის მცოდნეს ბ. დ. ეიფეიანს და მას გამოართვა სქემა ქართულ ზმნების უღვლილებისა.

ენების ამ გვარმა შესწავლამ უსლარს შეაძლებინა საზოგადოდ თვალი გადაეკლო კავკასიის ენებზე და დაეყო ჯგუფ-ჯგუფად, რომელთაც თავ თავისი ადგილი უნდა დაეჭირათ საყოველთაო ენათა ჯგუფებში. მეტადრე ბოლოს დაიწყო ამაზედ ფიქრი, როცა ცოტად, თუ ბევრად მიჰსვდა და შეიგნო ის საფუძვლნი, ის დედა-ბურჯნი, რომელზედაც იგინი არიან აგებულნი; უსლარმა დაჰყო და დიდის სინამდვილითაც ყველა კავკასიის ენები სამს ჯგუფად: აღმოსავლეთ-მთიური ჯგუფი, დასავლეთისა და ქართული ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნიან შემდეგი ენები: მეგრული, ლაზური, ანუ ჭანური და სვანური*). ამისი კლასიფიკაცია ბევრად უფრო ნამდვილია, ვიდრე გამოჩენილის ლინგვისტის ფრიდრიხ მილერის კლასიფიკაცია კავკასიის ენებისა და ხალხთა, თუმცა მილერმა უფრო გვიან შეადგინა იგი.

უსლარს ჭსურდა, როგორც სჩანს ერთის მის წერილიდამ, გამოეკვლევინა თავის ლინგვისტიური ცოდნა კავკასიის ხალხთა თვისების ასაწერად, მაგრამ სიკვდილმა აღარ აცალა. წინასწარვე იგრძნო, რომ მას არა ხვდება წილად საზოგადო მოსაზრების წარმოთქმა შესახებ ურთი-ერთთან დამოკიდებულებისა კავკასიის სამ ჯგუფად დაყოფილ ენათა. ის ამბობს ამ

*) იხ. IX Выпускъ Сборника Свѣдѣній о Кавк. горцахъ მისი წერილი, «Характеристическія особенности кавказскихъ языковъ», რომელშიაც გამოხატულია საზოგადოდ საფუძვლნი ენების დაწყობილებისა ჯგუფ-ჯგუფად, ანუ მათი კლასიფიკაცია.

საგანზედ, სიმწარით და ნაღველით («Кавказъ» 1868 წლისა, № 113.) «ars longa et vita brevis est!» (მეცნიერება გრძელია, მაგრამ სიცოცხლე მოკლე).

«რაც უნდა იყოს, უმატებს ბ. ზაგურსკი, მაინც არ ეროს მეცნიერს, რომელნიც კავკასიის გამოკვლევას ადგენენ, არ უმოქმედნია იმდენი მეცნიერებისთვის, რამდენიც იმოქმედა უსლარმა, რომლის შრომანი მასთანაგე, განსხვავებულნი არიან სინიდისიერად ადსრულებით და ბევრად მაღლად სდგანან სხვა შრომებზე კავკასიის ლინგვისტიკიდამ, და ასე გასინჯეთ, საკობიან თვით შეგრენის დარბაისლურს გამოკვლევას ოსურს ენაზედ.»

უსლარი თითქმის პირველი მიხვდა, რომ კავკასიის ლინგვისტიკა შეუძლებელი იყო სხვა-და-სხვა კავკასიის ენებისთვის ანბანის შეუდგენლად, იმან პირველმა ჩასდგა საფუძველი მწერლობისა იმ ხალხთათვის, რომელთაც რამდენიმე ათასი წელი უმწერლობოთ გაატარეს და ტვინიერი მსარე ამ საქმისა თვით იდგა თავსა. უნდა შევნიშნოთ, რომ გარდა წმინდა მეცნიერულის გასზრახვისა, უსლარს ამ საგნის შესახებ პოლიტიკური მოსაზრებაც ამოქმედებდა. ის ამბობს, რომ ხალხი და მეტადრე მთიური შეუძლებელია განათლდეს სხვაფერივ როგორმე, თუ არ მშობლიურ ენის და ლიტერატურის შემწეობითა. ხოლო ამისათვის საჭირო იყო ანბანი მთიურ ენებისთვის და ამ ანბანების შედგენას მოანდომა საკმაო დრო ჯ ჯაფა. ამ საქმისათვის საჭიროდ შეიქმნა, რომ არჩეულიყო რომელიმე ცნობილი ანბანი ჯ მასზედ დამყარებულიყო მთიურთათვის ანბანთა შედგენა. ამ ნიადის ანბანად უსლარს მიაჩნდა ქართული ანბანი, როგორც ყველაზედ უფრო შესაბამი მთის ხალხის სხვა-და-სხვა სმათა გამოხატვისათვის; «თუ დაკვაკვირ-

დებითო ქართულს ენბანს შესახებ თვით ქართულის ენისა, არ შეგვიძლიან არ გამოვტუდეთ, რომ იგი ჩინებულად შეფარდებულია და საკვირველად ზედ გამოწყობილი; იმისთანა განვითარებული ენბანი არ მოიპოვება მთელს ძველსანაზედ: ყოველ ხმა გამოიხატება განსაკუთრებითის ნიშნით, და ყოველი ნიშანი მუდამ ერთსა და იმავე ხმას აღნიშნავს. ყოველს კვროპიულს ენებში მოიპოვება ფენ-წამოსაკრავი და საბორძიკო სიძნელე—მართლ-წერა, მაგრამ ქართველებისათვის არ არსებობს იგი განვითარებულის ენბანის წყალობით.» თუმცა უსლარის აზრით ეს ენბანი უნდა ჩადგმულიყო საძირკვლად მთიურ ხალხთა ენბანთათვის, მაინც პოლიტიკურის მოსაზრების ძალით უარ-ყოფილ იქმნა ეს აზრი და შეგრენმა ოსურის ენბანის საფუძვლად რუსული ენბანი მიიღო. თვით უსლარიც ძტკიცედ ვერ დაადგა თავის აზრს ამ საგნის შესახებ. «დღეზედ ცხადია» ამბობს ის, «რომ ქართული ენბანი უნდა იქმნას მიღებული საძირკვლად იმ საზოგადო ენბანისა, რომელიც უნდა შესდგეს წერა-კითხვის უქონელ მთის ხალხთა ენებისთვის, მაგრამ თუ ქართველებისაგან გადმოვიღებთ არამც თუ მარტო ენბანის სისტემას, არამედ თვით ასოებს და ნიშნების მოხაზულობასაც,—ჩვენვე გადვიკიდებთ ისეთს ტვირთს, რომელიც მით უფრო მაგნებელი იქმნება, რაც უფრო რუსული განათლება გაგრცელდება კავკასიაში... ქართულს ენბანს ხმარობენ მარტო ქართველები; იგი ძლიერ განირჩევა, როგორც რუსულისა, ისე სხვა ევროპიულ ენბანისაგან, ამასთანავე ეხლა რუსული განათლება ძლიერ გავრცელებულია განათლებულს ქართველებსა და სომხებში: მთის ხალხთა მომეტებულს ნაწილს არავითარი ურთი-ერთობა და დამოკიდებულება არა აქვს ქართველებთან, რუსებთან კი მჭიდრო დამოკიდებულებაში არის

და ძლიერაცა გრძნობს რუსულის ენის და განათლების საჭიროებას. მაშასადამე ერთიდა გვრჩება: რუსული ენბანი ეიოს საფუძვლად და იმის ასოების მოსაზულობა შევაწყოთ და შეგუსორცოთ ქართულს ენბანს.»

ამ პოლიტიკურ მოსაზრების ძალით დაირღვა იმ აზრის განსორციელებაჯ, რომელიც მისცემდა კულტურულს მნიშვნელობას ქართველებს მომავალში მთელს კავკასიაში, მტირეოდნად მაინც ალადგენდა მის ძველებურს ისტორიულს მნიშვნელობას, როგორც უპირატესის ტომისას, რომელზედაც ნებას აძლევს მას ისტორიული უფლება და ისტორიული სამართალი.

იმ გარემოებამ, რომ შწერლობა შესაძლებელი გახდა მთის ხალხისათვის, გამოიწვია მოძრაობა რუსეთში, დაიმართა სკოლები ცივილიზაციის შესატანად მთებში, ანუ როგორც უსლარი ამბობს, დასანარგავად მეცნიერებისა კლდოვანს ნიადაგზე.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ დიდი ლინგვისტი და ორიენტალისტი უსლარი, თუმცა შედარებით დიად კეთილოვანების აზრებს ადგენ სხვა-და-სხვა კავკასიის ეროვნებათა ალზრდაზე და განათლების შესახებ მშობლიურს ნიადაგზედ — რაიცა მას შესანიშნავ შედეგოგვადაცა ჰქონდის — მაინც დიდი პოლიტიკის კაცი ეოფილა. ამ მხრივ ეოველს მის სიტყვაში გამოსჭვირს უფროსის ხალხის ინტერესის დამცველი, დიდი ბრძოს-გამჭვრეტელი პოლიტიკურის ნიჭის კაცი, და თუმცა მტკიცე, მაგრამ ერთ სხვებსაგით უშვერი მოსურნე კავკასიის ერთა გადაშენრებისა. მისთვის ამ მხრივ ეოველი გონიერულად ზენ თვით წადილი კი ერ ერის, ერის მხოლოდ ხასხარი გადაბირებისათვის. ცხადად რომ დაკინახოთ ეს და უფრო ნათ-

ლადაც წარმოვიდგინოთ უსლარის გონებითი და სულიერი სურათი, გარეშე იმ ინტერესისა, რომელიც დღესაც აქვს უცხოთემელების განათლებას, ამოვწერთ ზოგიერთა ადგილს მის ორის წერილიდამ «О распространеніи грамотности между горцами» და «Предположеніе объ устройствѣ горскихъ школъ», ბ. ზაგურსკის შენიშვნებითურთ.

უსლარი აღნიშნავს რა იმ გარემოებას, რომ დაღესტნელნი საშინლად უნდოდ უცქერიან რუსებს, რსევას აძლევს მმართველობას — მოიზიქრონ მათს დაახლოებაზედ. «თითქმის სამასი წელიწადია მას აქეთ» ამბობს უსლარი: «რაც დამორჩილებულია ყაზანის სამეფო. ვოლგის დაყოლებაზე მცხოვრები თათრები შეუდარებლად უფრო კარგს გეოგრაფიულ მდგომარეობაში არიან დაახლოებისათვის, ვიდრე დაღესტნელნი. ქალაქებში და სოფლებში თათრები თითქმის რუსებთან ერთად სცხოვრობენ. მომეტებული წილი რუსის აზნაურობისა ყაზანისა და სიმბირსკის გუბერნიებში თათრის შთამომავლია, როგორც მაგალითად დერჟავინები, ყარამზინები, ერმოლოვები... ესენი სრულიად გარუსდენ, მაგრამ ისევით ხალხის გარუსება ადარ მიდიოდა წინ და ესლა წინააღმდეგი მოვლენანიც აღმოჩნდენ... აღმოსავლეთის ომის დროს ყაზანის გუბერნიის თათრებმაც დიდი გულ-გრილობა გამოუჩინეს რუსეთს... დაღესტნელთ დასამორჩილებლად ჩვენ მივმართავდით ხოლმე დაშინებას, დასაბუქრებას ფულით და სხვა-და-სხვა ხარისხებს ვურიგებდით.» უსლარი ამტკიცებს ამ საშუალებათა უნაყოფობას ⁄ ამბობს, რომ ერთად-ერთი საშუალებაა, «აკლიმატიზაცია, ანუ დანერგვა მეცნიერებისა მთიურს ნიადაგზედ.»

მაგრამ ზოგნი ამბობენ რომ მთის სალხნი მძულვარებით უცქერიან რუსულს განათლებას და ამის მიზეზს ეორან-

ში ეძებენ. «ჩვენში, ამბობს უსლარი, გაგრცელებულია ის აზრი, რომ ვითომ სიყოველთაო გონების სიჩლუნგე, პროგრესის მიუწდომელობა, რომელიც შენიშნულია მოსლემინობაში, წარმოსდგება ოვით მოსლემინთა სწავლის შინაარსისაგან, რომელიც ვითომ ქადაგობს ფანატიკობას, ბნელ-უმეცრებას. ძნელია ამაზე დათანხმება. რასაკვირველია, ყურანში იპოვება ამ ნაირი მოძღვრებანი; მაგრამ ისინი წარმოადგენენ სუსტად ამოძახილს ბანს იმისას, რასაც დაბადებაში ვპოულობთ. დაბადება კი გამხდარა აუცილებლად საჭირო წიგნად მრავალ მილიონ ხალხისა, რომელნიც უგანათლებულესს ევროპის ერებს წარმოადგენენ. ფესვი ბოროტებისა ყურანში არ არის. . . . ჩვენ ქრისტიანენი არა ვართ მაინც-და-მაინც მაგალითნი მშვიდობის-მოყვარეობისა მოსლემინთათვის. მრავალ საუკუნეთა წინად, მაშინ, როდესაც ქრისტიანულს ევროპაში სწვავდენ მწვალებელთა (еретики), ებრაელთა და კერპთ-თაყვანის-მცემელთა, ხალიფებმა გამართეს თვით თავიანთ სრასა და პალატებში მოგზაურთა თავ-შესაფარი, განურჩეველად სარწმუნოებისა. ხალიფებმა მიიღეს მსწავლული ებრაელი, თავი ბაღდადის ებრაელთ სასოგადოებისა, ეს «მთავარი განდეგილობისა», დიდის თანაგრძნობით, პატივით და დარბაზობით. ამ მაგალითებს სარწმუნოებრივის განურჩევლობისას ჩვენ მივუმატებთ, თუმცა ცოტა სხვა გვარს, მაგრამ ჩვენ დროების მაგალითებს. მოსლემინობის სამღვდელოება კათოლიკეთა სამღვდელოებასთან ერთად კურთხევას გამოსთხოვს ღმერთსა სუეზის არხის გათხრის დაწყებისათვის! ეს ამბავი წინასწარმეტყველის სიტყვათან ახლო ხდება. ი რა არის მოსლემინების ვითომ-და ფანატიზმი, შეურიგებელი ომი ურწმუნოთა წინააღმდეგ . . . უბედურება ყურანში კი არ არის, უბედურება უმეცრებაშია!»

«უკეთუ სალხის განათლების საზოგადოდ», განაგრძობს უსლარი, «მივიღებთ სკოლების სიმრავლეს სალხის სიმრავლესთან შედარებით, აღმოჩნდება, რომ დაღესტნელნი ამ მხრივ წინ არიან განათლებულს ევროპიულ ერებზედაც. სწავლა შესაძლებელია და ხელ-მისაწვდომი ყოველ მთიურის ბავშვისთვის. ყოველს აულში მოიპოვება ერთი თუ ორი კაცი, რომელნიც ასწავლიან ბავშვებს წერა-კითხვას ლუკმა-პურის გულისათვის; ყოველს მეჩეთთან გამართულია სკოლები, სადაც შეუძლიანთ მსურველთ განაგრძონ სწავლა.» მაგრამ საქმე ის არის როგორია ეს სწავლა? «რას იტყოდით», განაგრძობს უსლარი, «რომ შვიდის წლის უვიცი ბავშვი დასვან და დააწყებინონ პირდაპირ ებრაული წერა-კითხვა იმ აზრით, რომ დაბადების კითხვა და გაგება შეიძლოს? წარმოიდგინეთ ამ ნაირი სკოლა ჩვენის ქრისტიან ახალ-გაზდობისათვის გამართული. რა სახით დასტოვებდა იგი ამ სკოლას? პასუხი ეველასაგან ერთი იქნება. სწორედ ამ ნაირი უმზგავსი წესია შემოღებული მოსლემინთა სკოლებში. ამ სკოლებში სწავლა იწყება პირდაპირ არაბულს ენაზე. ჩვენ არ გავაგრძელებთ აქ სიტყვას არც არაბულის ენ-ბანის სიძარიბეზე, არც უსამს კითხვის სწავლების მეთოდაზე, რომელიც უშვერობით დიად გადააჭარბებს ძველებურს ენა-ბანას. მოსწავლე ჭლუპავს რამდენსაც წელს მხოლოდ იმისთვის, რომ ყორანის კითხვა შეიძლოს და ისიც მის შინაარსის გაუგებრად. მხოლოდ ნიჭიერი უმაწვილები, შემდეგ ათის წლის მოგზაურობისა ერთის სკოლიდამ მეორეში, ძლივს სწავლობენ იმდენს, რომ არაბული ესმით. რასაკვირველია, ამ ნაირი გზა სწავლებისა აჩლუნგებს ნიჭიერებს. ეს კიდეც ცოტაა: უმეცარნი და გათვანატიკოსებულნი მასწავლებელნი ახშობენ ახალ-გაზდობის გონებას სამუდამოდ, უბნელებენ ტვინს

და ღრმად ნერგავენ მასში ფანატიკოსობას ლ გონების ხშირს სიბნელეს, ობსკურანტიზმს. ბედნიერია ის ერმა ახალ-გაზ-და, რომელიც ჩქარა სტოვებს ამ ნაირს სწავლას, ცხოვრებაში ეზიზღდება და გარშემო ჭეანტავს იმ სიბნელეს, რომლითაც მოიცეს მისი ტვინი. გარდა ზნეობრივის გაჟღენისა და აღ-ზრდის უფლებისა, არაბულის ენის მცოდნეთა აქვთ სხვა უძ-ლიერესი ღონისძიება ხელში», ამბობს შემდეგ კიდევ უსლარ-რი. «აგერ რამდენიმე საუკუნეა მას აქეთ, რაც მთის ხალხთა იგრძნეს საჭიროება მწერლობისა სხვა-და-სხვა ხელ-შეკრულო-ბის დამტკიცებისა და საჯაროდ დადგინებისათვის ქალაქდზე გამოხატვით. მაგრამ მწერლობა მთაში მარტო არაბულია, ნო-ტარიუსებად მარტო არაბულის ენის მცოდნენი. ჩვენის ად-მინისტრატიულ განკარგულებათათვის მთებში საჭიროა მწერ-ლობა; რუსული უცხოა მათთვის; საკუთარი წერა-კითხვა არა აქვთ; აქვთ მხოლოდ არაბული... ამ სახით მწერლობა შესახებ-სულ უბრალო, ყოველ-დღიურ საქმეებისა, სწარმოობს მკვდარს, შესასწავლებლად ძალიან ძნელს ენაზე, რომელსაც ლინგვისტი-კურადაც არაკითარი მონათესაობა არა აქვს მკვიდრ მთიურს ენებთან. წარმოიდგინეთ, რომ შუაგულ რუსეთში, ვთქვათ სადმე კასტრომის გუბერნიაში, მიწერ-მოწერა კერძო და ად-მინისტრატიული სწარმოებდეს არა სხვაგრიგ, თუ არ ებ-რაულს ან ძველს ბერძნულს ენაზედ! დაბადების ანუ ჭომერის ენით მისწერონ სოფლის სამმართველოს ერმის ბეგარის გა-მოუკანაზე, ანუ ხიდის და ბოგირის გაკეთებაზედ!... სწორედ ამისთანა საქმე ემართება მთის ხალხს.»

ამ გვარ მოსაზრებაზედ დამყარებული ამბობს ესლარი, თუ რა დიდი საჭიროებაა ჭქონდეს მთის ხალხს თავისი წე-რა-კითხვა და როგორ მოსპობს ეს გარემოება იმ მავნე და

სალხისა და მთავრობისათვისაც საზარალო გავლენას, რომელიც დღეს ხელთ უგდიათ არაბულ ენის მცოდნეთ.

ვინც ტუვის, რომ შეუძლებელია რაიმე ღრმა და ახალი აზრის გამოსატვა მთიურს ენაზე, მწერლობის შექმნა, წიგნების და ბროშურების თარგმანი, ის აი რა მზა ბასუხს მიიღებს ულლარისაგან და გგონებთ მისი გარდაწყვეტილებითი ხმა ამ საგნის შესახებ სრულიად ეჭვ ქვეშ არ უნდა იყოს. «თარგმნა მთიურს ენებზე ადვილად მოსასერხებელია, როგორც დაამტკიცა გამოცდილებამაც *), აზრი ამ ენების უკიდურეს სიდარიბეზედ სრულიად უსაფუძვლოა და მოგონილი იმ გვარ კაცებისაგან, რომელთაც არავითარი გაგება არა აქვთ მათი. ეს ენები, პირ-იქით, ფრიად მდიდარნი არიან გრამატიკულ ფორმებით, რომელნიც ნებას აძლევენ კაცს გამოსატოს მათზე თვით წვრილმანი და შეუნიშნავი აზრის მიმოხვრა.»

ამ ნაირად, ცხადია, რა გზაც უნდა იყოს არჩეული, ეს-

---

*) უაზიუმუხურს ენაზედ გადაითარგმნა არითმეტიკა. უაბარდულსა და ამ ენაზედვე დაიბეჭდა წერილი «წყალი, ჰაერი და მათი ცვლილებანი.» აგარულს ენაზე შეადგინა პირველ-დაწყებითი საკითხავი წიგნი აიდემირ ჩირკეიევსკიმ, თვით აგარელმა. აი რას ამბობს ბ. ოსტრიაკოვი (Вѣстникъ Европы за 1879 г.): «უაბარდულს ენაზედ არ არის მწერლობა, თუმცა კი ცდა იყო და უნდა სთქვას კაცმა ჩინებული ცდაც გამოვიდა. შედგენილ-იყო ანბანი, პირველ-საკითხავი წიგნი, გადათარგმნილ იქმნა რამდენიმე თავი ყორანიდამ, ნაწყვეტები რუსულის ისტორიიდამ, იგავ-არაკნი კრილოვისა და სხვ., და თითქმის ზოგიერთი მოხუცებულნიც კი გულ-მხურვალედ შეუდგნენ წერა-კითხვის სწავლას და ბოლოს სკოლებიც დახსნეს აულებში, მაგრამ რაღაცა პოლიტიკურ მოსაზრებათა ძალით აღკრძალულ იყო უაბარდული წერა-კითხვის სწავლა და წიგნებიც წართმეულ თავიანთ პატრონთაგან.

ლარის აზრით, მთიურების განსანათლებლად, როგორ უნდა იყოს გავრცელებული განათლება და რუსეთის ენის ცოდნა მთებში. საქმე ის კი არ არის, რომ რუსული სკოლები დაიმართოს მთის სალსთათვის, რომ რუსებთან ერთად, იმათი შვილებიც სწავლობდენ. «ეს იმას ეგვანება», ამბობს უსლარი «უწინ რომ კადეტის კორპუსები იყო დამართული, რომლებშიაც ბევრი მთის შვილი მიიღეს, მხოლოდ ცოტა მათგანნი სწავლობდენ რიგიანად, დანარჩენნი სარგებლობდენ მხოლოდ მათთვის მინიჭებულ უფლებებით, ეპოლეტებს იკეთებდენ და ვსებდენ კვალერიის პოლკებს რუსეთში. სულ რომ ერთად ვიანგარიშოთ, მათგან მოტანილი სარგებლობა ჯაგვასიისთვის უფრო ნაკლები იყო, ვიდრე მათზე დახარჯული იყული. მართალია, თვითონ მათ კი თითქმის ყველამ ისწავლეს რუსული ენა, მაკრამ რუსულის ენის გავრცელებისათვის მთებში, თაყიანთ თანა-მემამულეთა შორის, არა გაურიგებიათ რა... რაც უნდა კარგად ეოფილიყვნენ იგინი აღზრდილნი, არ შეიძლება არ შეგნიშნოთ, რომ სწავლის დროს მოწყვეტილნი იყვნენ სამშობლო ქვეყანას, თუ შეიძლება ასე თქვას, გადატაცებულნი რუსეთში. გადაიტანეთ ბავშვი—მთის შვილი—თუნდ ლისაბონში. ერთის წლის უკან ის ისწავლის პორტუგალურს ენას. მაგრამ ეს კიდევ ის არ არის, რაც ჩვენ გვსურს, რაზედაც ვზრუნავთ. ჩვენ ვზრუნავთ არა ორიოდე მთიურზედ, რომელნიც რუსეთში იქმნენ გადაყვანილნი, არამედ იმ უმრავლესობაზედ, რომელიც მთებში შეხიზნულა და მისცემია მსხვერპლად არაბულს ენას, იშსამება, იხიბლება ფანატიკურის ბურანით და ჭკარგავს უბრალოდ და კეტურად მსჯელობის ნიჭს.»

კიდევ ამოვწერთ უსლარის წერილიდამ ორიოდე ადგილს,

რომლიდამაც უფრო ცხადად დავინახავთ, როგორ ბედაგრეგებს ეკუთვნის უსლარი, როგორ სათუვანებელია ის ამ მხრივ, მაგრამ როგორ ძნელია სრულიად განთავისუფლდეს კაცი იმ სენისაგან, რომელსაც ცრუ-პატრიოტობა ჰქვიან, რომელიც აბრმავებს კაცს და ყოველისფერს აკიწყებინებს, ოღონდ თავის ქვეყნის ცრუ ინტერესებს ემსახუროს. ამ შემთხვევაში უსლარი, როგორც სამხედრო კაცი და საპატიო ადაგის მქონე, ვერ წაუვიდოდა საზოგადო კანონს ტ რაც უფრო მეტი ჭკვის პატრონი იყო, იმდენად უფრო ხერხიანად სძებნა — თუმცა შორეული, მაგრამ ნამდვილი გზა მთიურს ხალხთა გადაბირებისა.

«გთქვათ — განაგრძობს უსლარი, — ქონა ის, რაც ჩვენ შეუძლებელად მიგვაჩნია. გთქვათ არაბელ სკოლებთან ერთად სარჯი არ დაგზოგეთ და დაგაარსეთ რუსული სკოლები და მასწავლებლებად დაგნიშნეთ იქაურებიგე, რომელთაც იციან... რუსული ენა... მოსწავლეთათვის ალმოჩნდება იგივე სიძნელე, რაც ახალ სკოლებშია, თუ პირველ-დაწყებითი სწავლა იქნება გაუგებარს, უცხო ენაზედ, რომელსაც პრაქტიკით არ იცნობენ. ის აზრი, რომ ვითომ სულ ერთია, უკიცს კაცს მშობლიურს ენაზედ ასწავლი, თუ უცხოზე, ისეთი ახირებული აზრია, რომ ჩვენ საბუთებსაც არ მოვიყვანთ მის დასარღვევად.. წარმოვიდგინოთ რომ სადმე, შიგნით რუსეთში, მასწავლებელმა რუსმა, რომელიც უღმერთოდ ამტკრევს ფრანცუზულს ენას, გამართა სკოლა რუსის უმაწვილებისათვს და ასწავლის მათ ფრანცუზულს წერა-კითხვას და თუნდ სხვა საგნებსაც ფრანცუზულადვე. რა სარგებლობა უნდა მოიტანოს ამ სკოლამ? ზოგიერთნი ისწავლიან რის კაი-კაგლახით ცუდად წერას, ცუდად კითხვას, ცუდად ფრანცუზულის გაგებას და უფ-

რო უხეიროდ ლაპარაკს; მაგრამ უკეთა ეს ნაძალადევი ცოდნა, რომელსაც ფესვი არ ექნება მშობლიურს ნიადაგში, მალე გაჭ-ქრება და არავითარს კვალს არ დასტოვებს მათში, როგორც კი დაანებებენ სკოლას თავს და მიუბრუნდებიან ჩვეულებრივს სოფლის ცხოვრებას. ეს სწავლება იმ ნაყოფს მოიტანს, რომ მოწაფენი უფრო სულით მასინჯნი და ხორცით სუსტნი იქ-ნებიან იმ თავის ტოლებზე, რომელთაც ფეხიც არ შეუდგამთ სკოლაში. ნუ თუ რაცა ვთქვით, სრულიად შეუცვლელად არ ითქმის იმ რუსულს სკოლაზე, რომელსაც გამართავდა რუსუ-ლის მცოდნე მთიური დაღესტნის მთათ-საკანებში?»

ორიოდე მოსაზრების შემდეგ, უსლარი თავის დედა-აზრს არგვეს ასრე: «ყოველივე, რაც ჩვენ აქამომდე ვთქვით, ცხადად გვიჩვენებს, რა მნიშვნელობაცა აქვს ადგილობრივ ენებს აქაურ მკვიდრ მცხოვრებთა განათლებაში. არ შეიძლება ყუ-რადღება არ მივაქციოთ ამ ენებს, თუნდ მარტო იმი-ტომ, რომ იგინი იქმნებიან და იცოცხლებენ ჯერ კიდევ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. ათასის წლის არაბულის ენის მიერ ჩაგვრამ ვერ დასთრგუნა იგინი. რამდენი ენაც უნ-და გისწავლოთ, არც ერთი ისე ღრმად და კვალ-ამოუშლელად არ ჩაიბეჭდება ჩვენს სულიერს არსებაში, როგორც დედა-ენა,— ენა, რომლითაც გამოიხატვის ჯ რომელშიაც მიმოკრთის სრული ჩვენებური სულიერი არსება. ესევე ითქმის ყოველს ხალხზე ჯ ყოველს ენაზედ. ხომ არ შეიძლება მთის ხალხს უენოსავით ვუცქიროთ; ხომ არ შეიძლება დავტოვოთ უყურადღებოდ ის გარემოება, რომ ღმერთმა მიანიჭა მათ მათებური ენები, რო-მელთაც არავერი საერთო არა აქვთ არც არაბულთან და არც რუსულთან. ეს დედა-ენანი წარმოადგენენ იმ საიმედო ძარ-ღვებს, რომელთ ძალითაც შეეგვიძლიან ჩავაგონოთ ახა-

ლი და სულ სხვა გვარი აზრი და შემეცნება მთის ხალ-
ხთა. ჩაეჭიდოთ მათ ხელი და მოვიხსაროთ ისე, რო-
გორც რიგია... ეს ფრიად ძნელი საქმე, მაგრამ ლირსა
კი მთლად ჩვენის ყურადღებისა და ზრუნვისა.

კაცი ოდესმე ბრმა უნდა იყოს, ან ძალად ბრმავდებო-
დეს, რომ კერ მიხვდეს სათ უშვება თავს უსდარი თავის
მსჯელობას. უმართებულოა ნურეკელის შერეკნა, მაგრამ კიდევ
უარესად შეუფერებელია, როდესაც მას სჩადის დიდი მეცნიე-
რი. გარდა იმისა რომ ეს ცუდი ხელობაა, სასაცილოც არის,
როდესაც მეცნიერი და მერე თუნდ ლინგვისტი პოლიტიკო-
სობს. მეცნიერი მარტო მაშინ არ შეირცხვენდა თავს პო-
ლიტიკანობით, პოლიტიკაში გარეკით თუ ეს უკანასკნელი
ოთოლიიო დამყარებული უცვალებად კანონებზედ, უზენაეს
ბეშმარიტებაზედ, მსე როგორც ბუნების მეტყველებ, ან მა-
თემატიკა არის, მაგრამ უკეთესს კარგად მოეხსენება, პოლი-
ტიკა უცვალებადზე კი არა, ძალიან და ძალიან ცვალებადის კა-
ნონების მეცნიერებაა და მასთან ბევრად დამყარებული კაცის
გრძნობასა და ინქერებზედ, როგორც არის, მაგალ. სიყვარუ-
ლი, სიძულვილი და სხვ. და სხვ.

ამ აზრის დასამტკიცებლად ამოვწერთ კიდევ ერთს ნი-
მუშს და მით გაკვთავებთ ციტატების ამოკრეფას უსლარის
ბიოგრაფიიდამ.

«მარტო სკოლაში სწავლა არა კმარა», ამბობს იგი,
«რომ კეთილი და სასარგებლო მოქალაქენი დაიზარდნენ, მაგ-
რამ ამაზედ უკეთესი მოსამზადებელი გზაც არ ვიცით, რო-
მელზედაც ჩვენ ვუჩვენებთ. ოდესმე ბანათლებულს ქვეყნებში,
უმრავლესობა სალხისა უმეცარია, ანუ მტერად

ბანათლე-
ბული, — რაც სულ ერთია — მაინცა და ამანც ის მომეტებული

ნაწილი ხალხისა ნელ-ნელა მიიწევს წინ განათლების გზაზე ამ-
ჟამად მისდგეს ეროვნულ დაწინაურებულს ემტირეს ნაწილს, მო-
წინავე განათლებულ კაცებს, გაგრძელებით რომ ვიხმაროთ
ეს ეკანასკნელი გამოხატულება. ეს მოწინავე ემტირესობა არ
ეხება სწეგეტაგდეს კაეშირს ხალხთან, ემრავლესობასთან, თო-
რემ იგი დაემსგავსება ტანდერს, რომელიც მოწეგეტიდია გა-
ტონებისაგან.» შემდეგ ამბობს რომ ეკერ ამ ნაირი მოწინავენიც
არ არიან კავკასიაში და მათი ადგილი საჭიროა, რაიცა შე-
იძლება მოხერხდეს სკოლების დამართვით, რომელთ მნიშ-
ვნელობა ეკერ ჩვენგე უნდა კარგად შეგიგნოთო. ესლარი
იმასაც არა კმარობს, რომ მოწინავენი იყვნენ მის სურვილი-
სამებრ გაწვრთნილნი, გადაგკარებულნი და მოხიბლულნი. იმას
ჭსურს, რომ მათ, როგორც ლოკომოტივმა, ისე მოიბან ხალ-
ხი ეკან კაგონებიგით და გაიქროლონ გადაშენების და გადა-
გკარების გზაზე. ის ხალხი, რომელიც მუდამ ამ ნაირ შემ-
თხვევაშია, საბედნიერად არამც თუ თავის-თავისა, არამედ თვით
კეტობრიობისა, ჭსდება კონსერვატორი, ძველის მიმდევარი,
მტკიცედ ეჭიდება თავის განსხვავებულს ზნე-ჩვეულებას და ამ
ნაირ მედგარ წინააღმდეგობით არ ჭკარგავს არც თავის განკ-
ეკრძოებულს ზნეობრივს სახიერებას, არც ზნეს, არც ჩვეულე-
ბას, არც ენას და არც სარწმუნოებას. დიალ, ხალხი მიხვდება
ხოლმე, როდის არის მისი სულიერ შეჭირვებაში, როდის ემუქ-
რიან გადაშენებით და გადაბირებით და მაშინ იმ საზოგადო-
ბუნებრივის კანონის ძალით, რომელსაც ინსტინკტი თვით-
დაცვისა ჭქვიან, იცავს მედგრად თავის-თავს: არ იღებს ხელს
არც თავისებურად წვერის დაუენებისაგან, არც ჩაცმა-დახურვი-
საგან, არც მეურალის დუმისაგან (ძალოორესია), არც რუსულის
ბირეგის ზიზღისაგან (ბოლშა), არც ლეკისაგან ლ, ასე გ-

სინჯეთ, ერთ ზეურნისაგან! ამ შეკიწროებულს დროს მისი სულ-
ი შთაედგმის ხოლმე თითო-ოროლა მის წარმომადგენელს,
მის ეროვნების უფსკრულის სიდრმიდამ ამოიზიდებიან ხოლ-
მე დეკნი და «გმირნი მაძულის მადიდნი.» მაგ., გარიბალდი,
მაძინი, გავუცი (იტალიაში), ფიხტე (გერმანიაში ნაპოლეონის
დროს), გამბეტა (სათურანგეთში ბრუსიელებთან ომის დროს)
დ. სხვ... ჯ ა ი ეს მდეკნი უნახავენ შთამომავლობას თავიანთ
ერის სიცოცხლეს, იმის სულის სიცხოველეს, განსხვავებულს
მის ნაკვთებს კატობრიობის გონებრივ სალარის შესაძლებ-
ლად ჯ გასამდიდრებლად. კატობრიობის სიკეთისათვის საერთო
ტრაბეზზედ უნავად იყოფის უსისხლო მსხვერპლი გერმანიის
ფილოსოფიურ სულისა და გენიის შემოქმედობისა, ინგლეთისა
საფრანგეთისა, ინგლისისა და სხვა და სხვ.

«ისტორიულ საგნად კავკასიის დაპურობისა», განაგრძობს
უსლარი, რომლის ნათელს გონებასაც ვერ ეარ-ეფეა კატ-
მოეფარული აზრები, მაგრამ რომლის გულს კი ჭსურს მითი
გარდაქმნა სასარგებლად ერა-ჭეშმარიტ და კატ-მოეფარულ საქმეე-
ლისათვის — «ჩვენ გვქონდა მისი განათლება. ამ ნაირი დანიშ-
ნულება რუსეთს მის გეოგრაფიულ მდგომარეობის გამო მიენ-
დო განგებამ თითქმის მთელის აზიის ტანის მიმართ. სა-
ჭიროა რომ ეს შეიგნოს კავკასიის მოწინააღმ ნაკლნმა: მაშინ
ეგუნურება წინააღმდეგობისა ცხადად დაეტეტებათ მთელ თვალ-
წინ. ჩვენ თითონ დასავლეთისაგან მივიღეთ განათლება და
დღემდის მისი მოკალე ვართ. ამასთანავე ჩვენი დამოკიდებულე-
ბა დასავლეთის მიმართ სულ სხვა, ვიდრე აზიურ ხალხებისა
ჩვენდამი... განათლების გზაზე ვიანი, მზგავსად წვრილ თანა-
მსრბოლ ვარსკლავთა უდიდესის პლანეტისა, უნდა სამუდამოდ
დარჩენ დამონაგებულ თანამსრბოლად რუსეთისა, ამ ნაირი

კანონიერი და საკეთილო დამოკიდებულება უნდა მოვაწყოთ ისე, რომ არც ერთი ერთვნობა არ დაიჩაგროს, — რაც უნდა მცირედ გვეჩვენებოდეს ეგი, — ვირ-იქით უნდა ვაღვიძებდეთ ერთგულს მათგანს საუკუნო ღრმა ძალისაგან, ღრმა გაბრუებისაგან (апатія). ამ წყალობას ოგრძნობენ ის მოწინავე კაცები მათ შორის, რომელნიც გამოირჩევიან განათლებით ჩვენს თანამედროვ თაობაში; ეს სიკეთე ისეთი იქნება, რომ უმადურობა და უმადლობა მათის მხრივ შეუძლებელი შეიქმნება. უკეთუ ერთგულ კაცს ბუნებამ მიჭმადლა ღრმა ერთვნებითი გრძნობა, შეიძლება-და ეჭვი ვიქონიოთ, რომ დიდი დანაშაულობა რომელიმე ერთვნობის ცაქრობის სურვილი? გაქრობა მისი გაადარებს სუსტმწიფეს ცხოვრებას ან უფერულს გასდიან მას. სიძალუმე, სიტურფე ფოლიტიკურის ცხოვრებისა არის მის სასუკეთის სხვა-და-სხვაობა, ფერადობა, ოღონდ ერთნაირს მიდრეკილებით აღბეჭდილი იყოს, ერთს გვარს ქარგაზედ მოქარგული. დასასრულ, რა ბირობაა ბირველი ბირობა ერთვნობის ცალკე არსებობისა? რასაკვირველია — ენა. განა ვის და რა შეუძლიან იბოგოს სადანაშაულო რომელსაც გინდა ენაში მთელ დედამიწის ზურგზე? ისიც მართალია, რომ ესოდენ მარტივი საგანი საუკუნო შეცდომილებისა გამო, იქმნა მოშხამულ неисправимо отравленъ (envenimé) და დაბნელებულ ევროპაში. შეიძლება ჩვენზედ ეკიდოს — აქ, კავკასიაში, ვაზვენოთ მთელს ქვეყანას, რა შესანიშნავ, საკეთილო ჭირნახულს მოიმკი არა თუ ერთ-ერთვნობის ხელ-უხლებლობით, არამედ იმათ გამოესაზღვებით ან გამოლვიძებით, რომელნიც ლეს აქამომდე გაბრუებულს მდგომარეობაში იმყოფებიან. ესე გვრ დედ-ახლა ეაჭირება მიღებულ იქმნეს ქვა კუთხედათ

კავკასიის განათლებისა*). ზრდა განსხვავებულ თვისებათა, მათი წაქეზება და ვარჯიში უპირველესი ლონისძიებაა წინააღმდეგ ერთობისა, რომელიც ჩვენთვის სამტროა და არა სამოყვრო; რომელიც თუ განმტკიცდება, ჩვენს წინააღმდეგ და ჩვენთან სამტროდ განმტკიცდება.

რომ იტუვიან ცოდო - მადლიანია, სწორედ ულლარია. იმ მშვენიერ აზრებთან ერთად, რომელნიც დამწვარ პატრიოტის გულს თითქო უალერსებენ და უუვავებენო, ისეთნაირს აზრებს შეხვდებით, რომელნიც დამწვარს კი არა, ნედლსაც ფერფლად აქცევენ. ჩვენ განგებ აღვნიშნეთ კურსივით ციტატის ბოლოში ამ ნაირი აზრები. რაც შეეხება კარგს ადგილებს, მკითხველი მიუთითებლადაც მიხვდებოდა. მაგრამ საინტერესო მხოლოდ ის უხილავი ძალაა, ის მალულად გაბმული ძაფია, რომელსაც ერთმანერთთან გადაუბამს ბუნებრივად გადაუბმელი, წუალი ტეტხლთან, ყინული სითბოსთან, შავარი სიმწარესთან. ეს მანქანება, ეს მალულად გაბმული ძაფის საქანელა—გახლავს ცრუ-პატრიოტობა, პოლიტიკანობა, ის ბნელი, მაგრამ ბუნებასთან ერთად თანშობილი, ადამიანის თვისება, რომელიც გარჩევინებს შენის შეწუხების მაგივრად სხვის სიკვდილს, არ გათქმევინებს დედაზე, რომ ის ასეთი და ისეთია. იდეალური, მარტო გონებაში გამოხატული სამართალი ქვეყანაზედ არც კია თითქმის, როგორადაც არ არის იდეალური ყოველად კეთილი და სამართლიანი პოლიტიკოსობა, პატრიოტობა. მაშ ულლარს უნდა შეენდოს ის ცოდო, რომელიც თანშობილია ყოველს კაცთან ერთად, რომელიც თითქმის ბუნების კანონად გადაქცეულა. იქნება მას რომ

*) მსხვილის ასოებით არის დაბეჭდილი ნამდვილში. ავტ.

ეს კანონი დაერღვია, უფრო გაგვეკვირვებოდა და ბევრს გიჟიც დაეძახნათ იმისთვის. ახლა კი არავერი არ გვიკვირს და დიდ მეცნიერადაც მიგვახნია, თუმცა კი სრულიად უარ-ვყოფთ, რომ მის თავში არ ყოფილიყო ის აზრები, რომელთადმი ზიზღის აღსაძვრელად წითელი ძაფი გავავლეთ ამ ჩვენს წერილში თავიდამ დაწყობილი ბოლომდის.

ახლა კი დავანებებთ თავს უსლარს,—პოლიტიკოსს და დავაკვირდებით უსლარს მეცნიერს და, მართლად, სასიქადულოდ რუსეთისა და ლინგვისტიკის მეცნიერებისა, დიალ ღრმა და პატივსაცემს სწავლულს.

ვ. კ. უსლარი დაიბადა ტვერის გუბერნიაში, ს. კურეკოში, 20 აგვისტოს 1816 წელს. მიიცვალა თავის სოფელშივე 59 წლისა, 8 ივნისს 1875 წელს. უსლარის გვარი აწ აღარ არის რუსეთში. იგი ამოწყდა სამუდამოდ. დარჩა მხოლოდ ეს გვარი პირველ სამშობლოში, ჭანნოვერში, დაბა გოსლარის ახლო, სადაც იმყოფება მაგრისი ბარონ უსლარებისა და სადაც ცხოვრობენ ვ. უსლარის თანამეგვარენი.

ო�ოლი.

I

ი�ობოლი, ობლობაში აღმოიზარდა;
იმ ობლისათვის ამ ქვეყანას არვინ ზრუნავდა,
მაგრამ ზრუნავდა იმ ობლისთვის ღმერთი მაღალი,
მას მაზედ ჭმონდა მიქცეული მოწყალე თვალი.
დალოცა, ბრძანა: აღვსილ იყავ ჩემის მადლითა,
სული უმანკო გეგზნებოდეს საღმრთო ალითა,
გქონდეს ნათელი, წმინდა გული, ბრძენი გონება,
ძმობის, ერთობის, სიყვარულის მაღალი გრძნობა;
ავზრი მდიდარი, ენა ტკბილი, სიტყვა დამწყალი;
დიდების სხივით შეიმოსოს შენი სახელი,
და მან სიტყვამ და სახელმა ანათოს ალამვრად,
შენის სამშობლოს შვილთა გულნი აცხოველონ მარად.

II

აჭა ობოლი, არვისა აქვს მასთან ერთობა;
მოძმეებში მარტო, ცასთან, მიებთან, ზღვასთან აქვს ძმობა;
იგი მათთან არს, მათთან სცხოვრებს და მათთან უბნობს,
თავის ობლობას, მარტოობას ის მათ უამბობს.

შესტქერის ცასა, ელვარესა, მზით ანთებულსა,
ზღვაზედ და ხმელზედ დიდებულად გადმოკიდულსა.
ცას გაბრწყინებულს მთოვარეთა და ვარსკვლავებით,
ცას დაბნელებულს და მგრგვინავსა ელვით და ჭექით;
მთათა და მათ წვერთ, ცამდის ასულთ, უზარმაზართა,
თოვლის, ყინულის, საუკუნო ტახტთა სუეტაკთა;
მათ ხეობათა, გაფურჩქვნილის ტუეებით მორთულთ,
დაბლა თვის ფეხ-ქვეშ ბნელთ, წყვდიადთა, უძირო უფსკრულთ.

III

აჭა ობოლი გარდავიდა მთასა და ტუესა,
მიდის და მისდევს ზღვის კიდესკენ დიდს მდინარესა;
ნახა შავი-ზღვა, ლურჯი, წმინდა, მიძინებული,
ვით ურმა დედის გულს, თვის კიდეზედ მისვენებული.
ურმას ძილს სიზმარნი, უცხო, ტკბილნი გულს უხარებენ,
ზღვას მიძინებულს სხივნი მზისა უალერსებენ;
მზე მას დასტქერის და მაზედა სხივს ათამაშებს;
ვრცელი, უსაზღვრო მკერდი ზღვისა ბრჭყვინავს, კაშკაშებს.
მიდის მზე თვის გზას და დიდებით ზღვას ჩაესვენა,
მუდრო საღამო, გულთ საამო მას მოეფინა;
მთვარე, ვარსკვლავნი, ღამის მნათნი ცაში გაბრწყინდენ
და თვის დიდს სარკეს, ზღვის უსაზღვროს, გულს ჩაატქერ-
დენ.

და მას სარკეში შთაისატა ზეცა მეორე,
როგორც მალლა ცა, ვარსკვლავებით, მთვარით ელვარე.

IV

მაგრამ მოესმა ობოლს შორით გრგვინვა საზარო;
იმუსრებოდა, ინგრეოდა თითქოს სამყარო.
შეიძრა მძიმედ ზღვა თვის ძილში, დაიღრიალა,
განრისხებულმა ზვირთებით და ტალღით იელა.
და შეიმოსა იმ ზვირთებით და იმ ტალღებთა,
როგორც მსედარი მეომარი აბჯარ-აბგრითა.
აღსდგა კეშაში, მთლად გაშავდა და დაიკლაკნა,
ასმინა მთა-ბართ საშინელი თვის დიდი ენა;
სწვევს, ჭეუსს და გრგვინავს და საზარად ჭეკნესის და ჭსუდ-
თქამს,
ზირ-ქვე სცემს ნავებს, ჭლეკს ხომალდებს და უთესავრულში
ჭნთქამს.
თავის აბჯარით, მთა-ზვირთებით, სცემს თავის კიდეს,
თვის საუკუნოს, მაგარ დარაკს, თვის საპყრობილეს.
უკუ-იქცევა, ჭეშვენს კვნესითა და ძალსა იკრებს
და ახლის ძალით და ღრიალით კვლავ დასცემს ზვირთებს;
ჭსურს რომ გააპოს და გაგლეჯოს თვის საპყრობილე,
იმის დაცვისა ტუვეობაში ღმერთთან მოვალე.
მაგრამ უშიშრად უდგას ზღვასა კოლხიდა ძველი,
მშვენიერთ ასულთ, ძველად განთქმულთ მიწა-შუობელი,
მტკიცე კვარცხლ-ბეკი, საიუმველი ილბუზისა,
ძველი ქვეყანა ოქროს კრავის და ბიბლიისა.
ობოლი ჭკვირობს, რა არს ჭეიქრობს მაღლით ღვთის ნება,
სად შეგისწავლო მის უსამზღვრო დიდი ქმნილება?

V

ქვეყანავ ღმერთთა, მიწავ გმირთა, ელდინთ მამულო,
მტარვალთ ხელითა დანგრეულო და წამებულო,
დიდო აკვანო, დიდო კერავ განათლებისა,
დიდო სამშობლოვ ჰომერის და ოემისტოკლისა,
შენ შეიშვილე და შენ იძმე იგი ობოლი
და შენთ ძეთ სწავლით და მათ სიბრძნით აწ შემკობილი.
შეგვე ჭაბუკი ზღვას მოაპობს და ნავით უმზერს
შორს ცას სამშობლოს და სვეტაკსა იალბუზის წვერს:
უმზერს და თვალთა მათ შვენებას ვერარ აშორებს;
სამშობლო მიწას უამბორეს, გული აშურებს.
გადმოხტა, მიწას უამბორა და თაყვანი სცა
და მას ეზმანა, რომ მან მიწამ მის გულს ხმა მისცა.

VI

წავიდა, მიდის, აჭყვა მასვე დიდსა მდინარეს,
უმზერს მთა-ბართა, თვის საყვარელს სამშობლო მხარეს.
ნახა: აქ ველნი, ფრიალონი გზათ იჭრებიან,
ძველნი ტაძარნი, დანგრეულნი ველად სდგებიან,
იქ გზას უჭრიან ღრე-ველებში მთებით ბარს რუთა,
აქა აგებენ მაღალ ეოშკებს, მაგარ-სადგურთა,
იქა ტაძართა, დიდთ პალატთ და მაგარ ციხეებს,
აქ მდინარეებში სდგმენ დიდთ ველთ, ზედ სდებენ ხიდებს;—
ესმის ყოველის მხრით მაღალი ხმა წერაქვ-ბარისა,

ჭექა ნალმისა და საამო ხმა სიმღერისა;
ნახა, სამშობლო ცხოვრებისთვის ახლად სდგებოდა,
ახლის ცხოვრებით და დიდებით იმოსებოდა.
დიდების სხივით შემოსილი ნახა თამარი,
იმისი სახე მშვენიერი და მოლიმარი.
მისი სიტურფეე, მის სინაზე, მისთ თვალთ ნათელი,
იკერის მთა-ბართ და ერისა მანათობელი.
მაშინ აღმოხდნენ იგი ლექსნი მის მაღლის სულით,
ლექსნი დამწვალნი, ლექსნი ტკბილნი, საკსენი სიბრძნით,
მოკამკამენი წყაროს წყალნი, ცით ნაპერწკალნი,
ალმას-ზურმუხტნი, მარგალიტნი, უფასო თვალნი.

VII

მეფეე-შვენება ზის თვის ტასტზედ თვიქრით მოტეული,
თალილსა თითებში მას უპურია დიდი რკეული;
ბრილის მკერდს-ქვეშა წრფელი გული ძლიერად უძგერს;
დიდებულთ კრება ტრაკიალებით თვის მეფას უმზერს,
ჭკვირობს მის სიბრძნეს, მის სიტურფეს და მის შვენებას,
ელის მის ნაზს სმას, მის ნაზს ღიმილს და მშვიდს ბძანებას.
ბძანა: მსურს ვნახო, ვინც წარმოსთქვა ესე ლექსები,
ტურფად წყობილნი, მარგალიტნი, საგოგმანები.
მოჰგვარეს იგი: არს ჭაბუკი და მშვენიერი,
ნათელს თვალებში მას უბრწყინავს მადლი ციური:
გონების სიბრძნე, სულს სიმშვიდე და გულს წრფელობა,
ძმობის, ერთობის, სიყვარულის მაღალი გრძნობა.
მეფემ-შვენებამ გადაავლო თვალი ნათელი,

არ გამოჭკვითსა მას არც გვარი, არცა სახელი,
უბრძანა მსოფლოდ: ეს ლექსი გულს ვით ჩაგინერგდეს,
გულთა დამწველნი, ვით ამოსდნენ, ვით დაიწერენ?..
—დიდო მეფეო! მაგ რგეულში რაც დაიწერა,
შენმა ნათელმა მშვენიერმა სახემ შთამბერა.
ნათელი მე

საპოლიტიკო მიმოხილვა

ეგრედ წოდებული პოლიტიკებისაგან «აღმოსავლეთის საქმე» ერთი უშველებელი კერაა, რომელზედაც ევროპელთაგის ომის ცეცხლი ანთია და ამ ცეცხლს კიდევ თვითეულის სახელმწიფოს საკუთარი მუგუზალი უკეთია. არ არის ევროპაში დიპლომატი, რომ ამ თავლით არ უყურებდეს აღმოსავლეთის საქმესა და კერაზედ ცეცხლს ამ ანგარიშით არ ინახავდეს. ვერა ეშველა-რა ევროპას, ვერ მოუღო ბოლო მაგ საქმეს და ამიტომ ვერ წაშალა დედა-მიწის ზურგზედ მიზეზი, რომლის წყალობითაც მარჯვე დიპლომატი ევროპის საქმეს დამხალსაგით აურევს ხოლმე, როცა კი საკუთარი ინტერესი მისის სახელმწიფოსი ამას მოითხოვს.

თუმცა ეგ საქმე ერთობ ძალიან რთულია, ძალიან გადაკვანძულია და თვითეულის სახელმწიფოს თოკის წვერი იმ კვანძშია მოქცეული, მაგრამ მაინც ისეთი არ არის, რომ იმ კვანძის სამართლიანად გასსნა ევროპისათვის შეუძლებელი იყოს. თუ ბრკოლდება ეგ საქმე, თვითონ საქმის ბრალი იმოდენად არ არის, რამოდენადაც იმისი, რომ ზოგისათვის ესეთი ყოფა აღმოსავლეთის საქმისა მეტად სახეირო და სხვათვრივად გამოსაყენი მებადური ბადეს არ ესვრის ხოლმე, თუ წყალი მღვრიე არ არის. აღმოსავლეთის საქმე იმისთანა რამ არის, რომ, რაცა გინდათ, ევროპის საპოლიტიკო მდინარეობას მისის მეოხებით აამღვრევთ. საკმაოა ოდნავ ხელი შეასოს კაცმა ერთ-

ერთს მუგუზალს, რომელიც მაგ საქმეს უკეთია' და ათასი ხარბი თვალი, ათასი გაუმაძღარი გული აიღურსება, ულაზზედ დადგება და ისე აირეკ-დაირეკიან, რომ ძაღლი ბატრონს ვეღარ იცნობს.

უველა სახელმწიფოს თავისი საკუთარი შინაური ტკივილი აქვს. როცა რომელსამე, გასამკლავებლად მომზადებულს, სახელმწიფოს ის ტკივილი გაუმწვავდება, მაშინვე ალმოსავლეთის საქმეს თვალს გადაავლებს ხოლმე: მოდით, ამბობს, ერთი ეს საქმე აკეთეთ, ამით სხვები ერთმანერთს მივუსიგოთ; ის სხვები იქ ერთმანერთში გაებმიან, ჩემთვის ალარ მოიცლიან და ამ გზით იქნება ბურთი და მოედანი ჩემის წადილისა მე გავისაკუთროთ და ჩემს ტკივილს წამალი რამ დავდოთ.

გაძლიერებულს ბრუსიას ჯერ ვერ შეუგრეგია თავის სკიპტრას ქვეშ ეველა ნემეცები, რომელთაგანიც ზოგნი ავსტრიასა ჭეავს, ზოგნი რუსეთსა; იტალიას — იტალიელები, რომელთაგანიც ზოგნი ავსტრიასა ჭეავს, ზოგნი — თუმცა კი ძალიან ბევრი არა — საფრანგეთსა. საფრანგეთს გული ასვდება ელზას-ლოტარინგიაზედ, რომელიც ბრუსიამ ძალად ჩამოართვა, — და ცოტა ოდენადაც თვალი უჭირავს ბელგიაზედ. ავსტრია ცდილობს ნემეცები ხელიდამ არ გამოაცალოს ბრუსიამ და თუ გამოაცალოს, საძაგიერად სლავიანებში მაინც თვისი მოაკიდებინოს. რუსეთს ჯერ კიდევ ვერ დაუბინავებია სლავიანები ისე რიგიერ მისი საპოლიტიკო საჭიროება მოითხოვს და ალმატერად თვალს ადევნებს ავსტრიასა, რომელიც რიგიერაც ფეს-აგრეთვით და ქურდულად სლავიანებისაკენ მიიბარება. ინგლისი კიდევ იმის ცდაშია, რომ თავისი, თითქმის მაცხოვრებელი, ინდოეთი შიშ გარედ ამოიღოს, ერთის მხრით

რუსეთი ინდოეთის სამზღვრებზედ ახლო არ მიუშვას და მეორეს მხრით ევროპამ ინდოეთისაკენ გზა არ გაიხსნას ეგვიპტით.

სხვა სახელმწიფოები საოვალავში მოსატანნი არ არიან, რადგანაც ევროპის საპოლიტიკო საქმეებს ეს უმთავრესნი სახელმწიფონი ატრიალებენ. გარედ თვითეულნი სახელმწიფონი ესე არიან ერთმანერთზედ გადაბმულნი და გადახვეულნი.

როცა ერთ-ერთს სახელმწიფოს მისი საკუთარი ტკივილი, დროთა-ვითარებით, ძალიან მოაწვება გულზედ, მეტი რა გზაა, ხელი უნდა გაიქნიოს. ტკივილი, როგორც უმეტ მოგახსენეთ, თვითეულს მათგანს იმისთანა თვისებისა აქვს, რომ საკურნალოდ კაცი ისე ვერ მიუდგება, თუ სხვასაც არა ატკინა-რა და აბა ამ ყოფაში ერთი მეორეს ხელს რად გაუქნევინებს, თუ კი მოტლილი იქნება. მაშინ, რა თქმა უნდა, სხვებს იმისთანა საქმე უნდა აუჩინოთ რომ თავიდამ ფეხამდის შიგ გაებას და თქვენთვის აღარ მოიცალოს. იმისთანა საქმე—აღმოსავლეთის საქმეა. არ არის ევროპაში თვალ-საჩინო სახელმწიფო, რომ აღმოსავლეთის საქმეში თავის საკუთარი წილი არ ეგულებოდეს. ერთმა ვინმემ კი გაიწოდოს ხელი და როგორც ბუზები თაფლს, ისე მიესევიან სხვანიც ყველანი.

ამ აღმოსავლეთის საქმეს კაცი რომ დააკვირდეს დღეს და ევროპის დღევანდელს პოლიტიკას კვალში ჩაუდგეს, არ შეიძლება ტირილის სუნი არ მიედინოს. ერთი ვინმე კი უნდა ატირდეს და გაიჭყლიტოს შუაში!... ვინ იქნება ის უბედური,—ეს უნდა ეკითხოს ბატონს ბისმარკს, რომელსაც «რკინის კაცს» ეძახიან.

ესლანდელის პოლიტიკის მაკეთებელი ხელთ უპურია ამ

რეინის კაცსა. ბისმარკი სწორედ რიცხავს ტუდდუტობს, რა-ლაცას ამზადებს და რიღასთვისაც ემზადება. ავსტრიას უეცრ-ლრმად შეატოვინა სლავიანების საქმეში. ბისმარკის წაქეზებით და მიდგომით ავსტრიამ თითქმის ხელთ იყო სერბია და ეურ-მოგრილ ემსავით თან აიყოლია. რაკი ბოსნია ჰერცეგოვინა დაიჭირა ავსტრიამ ისევ ბისმარკის წყალობითა, ჩერნო-გორიასაც ხელ-ყვა მეორე ასე, რომ უაგსტრიოდ ხმასაც ვერ ამოიღებს. ეს ერთი ძალიერი თარეში ბისმარკისა, ადმო-სავლეთის საქმის მოედანზედ გაშვებული. მეორეს მხრით ბისმარკმა ოსმალოსაც მეტად ტეხილი ლაპარაკი გაუმართა, ლ ბოგორც ჭორად ამბობენ გაზეთები, — ჩუმად დაჭვირდა, კი-დეც თურმე, რომ რუსეთისაგან ასლად წართმეულს ქვეყნებს ისევ უკან დაგიბრუნებო. ოღონდ ხემს ნებაზედ თარეო. რაც დიდი და გამოსაჩენი ადგილებია ოსმალოს მთავრობაში სულ იმისთანა კაცებმა დაიჭირეს, ვინც ბისმარკის პოლიტიკის მოამხრეები არიან. თვითონ სულთანი ეოველ ამით ისეთს ქე-ითზედ მოვიდა, რომ გერმანიის იმპერატორს მიართვა ნიშა-ნი—იმტიაზი, თავისის საგუთარის შინა-კაცის ხელით. რომ-ელიც დიდი მეგობარია ხემეცების დიპლომატებისა. რადგანაც ბოსნიისა ლ ჰერცეგოვინის გამო ოსმალო ავსტრიას ძალიან ეშლეურდა და რადგანაც ამითი ერთად ეოფნა ბისმარკის გან-ზრახვისათვის მეტად საჭირო, ბისმარკმა ისე მოახერხა, რომ ესლა ოსმალეთი მარტო იმის ცდაშია, როგორმე ავსტრიას კასიამოვნოგო.

ბისმარკი, რასაკვირველია, ამაზედ არ გაჩერდა. ზურგთ-უკან საიმანგეთი ჭუკვს, რომელიც მარტო დროსა და ყამს უეურებს, რომ ბურთი და მოედანი ხელში ჩაიგდოს და ელ-ზას-ლოტარინგიის გამო პრუსიას აწიოწო ეძახებინოს. ჩვენა

გვგონია, რომ თუ გაუჭირდა ბისმარკს, იქნება კლაზას-ლოტარინგიაც კი დაუთმოს საფრანგეთსა, ოღონდ შენ სუფნუ დავიგიწყებთ, რომ ერთგან საღლაც გამბეტას წამოჭსცდა, რომ კლაზას-ლოტარინგია შეიძლება უსისხლოთაც დაგიბრუნდესო. არვინ იცის, რა გამოვა რისაგან... მაგრამ ვერ მიხვმ საქმე ვქაბდის მიგა, საფრანგეთსაც საქმე აუჩინა ბისმარკმა: შეატოპინა ტუნისის საქმეში და იქ გაბა. ერთის სროლით ორი კურდღელი მოჭლა — ერთი რომ თვითონ საფრანგეთს ალ სხვას საქმეს გადაჭიდა, მეორე რომ იტალია, რომელიც ყოველთვის თანამგრძნობი და გულ-შემატკივარი ყოფილა საფრანგეთისა, საფრანგეთს ტუნისის გამო მოამდურა. თვითონ ინგლისსაც, რომელიც ყოველთვის ალმაცერად უყურებს ბისმარკის პოლიტიკასა, ყურები აცქვეტინა საფრანგეთზედ ეგვიპტის გამო. რომ ყოველს შემთხვევას წინ გადეღობოდა და არამცა ლ არამც საფრანგეთი და ინგლისი ერთმანერთს არ შეახვედროს მეგობრათ, ბისმარკმა, გაზეთების სიტყვით, თავისი შვილი გაგზავნა ლონდონში და დაბარა, ოღონდ თქვენ თქვენთვის იყავითო და მე საქმეს ისე მოგიხერხებთ, რომ ეგვიპტეში მარტო თქვენ დაგრჩეთ პოლიტიკის მოედანიო. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა გრანვილმა, შეუთვალა, უკაცრავად, ვერ მოგართვითო. ეს პასუხი მით უფრო გულ-სატკენი იყო ბისმარკისათვის, რომ საფრანგეთმა და ინგლისმა ერთმანერთთან მოიფიქრა ეგვიპტის თაობაზედ და ერთმანერთთან მეგობრულად მორიგდენ.

ბისმარკი მაინც არ დაწყნარდა. თუ ინგლისი და საფრანგეთი ერთმანერთს ვერ გადაჭიდა, მესამე მშველელი მაინც ჩამოვაცალოო, იფიქრა. საგულისხმო მშველელი საფრანგეთისა, ინგლისის გარდა, იტალიაა. იქნება ტუნისის საქმე იმო-

დენად არ იწუინოს იტალიამ საფრანგეთისაგანო, რომ გაჭირვების დროს გადუდგესო და მოდი, იტალიას შინვე იმისთანა საქმე აუჩინოვო, რომ არამც თუ სხვის საშველად მოიცალოს, თავის საქმესაც ძლივს გაუძღვესო. იტალიის მძიმე და მეტად ძნელი შინაური საქმე ბაბის დაუძინებელი მტრობაა და აი ბისმარკმა ბაბს დაუწყო ლაქუცი და წაქეზება. ბაბის უფლება იტალიაში ჯერ კიდევ იმისთანა ძალაა, რომ ორის თვალითვე უურება უნდა და ულოველის ლანით გათუთხილება. ამ ორიოდე წლის წინად ბისმარკი თავისებურად გაემკლავა ბაბს და მის საძღვდელოებას გერმანიაში და ფრთები ძლიერ შეაკვეცა, თუმცა კი დიდი ვაი-ვაგლახი გამოიარა. დღეს ბისმარკმა უეცრად შეჭსცვალა თავისი პოლიტიკა, ბაბს და მის საძღვდელოებას თითქმის ისევ უკან დაუბრუნა, რაც ამას წინად დიდის ამბით და ულოფით ჩამოართვა და ამით ბაბი ისევ მხარში ამოიყენა. ეს ამბავი საფრანგეთის კათოლიკე საძღვდელოებასაც ფესზედ წამოაყენებს და საფრანგეთის რესპუბლიკას შინვე საქმეს აუქოთებს, რადგანაც იქაური საძღვდელოება არა ჭსწყალობს რესპუბლიკასა და იმის ცდაშია, რომ ორმო გაუთხარონ როგორმე. ამასთან ძალაც შესწევთ ქადილსა. საძღვდელოება და მისი მომხრენი საფრანგეთში მაინც კიდევ ძლიერნი არიან, თუმცა რესპუბლიკამ კრიჭა ძალიან შეუკრა.

ესეთი ჭსელია დღეს გაბმული ევროპაში ბისმარკის ოსტატობითა. საც არის ის წვრილი, რომელიც უნდა გაწყდეს, ადვილად მისახვედრია, თუმცა ბუნდად ნათქვამი კია ამ წერილში. ტყვია-წამლის სუნი ჭაერში ტრიალებს. ვინ იცის? იქნება ბევრი ხანიც არ გავიდეს და ჯეზუირმა დაიჭექოს კიდეც. ამ ამბების მაყურებელისათვის განსაკვირველი არა არის-რა.

თეატრი.

I

«არსენა», დრამა სამს მოქმედებად ს. მოჩხუბარიძისა.

არის იმისთანა სათეატრო პიესები, რომელთაც მაყურებლის გული ყოველთვის მოგებული ჰყავთ. თვარდა აიხდება თუ არა, ერთი ამაღელვებელი, ან გამამხიარულებელი სცენა მეორეს მოსდევს. ავტორი ეფექტის მოსახდენად არაა ჭზოგავს; სცენაზე ხან ჩხუბია, ხან ხმლისა და ხანჯლების ტრიალია, ხან თოფის სროლა, უეცრად ჭკუიდან შეშლა, საბოლოოდ შენახული ცხარ-ცხარე სიტყვები, ერთის სიტყვით ყოველისფერი, რაც კი ავტორს გამოადგება, რომ პიესის უშინაარსობა დაჭთარეს და მაყურებელს მთქნარება არ მოჭვარეს, მთქნარება კი არა სულ: «აი, ბიჭო, რა კარგია!» აძახებინოს.

დამეტყო, მაღე დამეტყო, რომ ამ წინა-სიტყვაობის წერის დროს ჩვენი სცენა მქონდა სახეში. გაგიტყდებით, რომ სწორედ ეგრეა ჩვენს პიესებს უფრო სჭირთ ეს ხასიათი; მათ არ აკლიათ არც ლეკური, არც დუდუკი, არც სიმღერა, არც ხმალ-ხანჯლის ტრიალი... დიაღ, უფრო ხმალ-ხანჯლის ტრიალი. კიტუკი პირდაპირ, ამ ღირსებით თუ ნაკლულევანებით (როგორც გინდათ იანგარიშეთ) მდიდარია ს. მოჩხუბა-

რიძის ახალი დრამა— «არსენა». ამ თვისების ბრალია რომ «არსენა» გვარიანის თანაგრძნობით მიიღო საზოგადოებამ და მეტადრე «მაღალმა» საზოგადოებამ (თეატრულის ენით რომ ვსთქვათ). ამ თვისების ბრალია, რომ ვიღაცა მაყურებელი აცუნცრუკებულიყო ჯ «დროებაში» შემდეგი «რეცენზია» დაეწერა: გარწმუნებთ, ბ. მოჩხუბარიძე, თქვენი პიესა დიდი განძია ქართულის დრამატიულის ლიტერატურისათვისაო. თქვენ არ მოუკვდეთ ჩემს თავს (არ მახსოვს ამ სიტყვებით იყო, თუ ამის მაგვარით) პატარა რომ შეაკეთოთ «არსენა», ჩინებული რამ იქნებაო.

მომიტევოს ბ. მოჩხუბარიძემ, თუ ამ გვარ ძველებურ დარბაისლურ კილოთი არ ვუძღვნი ქებას მის პიესას და მხოლოდ მართლის გულით ვეტყვი, რომ «არსენაში» ზოგიერთა სცენა მართლა კარგია, ზოგიერთა ტიპი სწორედ ნამდვილსა ჰგავს, მაგრამ პიესას არ ეტყობა სრულიად ერთობა, ერთი აზრი არ არის გატარებული თავიდამ ბოლომდე, დრამატიული მდგომარეობა შეტად მკრთალია დარადგან ერთ ადგილას სუსტობს, ორგან არის გამოკვანძული.

უმთავრესი გმირი პიესისა არის «არსენა». მას უყვარს ქალბატონის მოახლე, მაგრამ არავინ ანებებს.—ცალკე ბატონისაგან შეწუსებული, ცალკე უიმედო სიყვარულისაგან ილაჯ-გაწყვეტილი, მოჰკლავს ის სულთა-მსუთავ მოურავს და უაჩალათ გავარდება. პატარა ხანს უკან ღამე დაბრუნდება და მეგობრების შეშწეობით მოიტაცებს თავის საყვარელს გოგოს.

ერთი დრამატიული მდგომარეობა აგვცილდა თავიდამ: ბატონის ნებით გაყრილ საყვარელთ აღარ გაიდეს ხელმეორედ საჩქმე, აღარ მოუცადეს ბატონის ნება-რთვას და თავის ნებით შეუერთდენ ერთმანერთს. ახლა მეორე დრამატიული

მდგომარეობა იყო საჭირო, თორემ პიესა სამ-მოქმედებიანის მაგივრად ერთ-მოქმედებიანად გარდაიქცეოდა.

არსენასა ჭყვაგს ნათლი-მამა, რომელსაც ბატონი დაქრთამავს და არსენას მოაკვლევინებს. ნათლი-მამა ორიოდ შესაფერს მონოლოგს იტყვის, უფრო თავის გულში, როგორ ძნელია ნათელ-მირონის გამომეტება ლ შემდეგ არსენას დამბაჩას დასცემს. არსენას საყვარელი გოგო ჯავრისაგან ჭკუაზედ შეიშლება და ვიღაც უცხო ბირი, ნათესავი არსენას ბატონისა, საიდგანღაც გამოჩნდება სცენაზედ და გაუმეღავნებს არსენას (ყაჩაღ-არსენას და არა პიესას), რომ მისი სახელი იქნება უკვდავი და გარდაიცემა საუკუნოდამ საუკუნოემდე.

ეს მეორე ნასკვია დრამისა, რომელსაც ჩამოკვანწიალებია ორიოდე სცენა არსენას ყაჩაღობისა და ეოჩაღობისა. ერთი ამ სცენათაგანი—სირაჯის გაცარცვა— საუკეთესოა მთელს პიესაში. სომეხი-სირაჯი რომ ეუბნება არსენას:—აჭა, არსენაჯან, მიირთვი ეს ხმალი, შენი ფეშქაში იყოს, ხმლისთვის რაგორ გაწყვეინებ—სწორედ ნამდვილ შეშინებულის სომხის ტიპს წარმოგვიდგენს, რომელიც შიშს ხან სიმღერითა ჭეარავს, ხან ალერსიანის სიტყვებით, მაგრამ ამ სცენას არავითარი არამც თუ მეტიდრო, შორეული კავშირიც არა აქვს თითონ პიესასთან. მეორე ნამდვილიდამ გადმოღებული სცენა ცოლ-ქმარს შუა ჩხუბია პირველს მოქმედებაში, მაგრამ ეს ჩხუბიც ისე შეეფერება პიესას, როგორც აქლემს ბედაურის უნაგირი.

დავანებოთ თავი სცენებს, დრამატიულ მდგომარეობას ლ გავსინჯოთ, მოინახება რომელიმე ტიპი არსენაში, თუ არა? მებატონე პირველში რაღაც მშიშარა, ქალაჩუნა კაცია, ჯერ ცოლს წაეკამათება და ერთს ალიაქოთს ასტეხავს, მერე თავის ნათესავს გიორგის რომ დაინახავს—მართლა ეს გიორგი რი

გამოსადეგია ვიესაში, ვთხოვთ, აგვიხსნას ავტორმა— მიკარ-
დება ლ დაუწყებს ხვეწნას, აბა შენ გაგვასამართლე, მე კუფური,
თუ ჩემი ცოლია,—შუამავლად მოიხმობს იმ გიორგის, რო-
მელიც ერთის საათის წინად სახლიდამ დაითხოვა, საუმოს მი-
ბუნტებო, ეს ფარსია და მეტის მეტად ითვის თვისის ფარ-
სიც.

ვირგელში მართლა რომ ქალაჩუნაა არსენას ბატონი ასე
გასინჯეთ, არსენა რომ მოასწრობს, როდესაც იმას არსენას
საუკარელ გოგოს დამორჩილება უნდა, ხანჯალს მოუღერებს
და ის კი მხოლოდ გაჩერდება თავს უკან გადიღებს და თით-
ქო ეელს მიუშვერს—აბა გამოშეერია, მაგრამ ახლა ნახეთ
შემდეგში, რა მამაცია! მამაცობის გარდა, უაღრესს ბოროტე-
ბაში გამოქნილს კაცსა ჰგავს. ჯოჯოხეთურის გზით ცდილობს
მიიბირაოს არსენას ნათლი-მამა და არსენა მოაკლდეინოს ავა-
ზაკების ბუნაგში წასვლასაც კი არ ერიდება, ოღონდ თავისი
წადილი შეასრულოს და არსენას ჯავრი ამოიყაროს. რამ გა-
ამამაცა ასე ქალაჩუნა ბატონი? შეიძლება მიბაძუხონ არსენას
შიშმა და არსენას საუკარელ გოგოს სიყვარულმა. მაგრამ
შიში კაცს ვერ გაამამაცებს და ვიესიდამ არა სჩანს, რომ ბა-
ტონისაგან გოგოს სიყვარული მხეცურ ლტოვილებას გადას-
ტილებოდეს.

მეორე ტიპი—თითონ არსენა—ძვირფასი სურათია ხალ-
ხის წარმოდგენაში ლ რომელ მწერალსაც ამ სურათის გაცხო-
ველება სურს, უნდა გამოგვისტოს იგი ხალხის ნამდვილ გმი-
რათ, რომელიც უფრო საქმეს ატანს ძალას, ვიდრე სიტყვას,
რომელსაც მთა და ბარის გასწორება უნდა, მაგრამ თავის
დღეში ვერ ვხედავ არ ეგვეხის მე ასეთი და ისეთი ვარო ვიე-

საში კი არსენამ საგმაოდ დასარჯა სიტყვები თავის რეკომენ-დაციის გასაწევად.

ბოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ ენა ძალიან კოჭლობს პიესაში. ერთს მონოლოგში მაგალითად არსენა შემდეგ ფრა-ზებს ამბობს: «საწყალო ჩემო თავო!... ძალა რადად მოაქვთ ჩემზედ? სხვის სურვილი ჩემი მბძანებელი შეიქნება.» — ამ გვარ ფრაზებს მხოლოდ იმისთანა კაცი იტყვის, რომელიც ჯერ რუსულადა ჭიქრობს და მასუკან ქართულად გადმოაქვს თავის აზრები და, რამდენადაც ვიცით, არსენამ რუსული მხოლოდ «ზდრასტი, რუსო, გამარჯობა!» იცოდა.

II

«სამშობლო», დრამა ხუთ მოქმედებათ და ექვს სურათათ, ფრანცუზულიდგან გადმოკეთებული თ. დ. გ. ერისთავისაგან.

ხომ გინახავს მკითხველო, სხვა-და-სხვათერ შუშხუნებით განათებული არე-მარე. ხომ გინახავს, როგორ ჭკარგავს ყო-ველი საგანი თავის განსხვავებულს ფერსა და იმ ფერათ იმო-სება, რა ფერიც თითონ შუშხუნაა. შავი, ბნელი ადარსად-რა მოსჩანს. ყოველს საგანს მხიარული ფერი ედება, ყოველი სა-ხე, რაც უნდა მოჭმუხვნილი იყოს, ერთს წუთს მაინც გა-დიშლება, ერთს წუთს მაინც თითქო სიამოვნება და სიხარუ-ლი დაეტყობა.

ამ გვარიკე იყო «სამშობლოს» წარმოდგენა და იმის ზედ-მოქმედება მაყურებლებზედ, იმ განსხვავებით, რომ ეს ზედ-მოქმედება არ იყო მარტო წუთიერი. რა არის მიზეზი

ამ ზედ-მოქმედებისა?—იკითხვენ ზოგიერთნი, რომელნიც წარმოდგენაზედ არ დასწრებიან. კინც კი დაესწრო, იმათთვის ეს კითხვა მეტი იქნება: თავის გულში უკეთესს ვასუხს იპოვნიან ვიდრე ჩემს სიტყვებში. ვირველთ კი გუპასუხებ მხოლოდ, რომ «სამშობლოს» ალტაცებით მიღება საზოგადოებისაგან არ უნდა დაბრალდეს სხვა-და-სხვა საეტეკტო სცენებს: არც სცენაზედ მეძუსიკეთა გამოსვლას, არც ზარების რეკას, არც თოფებსა სროლას. სხვა, მდარე ვიესებში ეს სცენები აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ. «სამშობლოსათვის» კი ეს იმდენადვე საჭიროა, როგორც მშვენიერის ქალისთვის ბეჭდები, საყურეები, ტანის სამკაული, რომელნიც კარგია რომ იყოს, მაგრამ რომ არ იყოს, ბევრი არც არა იმას უშავს...

ვიტყვი შეუდარებლივ, უმთავრესი ღირსება «სამშობლოსი» თვით შინაარსშია, თვით იმ დრამატიულ მდგომარეობაში, რომელსაც მაყურებელის მთავარი გონება და გულის-ყური შეპყრობილი აქვს, ⁄ ვიდრე უკანასკნელად ფარდა არ ჩამოეფარება, თავის ბორკილებიდამ არ ახსნეკინებს თავს. უმთავრესი ღირსება «სამშობლოსი» თვით იმ უძლიერესს გრძნობაშია, რომლის წარმომადგენელიც არის სვიმონ ლიონიძე, რომელი გრძნობაც ალმოცენებულია სამშობლო ნიადაგზე ⁄ გამოწვეული სამშობლო ქვეყნის საზარელ მდგომარეობის გამო. რას დავდგეთ ჩვენ «სამშობლოს» წვრილმან ნაკლულევანებათა, რომელიც ერთის შებერვით ისე გაქრება, როგორც ფერფლათ ქცეული ცეცხლი, მაგრამ რომლის შემდეგ დარჩება ცხოველი სითბოსა და სინათლეს გამომცემი ნაკვერჩხალი?.. რას დავდგეთ რომ დადიანი ტუალ-უბრალოდ ჩაკერებული ვირია ვიესაში! რას დავდგეთ რომ შაჭი თავის ქალს ომში არ წამოიყვანდა და მეტადრე არ გამოიყვანდა სალხში და «გიაურებს» არ უჩვენებ-

და! რას დავდევთ, რომ იგივე შაჭი, როდესაც შეთქმულობის ამბავს გაიგებს, ბალდახინ ქვეშ არ გამოიკვლიდა მთელს ქალაქს და წინ და წინვე არ შეატყობინებდა შეთქმულებს «აჭა, მოვდივარო»! ოოველი ეს და ბევრიც კიდევ სხვა წვრილმანი ნაკლულევანებაა, მაგრამ უმთავრესი აზრი პიესისა ისე ცალიერია, რომ ეს ნაკლულევანებანი ვერას დააკლებენ; მათ შეუძლიანთ მხოლოდ შეაგვიანონ მოქმედება და მაყურებლის უურადღება ტოტათი დაღალონ; ამის გამო ოოველივე შემაგვიანებელი სცენა, რომელიც კი პიესის მსვლელობისათვის აუცილებლად საჭირო არ არის, ასუსტებს მის შთაბეჭდილებას და რომ არ იყოს, ისა სჯობიან. ამიტომ კარგად ჭქონა გადმომკეთებელმა, რომ ის სურათი გამოაკლო, როდესაც შეთქმულები მოჭყავთ დასაწვავად და ავადა ჭქონა პიესის სცენაზე დამდგმელმა, რომ გადმომკეთებლისაგან გამოკლებული ისევ ჩაუმატა.

უმთავრესი წუნი რომელიც პიესას უპოვეს, ეს იყო— ქართველი ქალი რად გამოიყვანე მამულის მოღალატეთაო; მაგისთანა ქალები ჩვენში არ იყვნენ და არც იქნებოდენო. ამ შენიშვნამ ისე იმოქმედა, რომ წარმოდგენის დროს ქეთევანი ქართველის სისხლიდამ დასცალეს და თათრის სისხლი ჩაუდგეს ძარღვებში. მე ეს მაგონებს ზოგიერთა კრიტიკოსების სიტყვას, რომელნიც შექსპირს უსაყვედურებდენ—«მეფე ლირში» კორდელია როგორ ჩამოალრჩობინე, განა ამისთანა ღვთისნიერის ქალის მოკვლა იქნებაო! ამ გვარს კრიტიკოსებს ავიწყდებათ, რომ სასცენო პიესა მარტო მშრალის ზნეობის მასწავლებელი კი არ უნდა იყოს; იგი უნდა იყოს ცხოვრებისა და ადამიანის ვნებათ-ღელვის წინ გადმომშლელი. მართალია, ქეთევან შემაძრწუნებელი რამ არის, გინდა თათრის ქალი

იყოს, გინდა ქართველისა, მაგრამ მის მოქმედებაში იმისთანა არა არის-რა, რაც ქეთევანის ყოფაში ჩაკარდნილს ქალს ხელიდამ არ გამოუვიდოდეს. დრამის ნასკვი ორის ბირის—სვიმონისა და ქეთევანის—ხასიათების გამოხატვაშია. სვიმონს უყვარს სამშობლო და მასუკან ქეთევან; ქეთევანს უყვარს ჯერ-ვან ჯ მასუკან იქნება სამშობლოც უყვარდეს. სვიმონის გულში მამულის სიყვარული ბირველობს, ქეთევანის გულში — სიყვარული ჯერვანისა. სვიმონ ეუბნება ჯერვანს: «რადგან ბედნიერება წამართვი, თავისუფლება მოამანიჭე; ცოლი რომ მოგტაცე—სამშობლო დამიბრუნე». ქეთევან რომ მგზავსსაკე მდგომარეობაში ყოფილიყო, იტყოდა: «რადგან თავისუფლება მოგტაცე, ბედნიერება მოამანიჭე, სამშობლო რომ წამართვი — საყვარელი დამიბრუნე!»

ცალ მხარეს ქალია, ოთხს კედელს შუა შემწყვდეულიჟ, ძველის საქმისა ნაკლებად თანამგრძნობელი, გატაცებული ძლიერის, ყოველ წადილის დამაშსობელ გრძნობით— სიყვარულით; მეორე მხარეს კაცი, რომლის თვალ-წინ ძველანი იღუპება, რომელსაც ცოლისადმი სიყვარული გულის კუთხეში შეუმალნია და მეორე უფრო დიდებული გრძნობა ზედ სამანსაკით გადაუფარებია. ორივეს ძლიერი მოსიყვარულე გული აქვთ, ერმა გრძნობა, მაგრამ სხვა-და-სხვა საგნებისადმი მიმართული: ერთს ეს გრძნობა საზარელ ავაზაკათ გარდაქმნის, მეორეს—მამულის მადიდებელ გმირათ!

დიალ, გმირია სვიმონ ლიონიძე, გმირია ყოველის თავის ქცევით, ყოველის მიმოხვრით, ყოველის გრძნობით. ის მაშინაც კი გმირია, როდესაც ამბობს, კი თუ წამებამ გონება წამართვას და ის მათქმევინოს, რაც გულში ღრეანია მაქვს

ზამარხულმა, ქეთევანიც გმირია, მაგრამ თავისებური გმირი. ქეთევანს წამებამ ის ვერ ქმნა, რასაც უწამებლად თავის დღეში ვერ იტყოდა, წამებამ ვერა ცეცხლით და შანთით, შიშის წამებამ, რომ მოუკლავდენ საყვარელს და საუკუნოდ მასთან ერთად წუთი-სოფელს გამოასალმებდენ.

მესმის რომ ქეთევნის ძცევა ისე საზიზღარი და შემაძრწუნებელია, რომ მის გამართლების სურვილიც კი ცოდვად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ნუ თუ ლიონიძე გასამტყუნარი იქნებოდა, რომ წამებას გონება წაერთმია და რომელიმე მის ამსანაგის სახელი წარმოეთქმევინებინა? — და ქეთევანიც იმ მდგომარეობაში გონება-წართმეული ადამიანია.

მაგრამ როგორც მაყურებლებს, ისე სცენაზედ წარმოდგენილ პირთ თვალ-წინ მხოლოდ ქეთევანის საზიზღარი ცოდვა აქვთ—მამულის ღალატი, მამულის გაყიდვა—რა თვასათაც უნდა იყოს იგი გაყიდული, გინდა ოქროს ფასათ, გინდა თვასათ საყვარელის სიცოცხლისა. მესმის, რომ ეს ცოდვა ერთიათად უფრო ძლიერათა სჩანს ლიონიძის მოქმედებასთან შედარებით.

ლიონიძე გმირია, დიდებული გმირი, რომელსაც შეუძლიან თავის მაგალითით მთელის ჯარის გატაცება მამულისათვის თავის დასადებლად. ომში სიკვდილი დიდი რამ არის, მაგრამ ლიონიძეს კიდევ სხვა უადრესი საქმე გამოუვა ხელიდამ. ლევან ებრძვის თავის-თავს, როდესაც აპირებს ქეთევანის სიკვდილს, როგორც მამულის მოღალატისას, მაგრამ სვიმონ ლიონიძე ამასვე ხელის აუკანკალებლად მოიქმედებდა. მისი მაგალითი ასულდგმარებს ლევანს, გოგია დიაკვანს და სხვა შეკეთებულ გმირთა; მისი თავ-განწირული დამშვიდებული სა-

ხე, დიდებული შეხედულობა მოვალეობის წარმომადგენელია,— არა, თვით სორც-შესხმული მოვალეობაა და ამიტომაც რჩება იგი დიდ-ხანს კვალ-ამოუშლელად მაყურებელთა გამოხატულებაში.

სხვა-და-სხვა ამბავი.

— რკინის გზა ზღვაში. აი რა საოცარს რკინის გზაზედ აქვთ ესლა ლაპარაკი ამერიკაში: ევროპიდამ ამერიკამდე ხუთი ათასს ვერსზედ მეტია. მათ შუა ატლანტიის ოკეანე სძევს. ამ ოკეანეში უნდათ რკინის გზის გაყვანა! აბირებენ ზღვის ძირში იმ სიგანე რკინის ტილინდრების ჩაშვებას, რომ რკინის გზის მაშინას თავისუფლად სიარული შეეძლოს. ამ ტილინდრებს ერთმანერთს გადაბმენ ისე რომ, რასაკვირველია, წყალი არ ჩავიდეს, შიგ დააწყობენ რელსებს, ელექტრონის სინათლით გაანათებენ და ჭაერსაც გზას მისცემენ, რომ იმუშაოს. რკინის ტილინდრის კედლებს ერთი არშინი სისქე მაინც უნდა ჭქონდეთ, რომ ზღვის სიმძიმემ არ ჩასდრიკოს. გამოჩენილი ედისონი ამბობს თურმე, ისეთი ელექტრონის ლოკომოტივი მაქვს, რომ მაგ გზას (ხუთი ათასს ვერსს) ორმოცდა-ათს საათში გავატარებინებო. ამ რკინის გზის თვასიც გამოუანგარიშნიათ და ოთხი მილიარდი ფრანკი შეადგარა.

— ქვით-კირის შენობის გადატანა. ამას წინად ბოსტონში (ამერიკაში) ერთის ქუჩის გაგანიერება დასჭირდათ. ერთს წინ-წამოწეულს ქვით-კირის დიდს შენობას აი რა მოუხერხეს. მოუთხარეს საძირკველი და ორს საუნზე უკან მისწიეს მაშინებით. ამ შრომას ოცდა-ათი ათასი დოლარი მოუნდა ჯ ოთხმოცის დღის მუშაობა. საკვირველი ეს არის, რომ ამ სახლში

სასტუმრო იყო და გადატანის დროს ერთს წუთსაც არ შეჩერებულა სასტუმროში ჩვეულებრივი მოძრაობა.

— შესანიშნავი ხელნაწერი ათონის მთაზედ. იქნება ზოგიერთმა მკითხველებმა იცოდენ, რომ საბერძნეთში შვიდი ქალაქი ედავებოდა ერთმანერთს, არა ჩემში დაიბადა გამოჩენილი პოეტი ჭომერი, არა ჩემშიო. ერთის ინგლისურ გაზეთის სიტყვით, ეხლა ხანს უპოვნიათ ათონის მთაზედ ერთი პაპირუსი, რომელზედაც ჭომერის თხზულება იდიადაა გადაწერილი 308 წელს ქრისტეს წინად. ამ ხელ-ნაწერიდამა სჩანს თურმე არამც თუ დრო, როდესაც ჭომერი სცხოვრებდა, იმის დაბადების ადგილიც და აგრეთვე ის მასალები, რომელნიც გამოუყენებია პოეტს თავის უკვდავ თხზულებას რომ სწერდა.

— ახალი თხზულება სპარსეთის ისტორიაზედ. ძველს დროში სპარსეთის ისე დაახლოებული იყო საქართველოსთან, რომ იმის ისტორიაში არ შეიძლება არ ეპოვებოდეს რომელიმე საგანი ჩვენის ისტორიისათვისაც საინტერესო. ამისთვის შევნიშნავთ ერთს ახალს თხზულებას ფრანცუზის მარიუს ფონტანისასა, რომელსაც ჰქვიან: Les Iraniens. Zoroastre (ირანელები. ზოროასტრი) და რომელშიც გარჩეულია, რა წესები სუფევდა სპარსეთში ცეცხლის თაყვანის-მცემლობის დროს. მოვაგონებთ მკითხველებს, რომ მეისტორიეთა სიტყვით საქართველოში ცეცხლის თაყვანის-მცემლობა სპარსეთიდგან გავრცელდა და ამიტომ ამ წიგნს ჩვენის ისტორიის შემსწავლელთათვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

— ურიები გარშავაში. გერმანელი წელიწადი დაუდგათ შარშან ურიებს: ჯერ სამხრეთ-რუსეთში გაუშირვეს საქმე, და ახლა გარშავაშიაც მიუყვიათ მათ აკლებისათვის ხელი. ეი სხვა-

თა შორის რასა სწერენ ერთს გაზეთში: ერთმა მდიდარმა ურიამ ჩაჭეტა მაგარ ზანდუკში თავისი ფული და განძეულობა და ზედ დაჯდა. მტარცველები შეუხდენ სახლში, მაგრამ რაკი ნახეს, რომ ბერი-კაცს გადაწყვეტილი ჭქონდა თავი შეეკლა თავის ქონებისათვის, ხელი ვერარ ახლეს. ბატარა ხანს უკან შეკიდა სამი სალდათი, რომელნიც ურიამ სიხარულით მიიღო, ეგონა ჩემნი მშველელნი მოვიდენო; მაგრამ შესცდა: ერთმა სალდათმა დაჭერა თავში თოფის კონდახი, გულს შემოჭყარა და მერე ამსანაგების შემწეობით გასტეხა ზანდუკი და სულ ამოაცალა, რაც რამ შიგ ფული და განძეულობა მოეპოვებოდა.

— რკინის გზა ხეებზედ. ამერიკაში ერთის რკინის გზის გაუკანის დროს მაღალის ტეით გაშენებული ღელე დაჭხვედროდათ. ამ ღელის ამოვსებისა და მიწის ლიანდაგის გაუკანის მაგივრად, აი რა ღონე უხმარიათ: მოუხერხიათ დიდრონი ხეები თანაბარს სიმაღლეზედ და ზედ რელსები გაუწყვიათ, ასე რომ ხეების წვერებზედ მიჭერის ხოლმე მაშინა და თან ძმიმედ დატვირთულ ვაგონებს მიათრევს.

— ჭაერის ბურთით წასვლა ჩრდილოეთის პოლიუსისკენ. ვინ მოსთვლის, რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეუწირავს იმ წადილს, რომ ჩრდილოეთის პოლიუსამდე მიელწიათ როგორმე. მრავალი ტეცხლის ბეში მიუჭყლეტიათ ყინულის მთებსა და მრავალი ადამიანი გათავებულა ცალკე წარმოუდგენელის სიცივისაგან, ცალკე სიმშილისაგან. აქამდის პოლიუსამდე მიღწევას ზღვით ან ყინულის გზითა სცდილობდენ. ეხლა ამას თურმე ჭაერის ბურთით აპირებენ. აი რას ამბობს ერთი ინგლისელი კაპიტანი, რომელსაც ეს საქმე აქვს მინდობილი: «ჩვენ წავიღებთ სამს ჭაერის ბურთს და მივალთ იმ ჩრდილოეთის

ქვეყანაში, სადაც ამას წინად ქვა-ნახშირი გამოაჩინესო. იქ ნახშირის მადანზედ სახლს ავაშენებთ, გავმართავთ იმისთანა მაშინებს, რომ ნახშირიდამ ბურთების ასამსები წყალმბადი გაზი გამოვიყვანოთო, ⁄ როცა კაი ქარი დაგვიდგება, თვრამეტს ან ოც-და-ოთხს საათში ამ ბურთებით ჩრდილოეთის პოლიუსზე მივალთო, სიცივისა არ გვეშინიან. რადგან ივნისში ავფრინდებით და იქნება გზაზე ისე სცხელოდეს კიდეც, რომ პალტოების დახდა დაგვჭირდესო. ამ ბურთებით ჩვიდმეტი კაცი აპირებს მოგზაურობას. თან თურმე ტელეგრაფის მავთულს წაიღებენ და გზაზედ ძირს ნელ-ნელა ჩამოისვრიან, რომ უმთავრესს სტანციასთან კავშირი არ შესწყვეტონ.

— თეატრი და ტელეფონი. ციურიხში რომელს სახლშიაც კი ტელეფონის მავთულია გაყვანილი, თეატრში წასვლა აღარ დასჭირდებათ. თეატრის ზარი რომ დაჭკრავს, უნდა მოემზადონ და ყური უგდონ. ოგელი არტისტისაგან წარმოთქმული სიტყვა თურმე მკაფიოდ ისმის ამ სახლებში და ვისაც მარტო სმენა უნდა და არა ნახვა არტისტებისა, შეუძლიან დიკანზედ გადაწოლილმა მოისმინოს მთელი წარმოდგენა.

— ერთის სელმწიფის თხზულება. გაზეთს «Порядокъ»-ში სწერია: «პარიჟში გამოვიდა ერთი წიგნი, რომელსაც ჰქვიან «აწინდელი მნიშვნელობა სელმწიფეთა ერთის მათგანთაგანის გარჩეული». ამბობენ ეს თხზულება ბავარიის სელმწიფისა არისო. ავტორი იმ აზრისაა, რომ ევროპის ეხლანდელი მდგომარეობა «შეიარაღებული დროებით-შერიგებაა» და ყველა მმართებლობანი მხოლოდ იმასა სცდილობენ—ერთ-ერთმა სახელმწიფომ არ წამოიწიოს და ამ საქმედრო და დიპლომატიურს ბრძოლაში სხვებს თავზედ არ წამოაჯდესო. ოგელი გამარჯვება ფუჭია და ისეთივე მავნებელი, როგორც დამარცხება. ყვე-

ლა სულმწიფეთა გვარნი ერთსა და იმავე ისტორიას ვიმეორებთ ლ ამით არც ევროპას ვარგებთ რასმე, არც ჩვენს თავსა. უველანი ერთსა ლ იმავე ტეოდალურს ასპარეზს ვუველით გარშემო, რომელსაც ჩვენი პატიოვის-მოუვარეობა ლ ერთმანერთში შულლი სისხლითა რწყავსო. ნუ თუ ჩვენ, ქრისტიანენი, ჩვენს კერძო ცხოვრებაში განათლებულნი ზნითა და ჩვეულებით, უნდა ოველთვის მიეგეგდეთ ამ გვარს არა-ქრისტიანულს, ბარბაროსულს პოლიტიკას, რომელიც შესდგება დიპლომატების ტბიერებისა და სამსედრო ძალადობისაგან,— იმისთანა მოქმედებისაგან, რომლისათვის ჩვენ ვსჯით ჩვენს ქვეშევრდომებს, თუ ერთმანერთთან დამოკიდებულებაში ამ გვარადვე მოიქცევიანო? არც ერთი ჭკვიანი და პატიოსანი კაცი არ იტყვის რომ ამ გზის გვერდზედ ახვევა არ შეიძლებოდესო.»

— ტილოქსერა საფრანგეთში. სულ თხუთმეტი წელიწადია, რაც ეს საშინელი მწერი გამოჩნდა საფრანგეთში და ამ მოკლე ხნის განმავლობაში თითქმის მთელის საფრანგეთის ვენახების ნახევარს დასტემია თავსა. საფრანგეთში სულ ორი მილიონი ჰექტარი ვენახი ეოფილა და ამ ორის მილიონის მეოთხედი სრულიად მოუსპია ტილოქსერას და მეოთხედი კიდევ ძალზედ დაუზიანებია. როგორც მთავრობა, ისე საზოგადოება გულ-მოდგინედ ცდილობს ამ ჭირის თავიდამ აცილებას. მთავრობა ეოველ წელიწადს ორასი ათასს ფრანკსა ხარჯავს ტილოქსერის გასაწყობ ღონის მოსაპოებლად. ამას გარდა ერთის უზარმაზარის არხის გაკეთებას აპირებენ მდინარე რონიდამ, რომ ვენახებში წყლის დაგუბება შეიძლებოდეს და ამ ჩინებულის საშუალებით საშინელ მწერთან ბრძოლა.

— ჭიანჭველებისაგან ხვნა ლ თესვა. მეხიკაში აღმოუჩენიათ ერთ-გვარი მსხვილი ჭიანჭველები, რომელნიც ხვნა-თეს-

ვას მისდევენ. ეს ჭიანჭველები თურმე ძალიან ეწუობიან ერთის ბალახის თესლს და ისე მოჭყავთ, როგორც ადამიანებს ბური: აარჩევენ სახნავ ადგილს, მოაშორებენ რაც ეენჭი, ჩხირი, ან მიწის მსხვილი ბელტია, თითო-თითოდ ამოაძრობენ ბალახ-ბულახს და მერე შეუდგებიან მიწის გაფხვიერებას და მოსწორებას თესლის დასათესად. როცა იმათი საყვარელი მცენარე მოვა და თესლს გამოიღებს, ერთს ნაწილს მოიხმარებენ და მეორეს სამერმისოდ ინახვენ. თუ რაიმე შიში მოელით ან თითონ იმათ, ან იმათ სახნავებს, მაშინვე ალაგს იცვლიან ლ ახალ ადგილას შეუდგებიან იმავე საქმეს.

შინაური მიმოხილვა.

I

შესავალი.— მამულის სიყვარულის გრძნობას აღზრდა ეჭირვება-— ვისა ჰქვიან მამულის შვილი?— გვყავს თუ არა ჩვენ ახლა ნამდვილი მამულის შვილები?— წმინდა თვისებანი ჩვენებურის მამულის სიყვარულისა—მზგავსება ჩვენის მამულის შვილებისა და რუსეთის მოდასავლეთეთა.— ქართველს საზოგადოებაში ეროვნულის გრძნობის გაღვიძება.— ბ. ჩუბინაშვილის მიგებების მნიშვნელობა.—

შინაურს მასწავლებელს არა სცალიან. იგი სხვა-გვარს მასწავლებლობას გიწევთ. მე, როგორც შორი-ახლო მეზობელს, წილად მხვდა ამ ყამად გავუმასწავლდე მის ოჯეულ - თვიურს სტუმრებსა. მაგრამ ბალა ეს არის, რომ ამ გვარ მასწავლებლობას ჩვეული არა ვარ, არა ვარ დახელოვნებული ამ ძნელს, მაგრამ მეტად საამურს საქმეში, და შეიძლება ხამობა დამეტყოს. მაინც და მაინც ჩემგან სტუმარი სრულად არ უნდა მოელოდეს იმ გვარ შექცევას, რომლითაც იგი განებივრებული ჭყავს შინაურს მასწავლებელს. მე თქვენ პროტურის ფრთებით ვერ აგიტაცებთ ცაში და თვალ - ამაჭრიალებელის სიმაღლიდგან ვერ გადაგიშლით ქვეყნიერებას; ვერც იმისთანა ღრმა ფილოსოფიურს ჭეშმარიტებას განგიზიარებთ, რომელიც შინაურმა მასწავლებელმა წარსულ თვეში გამოსთქვა შემდეგის სიტყვებით:

თუ ერი ბედნიერებას სხვისაგან სულ-ელის და სულ-ელისო, რა დაემართებაო? გა-სულ-ელ-ედებაო. მე გაგიმართავთ უბრალო საუბარს მხოლოდ უბრალო საგნებზედ და დედა-მიწის ნიადაგიდგან თვეს არ მოგაცვლევინებთ.

თუ კაცს მამულის სიუვარულზედ საუბრის გამართვა სურს, ზამთარი უნდა შეურჩიოს. ამ დროს უფრო უფრადღებით და გულ-დადებით მოისმენენ ამ საგანზედ საუბარსა; სხვა დროს, და მეტადრე გაზაფხულზედ, კრინტიც არ უნდა დასძრა, ამიტომ რომ თვით გულ-მსურვალე პატრიოტებიც ამ დროს სხვა სიუვარულის ხაფანგში იბმებიან და მამულის სიუვარულისათვის ნაკლებად სცალიანთ. ამიტომ მე მინდა კარზედ მდგომ სუსხიან ზამთრით ვისარგებლო ამ მამულის სიუვარულიდგან დავუწყო საუბარი მკითხველსა.

არა გვგონია ვისთვისმე უტნობი იყოს ის აზრი, რომ მამულის სიუვარული, მსურვალე ერთგული გრძნობა, არის უპირველესი თანსა ქვეყნის ბედნიერებისათვის. ელემენტარული აქსიომაა, რომ ბედნიერება ქვეყნისა მით უფრო მტკიცე გზაზედ სდგას, რავდენადაც ბევრი ჰყავს მას გულ-შემატკივარი და ერთგული მამულის-შვილი. მაგრამ ის კი ბევრმა არ იცის, რომ მამულის ჭეშმარიტი სიუვარული იმისთანა მაღალი გრძნობაა, რომლის აღზრდა თვრიად ძნელია. ზოგიერთს ჩვენებურს ვაჟ-ბატონებს რომ ჰკითხოთ, ყოველი ადამიანი დედის მუცლიდგანვე პატრიოტიაო, რადგანაც სამშობლო ქვეყნის სიუვარული უველას ბუნებითვე თანა ჰყვება და ამიტომ ამ გრძნობის აღზრდაზედ ზრუნვა რა საჭიროაო. ეს რომ მართალი ყოფილიყო, დედა-მიწის ზურგზედ უბედურს კეთხეს სანთელითაც ვეღარ იპოვიდით; ყოველი ქვეყანა, დიდი, თუ პატარა, კეთილ-დღეობით სავსე იქნებოდა. საუბედუროდ, ბუნება პატ-

რიოტობაზედ სრულიად არა ზრუნავს. იგი ჭბადავს ქვეყანაზედ არა საზოგადოებას, არამედ ინდივიდუმს, ცალკე პირს და არსებობის დაცვისათვის მას ანიჭებს ეგოიზმს, თავის-თავის მოუვარეობასა. სალხი, ერი, ეროვნობრიობა ბუნებისათვის არ არსებობს და საზოგადობრივ გრძნობასაც იგი ვერ დაანათლებს ადამიანსა. პატრიოტობა საზოგადოებამ და ცალკე პირმა უნდა დანერგონ, აღზარდონ და დაუყენონ ჯეროვან სიმაღლეზედ. ამ გზაზედ ერთსაც და მეორესაც დიდი მუყაითობა და ზრუნვა ეჭირებათ. მამულის სიყვარული მეტად ნაზი მცენარეა; იგი არა ჭკვავს უსარგებლო ადგილს, ლობიოს ხეს, რომელიც ოთველგან უზრუნველად და მოუვლელად ორ-სამს წელიწადს სრულდება და შემდეგ უსაუოთოდ არის გაფშეკილი მთელს თავის სიცოცხლეში. მამულის სიყვარული ემზგავსება ნაზს კაკლის ხეს, რომლისათვისაც საჭიროა შესაფერი ნიადაგი, შეზავებული ჭარი, რომელიც ვერ იმშენებს დამჩაგვრელს ხეებს, რომელიც დიდ ხანს იზრდება და როდესაც დასრულდება თავლსაც ასამებს, გულსაც ასარებს და ქვეყანასაც ასაზრდოებს. პატრიოტად გარდაქცევისათვის სრულიად საკმარისი არ არის, რომ კაცმა იცოდეს, პატრიოტობა მშვენიერი რამ არისო. ლამაზი ალვის ხე კარმიდამოზედ დიად საამურია ეველასათვის, მაგრამ მის ცალიერის ნატვრით კაცი თავის არემარეს ვერ დაამშვენებს, უნდა დარგოს, მოუაროს, ეოველი მკაცრი გარემოება აუშოროს, გაზარდოს და ბოლოს ისიამოვნოს მის სილამაზით და მაგრილებელის ჩრდილით. ეროვნულს, პატრიოტულს გრძნობასაც დიდი ხნის ზრუნვა, მოვლა, ეურის გდება და ერთგულება ეჭირება. იგი არის ნაზი, როგორც კაკლის ხე, ლრმა, როგორც მისი ფესვები, მაღალ,

როგორც მისი წვერი, მის ტოტებსავით ბანიერი და მის კოკრებსავით ნაყოფიერი.

ამიტომაც ითხოვს იგი საზოგადოებისაგან ამ ცალკე პირისაგან ისეთსავე ერთგულს ზრუნვას და მოვლას, როგორც კარგის შვილის აღზრდა დედ-მამისაგან.

ვისა ჰქვიან პატრიოტი? მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრესს საგნად გაუხდია მშობლიურის ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავ-გამოდებული და შეუპოვარი ებრძვის დაუდალავად ყოველს გარემოებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია, ვისაც მთლად დაკარგული მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუსმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედგვის გული მამულის ტანჯვითა, უსარის მის ლხენით, ვინც ბედნიერია მის ბედნიერებით, უბედური მის უბედურობით ან ვინც ყოველ წამს მზად არის თავის პირადული ინტერესი მამულის ბედს შესწიროს.

ჰყავს ჩვენს სამშობლო ქვეყანას ამ გვარი მამულის-შვილნი? წარსულში ბევრი ჰყვანდა და მათმა ღვაწლით შემოსილმა სიცოცხლემ ჩვენს ქვეყანას ორი ათასი წელიწადი ასტანინა შეუპოვარი ბრძოლა შავის ბედის წინააღმდეგ. მაგრამ ახლა? ვის შეუძლიან ჩვენში თამამად და უტეუვრად დაიჩემოს სახელი ნამდვილის მამულის შვილისა? ვისა აქვს საფუძველი სთქვას, რომ მის მკერდში სძგერს მხურვალე, მამულის სიყვარულით სავსე გული და მისი ძთავარი გონება მიბურობილი აქვს მხოლოდ მამულის კარსკვლავს? დიოგენის ფარნითაც რომ ეძებოთ, ჩვენს ქვეყანაში ძნელად იპოვნით პირსა, რომელზედაც საზოგადოებას შეეძლოს თქმა: «აი ჭეშმარიტი მამულისშვილი»! . . .

დიად, სუსტია ჩვენში ერთვნული გრძნობა, მამულის

სიყვარული; მაგრამ, სანუგეშოდ, ზოგიერთა ისეთი სიკეთე სჭირს და ისეთი წმინდა თვისებით არის შემკობილი, რომ სწორედ ღირსია უფრო ბედნიერის მომავლისა. სხვაგან ბევრგან ვხედავთ პატრიოტებსა, რომელთაც უნდათ სხვის უბედურობაზედ ააშენონ თავიანთ ქვეყნის ბედნიერება. პრუსიის პატრიოტს ტრეიჩკეს რომ ჰკითხო, რასა სთვლი საჭიროდ გერმანიის ბედნიერებისათვისაო, გიპასუხებს: დასავლეთით საფრანგეთის მიწასთან გასწორებას, სამხრეთით ავსტრიის წელში მოკაკვას და აღმოსავლეთით რუსეთის მიმსხვრევასაო. ავსაკოვსა და კატკოვს რომ ჰკითხო, როგორი უნდა იყოს რუსის პატრიოტიო, გიპასუხებენ . . . გარეთ უნდა ელტოდეს და ნატრულობდეს მთელის ევროპის გაქცევასა, ტხვირში სისხლის დენას და დაღუპობასაო. ჩინეთის პატრიოტები უფრო კიდევ მოშეტებულს რასმე ნატრულობენ: მთელი კაცობრიობა ჩვენის ბოღდიხანის ქვეშევრდომი, უმორჩილესი მონა უნდა შეიქნასო. ჩვენში მამულის სიყვარული სხვა თვისებისა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იბურობს მხოლოდ წმინდა გრძნობას. ამ გრძნობაში თავის-თავის ქეტი არა ურევია-რა. ვისიმე სიძულილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ არის. ჩვენს მამულის შვილებს სურთ წარმატება ჩვენის ერთგულობისა და ვინაობისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა. ჩვენი მამულის შვილები ნატრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა ჯ სწორის გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურობაზედ არ არის გავლებული. როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონაგებისათვის, არამედ თავის საკუთარის დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულის შვილები მოდ-

ვაწყობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათის დამცირებით ვისიამოვნოთო, არამედ იმისათვის რომ ჩვენს ერსაც გავუგვლიოთ გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა ⁄ კეთილ-დღეობისაო. ერთის სიტყვით ჩვენში მამულის სიყვარულმა მიიღო ისეთივე წმინდა მიმართულება, რომელსაც ამ ბოლოს ყამს დაადგა დაწინაურებული, საუკეთესო წილი ევროპის ცივილიზაციის წარმომადგენელთა. . .

მცირეოდენი ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა, რომელიც გადაბირების გზას დასდგომია, რუსეთელ მოდასავლეთთა სახელს იჩემებს და სხვებს სლავიანოფილებს ადარებს. ეს ისეთივე სასაცილო მოვლენაა, როგორც მოუვიდათ ამერიკის ბლანტატორებს, რომელნიც დაბალის სალხის დაშინავებას ცდილობდენ და დემოკრატები კი დაირქვეს სასელათა. რაში მდგომარეობდა და მდგომარეობს დეკეზი რუსის მოდასავლეთეთა? იმათ სურდათ და სურთ რუსეთს ნიადაგზედ დაამკვიდრონ და აღმოაცენონ ევროპიული განათლება, ევროპიული მეცნიერება და საუკეთესო მხარენი ევროპის სოციალურ იდეალისა. სწორედ ამასვე ნატრობენ, სწორედ ამასვე ელტვიან ჩვენში ის მომქმედი პირები, რომელთაც ჩვენებურმა საბაკვიჩებმა ქართველი სლავიანოფილები დაარქვეს.

თუ ზოგიერთა კაჟ-ბატონები უკეთესართობენ, სამაგიეროდ საზოგადოებამ უკანასკნელს წლებში აშკარად წინაღმდეგი აღმოაჩინა წარსულს წელს, სხვათა შორის, იმ გულითადის მიგებებით, რომელიც ბ. ჩუბინაშვილს გაუმართეთ თბილისში და ქუთაისში.. სამწუხაროდ ჩვენს ლიტერატურას ამ მიგებების მნიშვნელობა სრულიად გამოეპარა. ჩვენ ძალიან ვაცლად ავწერეთ, სად და რომელ დარბაზში გავუ-

მართეთ სადილი ჩვენს ძვირფასს სტუმრსა, რა საჭმელები მივართვით, რავდენი კაცი დასსწრო, რავდენი რეჩი წარმოითქვა, ვისი სადღეგრძელო დაიღია, რავდენს ხანს გასტანა ნადიმმა და სხვანი. მაგრამ ის კი სრულიად თვალიდგან აგვცდა, თუ ეს მიგებება რას მოასწავებდა. ერთის სიტუვით ჩვეულებრივი ზედაპირობა, სრიალ-სრიალი ფაკტების ზედაპირზედ, აქაც ამოვიჩინეთ და შინაგანი მნიშვნელობა კი მოვლენისა შეუმჩნეველი, გამოურკვეველი დაგვრჩა. ძნელი კი არ იყო ამ მოვლენის ჯეროვანი დაფასება, მის საზოგადობრივის მნიშვნელობის განმარტება.

ერთი უპირველესი ღონისძიება პატრიოტობისა, მამულის სიყვარულის გაძლიერებისა არის მხურვალე თანაგრძნობა საზოგადოების მხრივ მამულის შვილების მოქმედებისადმი, მათი წაქეზება, გამხნევება პატივისცემის გამოცხადებით. საზოგადოების თანაგრძნობა და ღირსეული დაფასება ქვეყნის სამსახურისა მომქმედს პირს ერთი-ორად უმატებს ძალასა, ფერთებს უსხავს და ადვილად ატანინებს ყოველ-გვარ განსაცდელს იმ ეკლიან გზაზედ, რომელსაც აქამდის ბევრს ქვეყნებში წარმოადგენს მამულის სამსახური. ამიტომ ევროპაში საზოგადო ასპარეზზედ მომქმედს პირებს სშირად უცხადებს საზოგადოება სხვა-და-სხვა გზით თავის გულითადს პატივისცემას, მხურვალე თანაგრძნობას, უმართავს ოვაციებს, მიგებებს, იუბილეებს და სხვ. მოვიგონოთ, მაგალითად, ის დიდებული, გრანდიოზული დღესასწაული, რომელიც საფრანგეთის საზოგადოებამ გაუმართა ვიკტორ ჰიუგოს შარშან წინ მის ოთხმოცის წლის იუბილეის დროს. აღტაცებითი თაყვანის-ცემა, რომელიც ამ დროს საფრანგეთმა გამოუცხადა თავის უნიჭიერესს პოეტს და მხურვალე. პატრიოტს, იყო არა მარტო

ჯილდო ხანგრძლივის ღვაწლიანის სიცოცხლისა და მოქმედებისა, არამედ გამამხნევებელ პრიზათ, რომელიც მოელის სასურანგეთის უკვდავ შვილსა, ვინც კი ვიკეთრ ჭიუგოსავით თავის ნიჭსა და სიცოცხლეს მამულის სამსახურს შესწირავს...

ჩვენი საზოგადოება დიდ-ხანს ცოტაოდნადაც არ იცნდა ამ თვისებას ქვრობის საზოგადოებისას. იგი სრულიად გულ-გრილად უცქერდა იმ პირთა მოღვაწეობას, რომელნიც ძლტვიან ჩვენის ვინაობის აღდგენასა, ემსახურებიან ჩვენის ერეკნობის აღორძინებასა. საზოგადოება მათ არამც თუ არ ამხნევებდა, ზურგს აქცევდა, აბუჩალაკად იგდერდა და სოფლიდა დონკიხოტებად, რომელნიც გაუტაცნია შეუსაბამო და მიუწდომელს წადილსა. ჩვენდა სანუგეშოდ, ბოლოს დროს ჩვენმა საზოგადოებამაც აღმოიჩინა ნიშნები გამოღვიძებისა, თავის მოვალეობის შეგნებისა და მამულის სამსახურის დათვსებისა. ბ. ჩუბინაშვილის მიგებება არის ერთი იმ ფაკტთაგანი, მოგლენთაგანი, რომელიც გამოაშკარავებს ამ სასიხარულო ცვლილებას ჩვენს საზოგადოებაში და გვაჩვენებს, რომ ერეკნობითის პრინციპის მნიშვნელობა, ხალხისურის მიმართულების დათვსება ინტელიგენციის მტირე დასიდგან საზოგადოებაშიაც გავრცელდა და ღრმად იდგამს ფესვსა. ერთი გარემობა კიდევ უფრო დიდს მნიშვნელობას აძლევს ამ მიგებებას. ბ. ჩუბინაშვილი რომ მაღალის ნიჭის კაცი ეოფილიეო და დაეწერა იშვიათის ტალანტით სავსე თხზულებანი, მაშინ მისი მიგებება იქნება ეოფილიეო უფრო პიროვანი, ვიდრე პრინციპიალური; პატივის-ცემის გამოცხადება მაშინ შეიძლებოდა შეგვერიცხა შედეგად იმ განკვირვებისა, რომელსაც ჭბადავს ყველა საზოგადოების წევრში იშვიათის ნიჭით და ცოდნით შემკობიადი გვამი. მაგრამ ვინ არ იცის ჩვენში, რომ ბ. ჩუბინაშვი-

ლი უბრალო მომაკვდავია და გენიოსებში თავის ჩათვლა თვიქრადაც არ მოსვლია. ვინ არ იცის, რომ ნაწარმოებნი, რომლებითაც გაამდიდრა ჩვენი მწიგნობრობა ბ. ჩუბინაშვილმა, მოითხოვენ უფრო მეხსიერებას, მუყაითობას შრომაში, ვიდრე მაღალ ნიჭსა და ღრმა ცოდნასა? საზოგადოებამ ეს კარგად იცოდა, კარგად ესმოდა, რომ ბ. ჩუბინაშვილი იყო უბრალო მომუყაითე, მაგრამ ისიც კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ეს მუყაითი ემსახურებოდა შეძლების გვარად ჩვენის ვინაობის აღდგენას და ეროვნობის აღორძინებას; ამისათვის მიეგება ისე გულ-წრფელად და გამოუცხადა თანაგრძნობა და პატივის-ცემა. ჩვენ შემცდარი არ ვიქნებით, თუ ვიტყვით: ბ. ჩუბინაშვილის დასვედრით და მიგებებით ჩვენმა საზოგადოებამ მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა ეროვნულს ბრძენტიბს, ხალხისნურს მიმართულებასა და დიდების ღირსად აღიარა ის ცხოველი გზა, რომლისათვის წინად ზურგი შექცეულა ჰქონდა.

ამ მოვლენამ უნდა მეტად ნაყოფიერი გავლენა იქონიოს საზოგადო ასპარეზზედ მომქმედს პირებზედ, ახალ-თაობის უკეთესს წარმომადგენლებზედ, გაუძლიერონ მათ ეროვნობის ერთგულება, ხალხისნობის თანაგრძნობა და აღავსონ იგინი მხნეობით მამულის სამსახურისათვის.

ამ წიგნისათვის ვრცელი «შინაური მიმოხილვა» იყო მომზადებული, მაგრამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ პირველს თავს ელირსა დაბეჭდვა ჯ ისიც შემოკლებით. იმედს არა ვკარგავთ, რომ მეორე და მესამე თავი შემდეგს წიგნში მაინც დაიბეჭდება. — რედ.

განცხადებანი.

ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

«დროება»

გამოვა ხმაგე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომლების დასმარებით, როგორც აქამდის გამოდიოდა. როგორც გაზეთის დაარსებიდამგე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისა-და-გვარად, გაეუმჯობესებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს, რომ ზოგიერთი სასიგეთო ცვლილება შემოიდოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

ხელის-მოწერა მიიღება;

თბილისში: «დროების» რედაქციის კანტორაში, გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. კ. შუსტანსკის სახლებში, კლუბის ძველთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოიტანონ გაზეთი. Въ Тифлисъ, Въ редакцію газеты «ДРОЭБА».

«დროებაზე» და «ივერიაზე» ორივეზე ერთად ხელის-მოწერა მომავალის წლიდამ არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით — — — — — — — —	9 მან.
ნახევრის წლით — — — — — — —	5 „
სამის თვით — — — — — — — —	3 „
ერთის „ — — — — — — — —	1 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში, ვითარცა ავრეთვე, რომ თავის სახელი-და-გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი ს. მელიქიშვილი.

ამა 1882 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

«ᲨᲠᲝᲛᲐ»

გამოვა იმავე პროგრამმით და მიმართულებით, როგორც 1881 წელს გამოდიოდა.

გაზეთის პროგრამმა:

I. სტატიები თანამედროვე კითხვებზედ, II. ტელეგრამმები, III. ადგილობრივი ამბები და შენიშვნები, IV. ახალი სალიტერატურო, საზოგადოებრივი და საპოლიტიკო ცნობები, V. ქრონიკა ადგილობრივის თვით-მმართველობისა, VI. შინაგანი და გარეგანი წერილები, VII. საპოლიტიკო მიმოხილვა გარეგანი და შინაგანი, VIII. კრიტიკული მიმოხილვა თანამედროვე ლიტერატურისა, IX. ფელეტონი: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა-და-სხვა შენიშვნები, X. ისტორიული მიმოხილვა კავკასიის აქეთა მხარისა, XI. სამსაჯულო ცნობები და შენიშვნები, XII. ცნობათ ფურცელი და განცხადებანი.

გაზეთი გამოვა ოთხშაბათობით, საშუალო საგაზეთო ქაღალდის ფურცელზედ, ხანდისხან დამატებით.

გაზეთის გამოსაწერი ფასი სახლში მიტანით და სხვა ქალაქებში გაგზავნით: ერთის წლისა—შვიდი მანეთი, ნახევარ წლისა—ოთხი მანეთი, სამის თვისა—ორი მანეთი და ხუთი შაური.

ხელის-მოწერა მიიღება:

ქ. ქუთაისში: 1) გაზეთის რედაქციაში, ნემცების ქუჩაზედ, კნეინა მაჭუტაძის სახლში, 2) ბ. გ. წულუკიძის სტამ-

ბაში, თბილისის ქუჩაზედ, ერიქოვის სახლში და 3) ძმების ნიკოლაძეების მაღაზიაში.

ქ. თბილისში: შავერდოვის გაზეთების საგენტოში.

ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა თავიანთის მოთხოვნილებით პირდაპირ რედაქციას უნდა მიმართონ.

რედაქტორი თ. დიმ. ილ. დადიანი.
გამომცემლები: თ. დ. ე. დადიანი ⁄ დ. ა. ნაზაროვი.

ამ 1882 წელსაც ქართული საპოლიტიკო და
სალიტერატურო ჟურნალი

„ი მ ე დ ი“

გამოვა იმავე პროგრამმით, იმავე მიმართულებით, იმავე სიგრცით, (ე. ი. ოთხი თაბახიდგან ხუთამდის), ⁄ ახალის დახელოვნებულის თანამშრომლების დახმარებით.

ფასიც ჟურნალისა დარჩება იგივე— წლიურის გამოცემისა თბილისში შინ მიტანით და სხვა ადგილებში გაგზავნით 8 მანეთი, ნახევარ წლისა 4 მ. 50. კ., სამი თვისა 2 მ. 50 კ., ცალკე ნომერი ეღირება 1 მანეთი.

ხელის მოწერა ჟურნალ „იმედზედ“ მიიღება ქ. თბილისში: რედაქციაში, რომელიც იმყოფება კუკიაში, მეორე თუმანიშვილის ქუჩაზედ—№ 12, ნემენტების სასაფლაოსთან, უ. შავერდოვის გაზეთის საგენტოში, „კავკასიის“ საგენტოში უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და უ. ხელაძის სტამბაში, გარეშე მცხოვრებელთ შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала «ИМЕДИ».

ამ 1882 წლის ივნვრიდგან «იმედში» დაბეჭდილ სტატიებისათვის ავტორებს მიეცემათ რედაქციისაგან თასი ამ რიგათ: ორიგინალური სტატიისათვის ერთ ბეჭვდის თაბახზედ 8 მანეთიდგან 16 მანეთამდის, ნათარგმნზედ — 5-გან 10-მდის; ორიგინალური ლექსისთვის სტრიქონზედ 3 კაპეიკიდგან 6-მდის, ნათარგმნზედ — 2-გან 4-მდის. სტატია თუ ლექსი უნდა იყოს გადაწერილი წმინდათ და გარკვეით. გისაც თასის მიღება სურს მათში, უნდა ზედ წაუწეროს: სტატია, ანუ ლექსი, რომელზედაც არ იქნება ავტორისაგან წარწერილი თასის მიღების სურვილი, მიიღება როგორც საკუთრება რედაქციისა.

თუმცა ამ 1881 წელში სხვა-და-სხვა მიზეზების გამო თავ-თავის დროზედ კერ გამოდიოდა ჩვენი ჟურნალი, რისათვისაც ბოდიშს ვითხოვთ მკითხველებთან, მაგრამ მომავალს წელში ვეცდებით თვითოეული ნომერი გამოვცეთ უეჭველად იმ თვის დამლევს, რომელსაც ის ეკუთვნის, ჯ შინაარსითაც გავუმჯობესოთ.

დასასრულ არ შეგვიძლიან არ ვუძღვნათ გულითადი მადლობა ამ წლის ჩვენს ხელის მომწერლებს, რომლებმაც თავიანთის თანაგრძნობით მოგვცეს შემწეობა ჟურნალის დაფუძნებისა ჯ მის გამოცემის გაგრძელებისა. აგრეთვე არ შეგვიძლიან არ ვუძღვნათ გულითადი მადლობა უველა ჩვენ თანამშრომლებს, რომლებმაც უსასყიდლოთ სტატიებით ხელი გვიწყეს და გვიწყობენ. ვიმედოვნებთ რომ საკვლოდაც უველა მოხსენებული პირები არ მოგვაკლებენ თავიანთ თანაგრძნობას და შემწეობას ჩვენგან ნატვირთ საზოგადო საქმეში.

რედაქტორი ჯ გამომცემი მიხეილ გურგენიძე.

1-го ЯНВАРЯ 1880 ГОДА
ГАЗЕТА
„КАВКАЗЪ“
ВЫХОДИТЪ ПОДЪ НОВОЙ РЕДАКЦІЕЙ

ежедневно, не исключая понедѣльниковъ, въ количествѣ 345 №№ въ годъ.

Редакція приметъ всѣ зависящія съ ея стороны мѣры, чтобы придать газетѣ возможно большій интересъ, какъ расширеніемъ программы, такъ и полнотою отдѣловъ, причемъ преимущественное вниманіе будетъ обращено на разработку мѣстныхъ вопросовъ.

ПРОГРАММА:

Часть офиціальная: Узаконенія, дѣйствія и распоряженія правительства. Высочайшіе приказы Намѣстника, циркуляры Намѣстника и Главнаго Управленія, извѣщенія, разнаго рода правительственныя и служебныя распоряженія.

Часть неофиціальная: I. *Руководящія статьи:* по вопросамъ, имѣющимъ обще-государственное или мѣстное значеніе. Ознакомленіе съ внѣшними политическими событіями, преимущественно въ восточныхъ государствахъ, сопредѣльныхъ съ Кавказомъ.

II. *Мѣстныя извѣстія:* а) Корреспонденціи изъ главнѣйшихъ пунктовъ края. б) Столичная и иностранная пресса о Кавказѣ. в) Туземная пресса: армянская, грузинская, татарская. г) Ходъ городского самоуправленія и вообще городскія дѣла, какъ по Тифлису, такъ и по другимъ городамъ края. д) Новости о событіяхъ русской жизни. е) Тифлисская городская хроника. ж) Судебная хроника. з) Отче

ты о засѣданіяхъ мѣстныхъ учебныхъ и другихъ обществъ.

III. *Фельетонъ:* а) Этнографическія статьи, бытовые очерки и путешествія по Кавказу. б) Рецензіи на книги, выходящія въ Россіи и за-границей, касающіяся Кавказа. в) Обозрѣніе общественной жизни. г) Научное обозрѣніе.

IV. *Смѣсь.* Курьезы, анекдоты и разныя извѣстія.

V. Справочный отдѣлъ.

VI. Казенныя и частныя объявленія.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

	Съ доставкою въ Тифлисѣ		Съ пересыл. иногородн	
	Руб.	Коп.	Руб.	Коп.
На годъ	11	50	13	—
» полгода	6	—	7	—
» три мѣсяца . . .	3	50	4	—
» одинъ мѣсяцъ . . .	1	50	1	75

Подписка принимается въ г. Тифлисѣ, въ конторѣ газеты «*Кавказъ*», на Дворцовой улицѣ, въ домѣ № 5. Иногородные адресуютъ свои требованія: въ Тифлисъ въ редакцію газеты «*Кавказъ*».

Разсрочка платежа подписныхъ денегъ допускается на слѣдующихъ условіяхъ: *для городскихъ подписчиковъ:* при подпискѣ 5 р., въ концѣ марта 4 рубля и къ 1-му августа 3 руб. *Для иногородныхъ:* при подпискѣ 6 р., 1-го апрѣля 5 р., 1-го августа 3 р.

Редакторъ-издатель Кн. Д. Г. ЭРИСТОВЪ.

ОБЪ ИЗДАНІИ

въ 1882 г. въ г. Тифлисѣ еженедѣльнаго юридическаго журнала

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"

(годъ второй)

Журналъ, какъ и въ 1881 году, будетъ выходить по четвергамъ въ размѣрѣ до 2 печатныхъ листовъ текста,

кромѣ приложеній, по прежней программѣ, *въ объемъ которой входятъ* статьи по всѣмъ вопросамъ, *вытекающимъ* изъ теоріи и практики права и судопроизводства, перечень, изложеніе и обсужденіе *важнѣйшихъ* распоряженій и узаконеній правительства, *краткіе* отчеты (а въ случаяхъ важныхъ, и стенографическіе) о выдающихся судебныхъ дѣлахъ, *особенно интересныя* гражданскія рѣшенія, *случаи изъ судебной жизни и практики* (смѣсь), корреспонденціи *юридическаго содержанія*, городская хроника, *перечень* новыхъ книгъ *юридическаго содержанія*, обзоръ печати, тезисы кассаціонныхъ рѣшеніи *Правительствующаго Сената и Тифлисской Судебной палаты*, судебный указатель *и проч.*

Заботясь о посильномъ выполненіи своей программы, журналъ заручился сотрудничествомъ сверхъ многихъ лицъ судебнаго вѣдомства, также и нѣкоторыхъ профессоровъ-юристовъ.

Редакція *журнала—Тифлисъ Ново-Бебутовская ул. д. № 6*— Администрація (для пріема подписки, объявленій и разничной продажи)—*Тифлисъ, Сололакская ул. д. № 40.* Подписная цѣна на журналъ, *съ доставкою и пересылкою, на годъ*—10 р., на 9 мѣс. 8 руб. 20 к., на 6 мѣс. 6 р., на 3 мѣс. 3 р. 20 к., на 1 мѣс. 1 р. 20 к. Разсрочка въ платежѣ денегъ — по соглашенію съ администраціею журнала. Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца, и не далѣе конца года—Отдѣльные нумера по 25 к. Объявленія, казенныя и частныя, по таксѣ за занимаемое мѣсто.

Иногородныхъ просятъ обращаться исключительно въ администрацію журнала.

Издатель А. С. Френкель,

Редакторъ А. В. Степановъ

Присяжный повѣренный

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1882 ГОДЪ.

„БУДИЛЬНИКЪ“,

Еженедѣльный сатирическій журналъ съ рисунками и каррикатурами.

18-й годъ изданія

Въ 1882-мъ году «Будильникъ» будетъ выходить, на прежнихъ основаніяхъ, *еженедѣльно* (50 нумеровъ въ годъ),

тетрадями отъ $1^1/_2$ до $2^1/_2$ листовъ большаго формата. Въ каждомъ нумерѣ читатели найдутъ отъ 4 до 6-ти *хромолитографированныхъ*, отпечатанныхъ на роскошной бумагѣ, рисунковъ и отъ 15 до 20-ти столбцовъ текста, что составитъ въ годъ два большіе тома, содержащіе *не менѣе 250 хромолитографій и до 1000 столбцовъ текста* самаго разнообразнаго содержанія. Программа журнала: 1) юмористическая лѣтопись русской жизни, — 2) обозрѣніе политической и общественной жизни иностранныхъ государствъ,—3) хроника періодической печати,—4) театральная лѣтопись,—5) повѣсти, разсказы, бытовые очерки, драматическія сцены и стихотворенія,—6) памфлеты, пародіи, посвященія, анекдоты, каламбуры, шутки и проч., и 7) рисунки, каррикатуры политическія и бытовыя, портреты (шаржъ) героевъ дня, иллюстраціи къ разсказамъ, сценамъ и стихотвореніямъ, виньетки, ребусы и т. д.

«*Будильнику*» *обѣщали свое участіе*: В. А. Александровъ (Крыловъ), В. Н. Андреевъ-Бурлакъ, П. В. Быковъ, И. А. Вашковъ, А. М. Герсонъ, А. М. Дмитріевъ. А. Ѳ. Ивановъ (Классикъ), Л. Г. Граве, Н. П. Кирѣевъ, М. А. Козыревъ, А. В. Кругловъ, А. Д. Курепинъ, Н. А. Лейкинъ, Д. Д. Минаевъ, В. О. Михневичъ, А. П. Молчановъ, И. И. Мясницкій, В. И. Немировичъ Данченко, П. М. Певѣжинъ, Н. П. Орловъ, Л. И. Пальминъ, М. И. Писаревъ, Ѳ. Н. Плевако, Н. А. Потѣхинъ, А. С. Размадзе, Д. Н. Садовниковъ, М. П. Садовскій, Н. С. Стружкинъ, К. А. Тарновскій, Л. П. Трефолевъ и мн. друг.; *въ художественномъ отдѣлѣ:* С. П. Амосовъ, Н. А. Богдановъ, С. И. Грибковъ, И. И. Клангъ, А. И. Лебедевъ, М. Е. Маковскій, М. Е. Малышевъ, В. И. Порфирьева, Н. Е. Рачковъ, К. А. Трутовскій (акад.), Н. П. Чеховъ, К. Н. Ничаговъ, В. И. Шпакъ, П. П. Щегловъ и другіе.

Цѣлый рядъ капитальныхъ, потребовавшихъ не малыхъ трудовъ и затратъ, улучшеній, предпринятыхъ въ «Будильникѣ» еще съ конца 1881 года, даетъ, собственно говоря, право его редакціи отказаться отъ поднесенія подписчикамъ такъ называемыхъ «премій»; тѣмъ не менѣе, желая сохранить обычай доброй старины, она предлагаетъ своимъ го-

довымъ подписчикамъ слѣдующіе роскошные подарки на новый 1882 годъ:

1) Большую альбертотипію (работы гг. Шереръ и Набгольцъ, въ Москвѣ) съ новой картины *В. Е. Маковскаго*, спеціально для этого заказа воспроизведенной самимъ художникомъ;—

«ДѢЛОВОЕ УТРО».

Фирма «Шереръ и Набгольцъ» ручается за артистическое исполненіе копій.

2) Альбомъ рисунковъ *К. Н. Чичагова: «Нашъ вѣкъ»*.— коллекція героевъ (типовъ) современной намъ эпохи: 1) кассиръ, — 2) концессіонеръ, — 3) журналистъ, — 4) спиритъ, — 5) саврасъ безъ узды,—6) адвокатъ,—7) подрядчикъ,—8) пиковая дама,—9) дон-Жуанъ,—10) ростовщикъ,—11) кулакъ-міроѣдъ,—12) думецъ.

Альбомъ и альбертотипія будутъ разосланы *годовымъ* подпискамъ вмѣстѣ съ первымъ № «Будильника» 1882 года.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА «БУДИЛЬНИКЪ»:

въ Москвѣ, безъ доставки,	на годъ 7 р.,	на полгода 4 р.—к.	
« « съ доставкою на домъ	8 «	« « 4 «	50 »
съ пересылкою въ Петер. и пров.	9 «	« « 5 «	— »

Лица, доплачивающія къ подписной суммѣ *одинъ рубль*, получатъ *Альманахъ «Будильника» на 1882-й годъ* (IV-й г. изд.), въ который, между прочимъ, войдетъ *ребусъ*, за разгадку котораго до 1-го марта 1882-го года (срокъ появленія альманаха въ свѣтъ—15 ноября 1881 г.) *редакція «Будильника» объявляетъ денежную премію въ 400 рублей.*

Контора редакціи покорнѣйше проситъ гг. подписчиковъ *торопиться* заявленіемъ своихъ требованій, во избѣжаніе задержки первыхъ №№ журнала Денежные пакеты адресуются на имя *Л. Н. Уткиной: Москва, Леонтьевскій перд. Мичинера.*

XII სხვა-და-სხვა ამბავი 120

XIII შინაური მიმოხილვა.

I

შესავალი.— მამულის სიყვარულის გრძნობას აღზრდა ეჭირკება.— ვისა ჰქვიან მამულის შვილი?— გვყავს თუ არა ჩვენ ახლა ნამდვილი მამულის შვილები?— წმინდა თვისებანი ჩვენებურის მამულის სიყვარულისა — მზგავსება ჩვენის მამულის შვილებისა და რუსეთის მოდასავლეთეთ.— ქართველს საზოგადოებაში ეროვნულის გრძნობის გაღვიძება.— ბ. ჩუბინაშვილის მიგებების მნიშვნელობა.— 127

XIV ბანცხადებანი. 136

P. S. ამ წიგნისათვის ვრცელი «შინაური მიმოხილვა» იყო მომზადებული, მაგრამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ პირველს თავს ელირსა დაბეჭდვა ს ისიც შემოკლებით. იმედს არა ვკარგავთ, რომ მეორე და მესამე თავი შემდეგს წიგნში მაინც დაიბეჭდება.

რედ.

ი 383
1882

განცხადება.

ამა 1882 წელს ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა (თორმეტი წიგნი) შვიდი მანეთი.

ვისაც ერთად შემოტანა გაუძნელდება, შეუძლიან ჯერ ოთხი მანეთი შემოიტანოს და დანარჩენი სამი მანეთი პირველს მაისამდე.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთა-წმინდაში, ხევის ქუჩაზედ, ფარესაშვილის სახლებში № 9 და აგრეთვე შაკერდოვის სააგენტოში.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი ან თანხა შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ
Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ეთხოვეთ, მალე აცნობოს რედაქციას.

რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე ან ი. მაჩაბელი.